საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 აპრილი 1999 №75 (848) | ფასი 1 ლარი


## ...სხვაგვარად არ ძალუძთ

„კოპალას ბიჭები" — ასე მონათლეს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები. მათთვის უცხოა დამარცხებულის სინდრომი. 1996 წელს პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდული თამაშები მოიგეს. ერთ წელიწადში ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ნაბიჯიღა დააკლდათ. ამ ჯერზე კი საქმის ნახევარია გაკეთებული.

## აჯობეთ კვიპროსს და...

კვიპროსში მიმდინარე კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სასტარტო მატჩში საფრანგეთთან დამარცხების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ესპანეთსა და ბელგიას მოუგო.

გუშინ ქართველი კადეტები გერმანელებს შეხვდნენ და დამატებით დროში 4 ქულით წააგეს. დღეს, ბოლო ტურში, ჩვენები მასპინძლებს, კვიპროსელებს შეხვდებიან. გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება.

## კანდელაკი: შვიდიდან შვიდი

. გასულ შაბათს ინგლისში გაპროფესიონალებულმა მსოფლიოს ჩემპიონმა, ვარიანელმა გიორგი კანდელაკმა პროფესიულ რინგზე მეშვიდედ იჩხუბა და მეშვიდედაც გაიმარჯვა. ამჯერად მისი მსხვერპლი სლოვაკი მოკრივე გახდა. ინგლისში გამგზავრების წინ გიორგიმ „სარბიელს" უთხრა — ვეცდები, ეს ბრძოლაც ნოკაუტით მოვიგოო. კანდელაკმა სიტყვა შეასრულა და მეტოქე მეორე რაუნდში დაამარცხა. გიორგი გუშინ, გვიან ღამით დაბრუნდა თბილისში, რამდენიმე დღეს ვარიანში დაჰყოფს და მერე კვლავ ბრიტანეთს გაემგზავრება მორიგი ორთაბრძოლის გასამართად.

## სტამბოლში ვერ ვიყავით კაშივით

„შევარდენის" ძიუდოისტებმა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრა სტუმრად, თურქულ „ისთანბულთან" გამართეს და 1:5 დამარცხდნენ. სტამბოლური კლუბის ღირსებას ჩვენებურებიც, გიორგი წმინდაშვლი, ივერი ჯიქურაული და კარგა ხანია თურქეთის სახელით მოასპარეზე ირაკლი უზნაძე იცავდნენ. შევარდენელთაგან ერთმა ნესტორ ხერგიანმა (60კგ) შეძლო მეტოქის, კერძოდ, ყურბანოღლუს დამარცხება, სოსო ლიპარტელიანი და წმინდაშვილი (90) „ძმურად", ფრით დასცილდნენ ერთმანეთს, დანარჩენები კი დაგვიმარცხდნენ: დავით მარგოშვილმა (66) წააგო ოზქანთან, გიორგი ვაზაგაშვილმა (73) — მაცეივთან, დავით ნადარაიამ (81) — ჯიქურაულთან, რამაზ ჩოჩიშვილმა (მძიმე) — თათაროღლუსთან. ძიუდოს მცოდნეთ ეიშნებოდათ, რომ ზოგი შევარდენელი სხვა, მისთვის უჩვეულო წონაში გამოდიოდა.

# ნორვეგია: სიბრძნე სიმაღლისა?

გუშინ ნაშუადღევს თბილისში ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა საქართველოს ნაკრების სახვალიო მეტოქე ნორვეგიის ნაკრები. ტორე ანდრე ფლო, ოლე გუნარ სოლსკიაერი და კიდევ დიდი კრებული ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე მაღალ-მაღალი ნორვეგიელებისა.

ნორვეგია ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე და ორჯერ ბრაზილიის მძლეველია. მიუხედავად ამისა, მატჩამდე ერთის თქმა შეიძლება — თბილისს სხვაც ბევრი ფეხბურთელი უნახავს ჩვენს ახლანდელ სტუმრებზე უკეთესი. მათგან ზოგი გახარებული გაგვიშვია შინ, ზოგიც — დამწუხრებული. რა პასუხს გავცემთ საქართველოში ჩამოსულ ნორვეგიელებს, ჩვენთან დაგეგმილი წარმატებით ჯგუფში გალიდერებას რომ აპირებენ?...

იხილეთ მეორე-მეოთხე გვერდები



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის ფავორიტმა ნორვეგიის ნაკრებმა გუშინ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა

## ჩვენი რაგბი ცოცხალია, ცოცხალი!

### ოღონდ სასწრაფოდ მისახედია, თორემ ვაითუ ვეღარ გამოიხედოს

ქართული რაგბი რომ შავ დღეშია, არახალია და ამის შესახებ აქამდეც არაერთხელ გვითქვამს. მაგრამ ჩვენდა, უფრო სწორად კი, ქართული რაგბის სამწუხაროდ, უფრო და უფრო მეტ ხალხს არ სჯერა ჩვენში ამ სახეობის მომავლისა. ვინძლო შაბათს დაწყებულმა ეროვნულმა პირველობამ მაინც დაარწმუნოს ისინი, რომ ქართული რაგბი ჯერ კიდევ ცოცხლობს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ლოკომოტივი 2 — დათვები. „დათვ" ზურაბ რეხვიაშვილს ახალგაზრდა თბილისელებმა ვერა დააკლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორვეგიელთა სიბრძნე სიმაღლისა?

## რეპორტაჟი აეროპორტიდან

*ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ამავდროულად უეფას ვიცე-პრეზიდენტი პიერ ომდალი უკვე თბილისში ბრძანდებოდა. ის გუშინწინ ჩამოფრენილიყო და, როგორც უეფას წარმომადგენელს, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტთან სურდა შეხვედრა. ედუარდ შევარდნაძე მას თბილისში არ დახვდა.*

*სამაგიეროდ, გუშინ თავად ომდალი გახლდათ დამხვედრი და ჩვენთან, ქართველ ჟურნალისტებთან და ფეხბურთის ფედერაციის მუშაკებთან ერთად შეეგება თბილისს 50 წუთის დაგვიანებით ნასტუმრებ თანამემამულეთა საკმაოდ მრავალრიცხოვან დელეგაციას.*

*...ღმერთს სიმაღლე მოუციაო, სწორედ ამათ ეთქმით. ამას წინათ თბილისში ჩამოსულ სლოვენიელებზე რომ ვამბობდით, რა აყლაყუდები არიანო, თურმე სად ვყოფილვართ, რა ვიცოდით, ნორვეგიელებთან შედარებით მთლად ჩიებად თუ გამოვჩნდებოდით.*

*ფირმა „ჯოვანის" სამოსში საგაზაფხულოდ გამოწყობილნი, „უმბროს" ჩანთებით, ზორბა, ქერა კეთილმოუბარნი — ისინი ნორვეგიელები არიან. ბოლო ხანს მსოფლიოში სახელდაგდებულნი და საქართველოს ნაკრების ხვალინდელი მეტოქენი.*

*ნორვეგიელები, რომლებიც თბილისის აეროპორტში უცნაურად მუქი ლურჯი თვითმფრინავით დაეშვნენ, საბაჟოზე მცირეხნით შეყოვნდნენ, სასტუმრო „შერატონში" დაბინავდნენ და ლამის იქაურობა „გაითავისეს" — 116 ნომერი დაიკავეს.*

*ესენი ნორვეგიელები არიან. ისინი, რომელთა ფეხბურთელობაც ამ ათიოდე წლის წინათ ბევრს არაფერს გვეუბნებოდა. დღეს კი... ხვალ ისინი იმ საქართველოს ნაკრებს უნდა დაუპირისპირდნენ, რომელმაც იქვე, „შერატონში" 26 ნომერი იკმარა.*

*მაშ ასე, ისინი უკვე თბილისში არიან, ოღონდ მანჩესტერელების — რონი იონსენისა და ჰენინგ ბერგის, ლივერპულელი ვეგარდ ჰეგემის გარეშე. ნაცვლად კი ლიდსელი გუნარ ჰალე, ესპანეთის „სელტაში" მოთამაშე დან ეგენი და ნორვეგიის „ვალერენგას" მულატი თავდამსხმელი იონ კარეუ ჩამოუყვანიათ. უფრო სწორად, ნაკრების მწვრთნელ ნილს იოჰან სემბს გადაუწყვეტია მათი გამოძახება.*

### ნილს იოჰან სემბი

— ძალიანაც კი მინდოდა იონსენის, ბერგისა და ჰეგემის თბილისში წამოყვანა, მაგრამ რა გაეწყობოდა, ისინი ტრავმებმა შეაწუხეს. თუმცა, მიუხედავად ამისა, საბრძოლო შემადგენლობით გეწვიეთ. იმედი მაქვს, იმ სამი ფეხბურთელის გარეშეც ღირსეულად გეთამაშებით.

**— ნაკრებში ბევრი თავდამსხმელი მიგიწვევიათ, მათ ახლა კარეუც დაუმატეთ. როგორც ჩანს, შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ. ასეა?**

— ასეა? თუმცა არ გადამიწყვეტია, თავდასხმისთვის ვის შევარჩევ.

**— პროგნოზი?**

— ვერ გეტყვით. ისე, ფრეზე თანახმა ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, ბერძნებთან შედარებით ქართველებთან უფრო რთული მატჩი გელით?**

— იქაც გაგვიჭირდა და დარწმუნებული ვარ, თბილისშიც იგივე იქნება. ეს მატჩი ხომ თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

### ძველი ნაცნობი

სემბის მერე იქვე მდგომ, საქართველოში ადრეც ნამყოფ, მაშინდელი „მოლდეს" კაპიტანს, *პეტერ რუდის* გამოველაპარაკეთ.

**— ქართულ ფეხბურთზე წარმოდგენა გექნებათ.**

— არა, მას შემდეგ რაც „დინამომ" დაგვამარცხა, ქართველებზე არაფერი მსმენია. სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ.

**— თვლით, რომ ჯგუფიდან უკვე გასულები ხართ?**

— ისეთ ჯგუფში ვთამაშობთ, რომლის გამარჯვებულიც შემოდგომამდე არ გაირკვევა. თბილისში რომც მოვიგოთ, ჩვენს პირველობაზე ლაპარაკი მაინც ნაადრევი იქნება.

**— მოიგებთ კი?**

— უფრო ფრე მგონია. ნორვეგიის ნაკრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი სწორედ თბილისშია.

**— თავად ითამაშებთ?**

— მწვრთნელს ჯერ შემადგენლობა არ დაუსახელებია. ჩემთვისაც არაფერი უთქვამს.



ტორე ანდრე ფლო გუშინ ჩინებულ ხასიათზე გახლდათ

### ტანმორჩილი ბერძენი

ნორვეგიელთაგან ყველაზე დაბალი საბერძნეთის „პანათინაიკოსში" მოთამაშე, ბლანჟემოშვებული *ერიკ მიუკლანდია.* ისე, დაბალი კი ვთქვით, მაგრამ საშუალო სიმაღლისა ნაღდად არის.

— ვიცი ქართველების თამაში. ბევრჯერ მინახავს. ბევრი კარგი ფეხბურთელი გყავთ. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, გაგვიჭირდება. თუმცა კი იმედი მაქვს, მოვიგებთ.

**— თქვენთან თამაში ქართველებისთვის გადამწყვეტია. თუ ვერ მოვიგეთ...**

— ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად საქართველოს ნაკრებსაც ისეთივე შანსი აქვს, როგორიც ჩვენ, ნორვეგიელებს. მეორე შესარჩევი ჯგუფი ყველაზე რთულია და გამარჯვებულიც ძნელად პროგნოზირებადი.

**— ათენში თქვენი გამარჯვება ლოგიკური იყო?**

— ლოგიკური არა, მოულოდნელი. კონტრშეტევებზე ვითამაშეთ და გაგვიმართლა.

**— თბილისშიც ასე ითამაშებთ?**

— სასურველი იქნება, თუმცა მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— პროგნოზი?**

— ფრითაც კმაყოფილი ვიქნები.

### უფრთხილდით მიუკლანდს!

*სტალე სოლბაკენი* კი ის თავდამსხმელია, 1996 წელს, ოსლოში საქართველოს ნაკრებს მატჩის მიწურულს პენალტით რომ გოლი გაუტანა.

— კარგად მახსოვს მაშინდელი თამაში. ქართველებმა თავი ტექნიკურობითა და იმპროვიზაციით დამამახსოვრეს. თუმცა, ჩემი პენალტით კი დამარცხდნენ. მას შემდეგ ფირზე საქართველოს ნაკრების ერთი თამაში ვნახე, ინგლისელებთან შინ რომ 0:2 წააგეთ. ახლა, ალბათ, ნაკრებში ბევრი ახალი ფეხბურთელი თამაშობს.

**— დიახ, ასეა.**

— ჰოდა, დიდი წინააღმდეგობის მოლოდინში ვარ. როგორც ვიცი, ბოლო ხანს თქვენი გუნდი, შედეგების მიუხედავად, კარგ ფეხბურთს თამაშობს.

**— თბილისშიც უნდა გაიტანოთ?**

— მგონია, რომ მიუკლანდი გაიტანს.

### უჩვეულო აპრილი

ინგლისის „ტოტენჰემის" ნახევარმცველი *სტეფენ ივერსენი* იერით ჯერაც ბავშვს ჩამოჰგავს, მაგრამ კარგი მოსაუბრე კი გამოდგა.

— ნორვეგიის ჯგუფში პირველობაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ, ადრეა. აი, თბილისში თუ მოვიგეთ, მაშინ სხვა საქმე იქნება. მჯერა ჩვენი გამარჯვებისა, ნორვეგიის ნაკრები ხომ სტუმრად ჯერაც არ დამარცხებულა. პრობლემად კი ოსლოში თამაში გვექცა, ლატვიასთან წავაგეთ, ალბანელებთან ქულები გავიყავით. იმის იმედიც მაქვს, რომ ნავსს 30 მაისს, ისევ ქართველებთან მატჩისას გავტეხთ.

**— ინგლისში მოთამაშე თემურ ქეცბაიაზე რას იტყვი?**

— თუ ყველა ქართველი ფეხბურთელი ქეცბაიასავით ძლიერია, მაშინ ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელია. ამას წინათ მან ჩემს „ტოტენჰემს" მნიშვნელოვანი გოლიც გაუტანა.

**— საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ როგორი ტაქტიკით თამაში სჯობს?**

— კონტრშეტევები აჯობებს. ისე, ვფიქრობ, გადამწყვეტი მატჩის მეორე ტაიმი იქნება. მაშინ ორივე გუნდის ნაკლი გამოჩნდება. ჩვენ კი ძალიან გაგვიჭირდება. სულ რამდენიმე წუთია თბილისში ჩამოვედი და უკვე ოფლმა დამასხა. სიცხეს ჩვეულნი არ ვართ, მით უმეტეს, აპრილში.

### შენც ვიკინგი ხარ?!

ჯერაც უწვერული *იონ კარეუს* წარმომავლობის დადგენას ანთროპოლოგი სჭირდებოდა. მაღალი, სტაფილოსფერთმიანი, მონაცრისფრო კანის ფერი... თუმცა მულატს კი ჰგავს. მისი ეროვნულ ნაკრებში მიწვევა ნილს სემბს ბოლო მომენტში გადაუწყვეტია. სახვალიოდ თავდამსხმელებს ახალი კონკურენტი მიუმატა. ნორვეგიულ „ვალერენგაში" კი მას შემცვლელი არ ჰყავს.

**— ითამაშებთ თბილისში?**

— მეეჭვება. ჩემზე ძლიერი თავდამსხმელები არიან. არა მგონია, სემბმა ფლოს, ანაც სოლსკიაერს მამჯობინოს. იქნება მეორე ტაიმში ვითამაშო.

**— „ვალერენგას" ახლა ეგილ ოლსენი წვრთნის, ნორვეგიის ნაკრების უწინდელი თავკაცი. დიდად განსხვავდება ოლსენისა და სემბის ტაქტიკური მონახაზი?**

— მართალია, ნაკრებში სულ ახლახანს მიმიწვიეს, მაგრამ ნაკრების ტაქტიკა, „ვალერენგას" მსგავსია. თითქმის იგივე. სემბი ოლსენის გზას მიჰყვება.

**— სხვა ნორვეგიელებივით კარიერას შენც უხოეთში გააგრძელებ?**

— ალბათ. ინგლისის, ჰოლანდიისა და იტალიის რამდენიმე ძლიერი კლუბი მეპატიჟება.

### ნუ შეუშლით ხელს ფლოს!

აეროპორტის მოსაცდელში შემოსულ *ტორე ანდრე ფლოს* ღიმილი არ მოშორებია სახიდან, მხიარულ ხასიათზე მყოფ „ჩელსის" სახელოვან ფორვარდს ჩვენს კითხვებზეც არ გასჭირვებია პასუხი.

**— ნორვეგიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკვე ოთხი შეხვედრა ჩაატარა. ამათგან ყველაზე რთულ მატჩად რომელს მიიჩნევთ?**

— რა თქმა უნდა, შინ, ლატვიის ნაკრებთან გამართულ მატჩს. ჩვენ მართლაც დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, საბოლოოდ კი დავმარცხდით. ალბათ, ეს იმის ბრალიც იყო, რომ პირველ შეხვედრაში ფეხბურთელებმა საკუთარი თავის მობილიზება ბოლომდე ვერ შევძელით, თანაც ლატვიელებიც ვერ შევაფასეთ ჯეროვნად. ძალიან გაგვიჭირდა ალბანეთთანაც.

**— როგორ ფიქრობთ, ნორვეგიის ნაკრების რთული თამაშების რიცხვს ქართველებთან გასამართი ხვალინდელი შეხვედრაც ხომ არ შეემატება?**

— არ არის გამორიცხული... თუმცა, არა მგონია, ასე მოხდეს, ჩვენ ხომ სტუმრად შეხვედრებს ასე ალმავლობით ვატარებთ. ვფიქრობ, ამ პროცესს კვლავაც წარმატებით გავაგრძელებთ.

**— გეტყობათ, საქართველოს ნაკრებზე მაინცადამაინც დიდი წარმოდგენის არ უნდა იყოთ.**

— არა, არა, მე უბრალოდ ფაქტზე ვამახვილებ ყურადღებას, ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ შინ უფრო გვიჭირს თამაში... ისე საუცხოო აზრია. არა, აჯობებს, ქართველებმა თავიანთ ჯერს სანორვეგიოდ მოუცადონ, ხვალ კი ნუ შეგვიშლიან ხელს, ნუ დაგვარღვევინებენ ახალ დამკვიდრებულ ტრადიციას.

**— ქართველ ფეხბურთელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— ჩემი აზრით, ქართველებს ყველაზე საუკეთესო გიორგი ქინქლაძე გყავთ. იმედია, ამ დღეებში მას უფრო კარგად გავიცნობ.

**— რას გულისხმობთ?**

— ალბათ, მოედანზე შევხვდებით ერთმენეთს.

**— ესე იგი არ არის გამორიცხული, სემბმა ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ სოლსკიაერი გამჯობინოთ?**

— რა თქმა უნდა, ყოველივე სემბის გადასაწყვეტია, მაგრამ, მგონი, ოთხშაბათს ძირითად შემადგენლობაში მიხილავთ.

იხილეთ მესამე გვერდი



ერიკ მიუკლანდი და სტეფან ივერსენი



სტალე სოლბაკენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დასაწყისი მეორე გვერდზე

### ასეთი ცოდნით...

*„ლიდს იუნაიტედის“ მცველის, ალფ-ინგე ჰალანდის* თბილისში ჩამოსვლა ტრავმის გამო საეჭვო იყო. თუმცა, სხვათა მსგავსად, „ლიდსის“ ნორვეგიელი ლეგიონერი გუშინ აეროპორტის მოსაცდელში ქართველ ჟურნალისტთა ტყვეობაში აღმოჩნდა.

**— თქვენი ტრავმის საქმე როგორ არის?**

— გმადლობთ, ვგონებ, საშიშროებამ ჩაიარა, მაგრამ ასე თუ ისე კარგ ფორ-



პერ რავნ ომდალი

მაში ვარ, მაგრამ ჩემი ხვალინდელი თამაში საეჭვოა, ვნახოთ...

**— თქვენს ამჟამინდელ კლუბს — „ლიდს იუნაიტედს“ ბევრი მომავლის გუნდად მიიჩნევს...**

— „ლიდსის“ მომავლის გუნდობაზე ვერაფერს გეტყვით, აი, გუნდში რომ მართლაც მომავლის ფეხბურთელები თამაშობენ, უდავოა.

**— ალბათ, თქვენ თავსაც გულისხმობთ?**

— რატომაც არა...

**— ქართულ ფეხბურთზე და საქართველოს ნაკრებზე რა გსმენიათ?**

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გეტყვით, ჩემი ცოდნა ქართულ ფეხბურთზე მხოლოდ ქეცბაიათი და ქინქლაძით ამოიწურება.

**— ხვალინდელ თამაშზე რას ფიქრობთ?**

— საქართველოს ნაკრებისთვის ერთ მნიშვნელოვან მომენტს დავასახელებ — თქვენები შინ თამაშობენ. საკუთარ კედლებში გამოსვლა კი, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს, მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ბოლო დროს მატჩებს სტუმრად კარგად ვატარებთ, გამოდის, მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს, თუმცა, ერთი რამ უდავოა — მოედანზე პირველივე წუთებიდან უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდება.

### ბოლო წუთს, ბოლო წუთისთვის

ესპანურ „სელტაში“ მოთამაშე *დან ეგენი* ნილს იოჰან სემბმა ბოლო მომენტში იახლა თბილისში. მეტიც, ეგენმა შაბათს „ვალენსიას“ წინააღმდეგაც იასპარეზა, ნაკრებში გამოძახების ფურცელიც გვიან მისვლია და თბილისში ჩამოსულ თანაგუნდელთა შორის ყველაზე დაღლილიც ჩანდა, თუმცა ჩვენთან გასაუბრება მაინც შეძლო.

— ძნელი თამაში გველის. ეს სწორედ ისეთი მატჩია, რომლის შედეგის წინასწარ განსაზღვრაც უაზრობაა. საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირება ნორვეგიისთვის უმნიშვნელოვანესია. ამ მატჩის არწაგების შემთხვევაში, ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი გვეძლევა, თუ არა, მიზნის მიღწევა ერთობ გაგვიჭირდება.

**— ფაქტია, ნორვეგიის ნაკრები გასვლით შეხვედრებს უფრო კარგად ატარებს...**

— ვიცი, რასაც გულისხმობთ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ლატვიელებთან და ალბანელებთან ნაკრები დალაგებას და შეთამაშებას მოუნდა (მსოფლიოს ჩემპიონატმა მართლაც დიდი ენერგია წაგვართვა), სლოვენიელებთან მატჩს კი უფრო მობილიზებულნი შევხვდით, ასევე ვითამაშეთ ბერძნებთანაც. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე საუკეთესო ფორმაში ვიმყოფებით.

**— „ვალენსიასთან“ შეხვედრაში ბოლო წუთებში გამოჩნდით მოედანზე, იგივე რამ თბილისშიც ხომ არ განმეორდება?**

— სემბს ჩემს პოზიციაზე ამჯერად მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ აქვს, მაგრამ ბოლო მომენტში ვარ ნაკრებში მოხვედრილი და ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს.

### ბოლო საქართველოა...

*პერ რავნ ომდალი* — ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ვფიქრობთ, მისი ნააზრევიც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული, მაგრამ პატივცემულ ნორვეგიელ ჩინოვნიკს ბოლო პასუხი რომ ერთობ ორიგინალური გამოუვიდა, ამაში თავადაც დარწმუნდებით.

**— ვიცით, პრეზიდენტ შევარდნაძესთან რომ აპირებდით შეხვედრას, თუ საიდუმლო არ არის, გაგვიმხილეთ, რაზე გსურდათ საუბარი?**

— სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტის გამო ეს შეხვედრა არ შედგა. მე ორიოდე წლის წინაც მსურდა ბატონ შევარდნაძესთან ლაპარაკი, მაშინ მასზე თავდასხმა მოხდა...

საიდუმლო არაფერია. მე მას უნდა შევხვედროდი არა როგორც ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, არამედ როგორც უეფას ვიცე-პრეზიდენტი, და მთლიანად ქართლი ფეხბურთის საკეთილდღეოდ. ყურადღება იმ საკითხებზე გამახვილდებოდა, რაც საქართველოში ფეხბურთს განვითარებას განაპირობებს. სამწუხაროა, რომ ეს შეხვედრა არ შედგა.

**— იმედია, პრეზიდენტთან შეხვედრას მომავალშიც შეეცდებით.**

— კი, უსათუოდ.

**— ნორვეგიული ფეხბურთი აღმავლობის გზაზე დგას. ამას, ბუნებრივია, თავისი მიზეზებიც ექნება.**

— მოკლედ გეტყვით, დიდი შრომისმოყვარეობა და ბევრი ფული — აი, ნორვეგიული ფეხბურთის წარმატების უმთავრესი ფაქტორი.

**— ხვალინდელი თამაშზე, რას ფიქრობთ?**

— როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ასე ვიტყოდი — დარწმუნებული ვარ, რომ ნორვეგია მორიგ გამარჯვებას იზეიმებს, როგორც რიგითი გულშემატკივარი კი ვამბობ — ამ შეხვედრაში წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება. თქვენი ნაკრებისთვის, მგონი, ფრეც არ უნდა იყოს ურიგო.

**— ჯგუფის ფავორიტებად ვინ მიგაჩნიათ?**

— ოო, მართლაც რთული ჯგუფია, ვფიქრობ, წარმატების შანსი ბერძნებს, ნორვეგიელებს, ლატვიელებს აქვთ, იმასაც გეტყვით, იგივე შანსი საქართველოს ნაკრებსაც გააჩნია და უფრო მეტიც, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის კრგი შესაძლებლობა სლოვენიელებს და ალბანელებსაც არ დაუკარგავთ.

### დაბოლოს

კეთილი, მუდამ მომღიმარი — პირველი შთაბეჭდილება ოლე გუნარ სოლსკიაერმა სწორედ ასეთი დატოვა. საქართველოს ნაკრები კარგად მახსოვსო — დასაწყისშივე განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა. სამი წლის წინ მინიმალური ანგარიშით (1:0) ვიმარჯვეთ და ამ შედეგის გამეორების ამჯერადაც მჯერაო. დღეს ეს იყოს. სოლსკიაერთან ვრცელ ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

**მადონა გიორგაძე**
**პაატა ქვანტალიანი**
**ლაშა გოდუაძე**
**ბადრი ქეთილაძე (ფოტო)**
**გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)**



ოლე გუნარ სოლსკიაერი თბილისის აეროპორტში




ნილს იოჰან სემბი ჟურნალისტებთან საუბრისას

## პრესკონფერენცია

**გუშინვე** ნორვეგიის ნაკრებმა სასტუმრო „შერატონში“ საღამოს რვის ნახევარზე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. სამწუხაროდ, იგი ჩვენთვის სახელდახელო აღმოჩნდა. რატომ? ისევ და ისევ ქართველთა ბედოვლათობის წყალობით: ნორვეგიელებს ჟურნალისტებთან შეხვედრა წინასწარ დაუგეგმავთ და, სხვათაშორის, არა მხოლოდ თანამემამულეებთან. მაგრამ „შერატონში“ მოფუსფუსე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოხელეთაგან ჩვენი დამკვალიანებელი კაციშვილი არ აღმოჩნდა. „პრესკონფერენცია ხვალ გაიმართება“, „არაფერი ვიცი“, ან: „იქ მარტო ნორვეგიელი ჟურნალისტები უნდა იყვნენ“ — ასეთ პასუხებს საქმეში ჩახედული (წესით უნდა იყოს ჩახედული) კაცი არ უნდა იძლეოდეს, მაგრამ რას იზამ, მსგავს ფაქტებთან შეგუება მრავალჯერ მოგვიხერხებია და იმედია, მომავალშიც შევძლებთ, მაგრამ...

პრესკონფერენცია, რომელსაც ნორვეგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი და ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ესწრებოდა, სტუმართა ნაკრების პრესატაშემ, კილ ბორგერსენმა გახსნა. მან რესპონდენტები წარმოგვიდგინა და გვთხოვა, ვარჯიშზე წასვლამდე დარჩენილ 20 წუთში მაქსიმალურად ჩავტეულიყავით. ყველაზე მეტი სათქმელი ალბათ მაინც მთავარ მწვრთნელს ჰქონდა, მაგრამ, ბუნებრივია, სტუმართა თავკაცმა კარტების ბოლომდე გახსნაც არ ინება. ამაში ქვემოთ თავადაც დარწმუნდებით.

**— თქვენი გუნდი თითქმის ყოველთვის ერთნაირი განლაგებით თამაშობს — 4-5-1. ამ სქემას ალბათ გარკვეული მოსაზრებით ირჩევთ.**

— გეთანხმებით, რომ საშინაო თუ გასვლით მატჩებში ამგვარი განლაგებით გვიწევს თამაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი აქცენტი თავდაცვაზე გვაქვს გადატანილი. ამ სქემით ნორვეგიის ნაკრებს ნაყოფიერი შეტევის ორგანიზებაც ძალუძს, სხვათაშორის, ამგვარმა ტაქტიკამ ზედმიწევნით გაამართლა ბერძნებთან შეხვედრაში.

**— ქართველებსაც იგივე განლაგებით დაუპირისპირდებით?**

— გამორიცხული არაა, ყველაფერი ხვალინდელ შეხვედრაში გამოჩნდება.

**— გუნდში ორი სრულფასოვანი ფორვარდი გყავთ — ფლო და სოლსკიაერი. ბუნებრივია, მათ შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. ხომ არ აპირებთ, ორივე მათგანს ერთდროულად მისცეთ თავის გამოჩენის შესაძლებლობა?**

— ვფიქრობ, ფლოს და სოლსკიაერის თამაში ერთად არ მოხერხდება...

**— ესე იგი ერთი ფორვარდით ითამაშებთ, გამოდის კვლავ 4-5-1-ს დაეყრდნობით. ფლო თუ სოლსკიაერი?**

— შემადგენლობის დასახელებამდე ამ კითხვაზეც ვერ გიპასუხებთ.

**— რას ელით მომავალი შეხვედრისგან?**

— პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ქართველებს ბევრი ძლიერი მოთამაშე გყავთ და მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩემი აზრით, მატჩის დამახასიათებელი ნიშანი მოედანზე მჭიდრო მოქმედება იქნება. ისე, მეტოქე ზედმიწევნით კარგად მყავს შესწავლილი და ეს ფაქტორიც ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს.

**— თუ სრულ ინფორმაციას ფლობთ მეტოქეზე, საქართველოს ნაკრების სუსტი მხარეც გეცოდინებათ.**

— ბუნებრივია, თქვენს ნაკრებს დადებით მხარესთან ერთად ნაკლიც ბევრი აქვს და ამ მხრივ ბევრი რამ მაქვს მონიშნული, მაგრამ დღეს ამის გამხელას არ ვაპირებ. ჯობს, მატჩს დაველოდოთ.

**პაატა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი სტადიონიდან

# ამათზე კარგი, ამათზე გრძელი

ვინ და რა ჯურის ფეხბურთელი არ გვწვევია ქართველებს, რა ფერის, სქესის და ეროვნების მობურთალთათვის არ გვიმასპინძლია — ნორვეგიელების სიმაღლისა მაინც არავინ გვინახავს და თუ ადრე ალბანელების, სლოვენიელების, უკრაინელების ბუმბერაზობა გვაკვირვებდა, აწი ნამდვილად ველარავინ გაგვაოცებს.

ყველაზე ტანმორჩილი ვიკინგი, ერიკ მიუკლანდი ბარე საშუალო ქართველს გაეტოლება სიმაღლეში. მათგან ყველაზე მაღლები — ტორე ანდრე ფლო და იონ კარეუ კი თამამად დაამშვენებდნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს... კალათბურთში.

ჰო, კარეუზე სიტყვა ჩამოვარდა და წითური ზანგი გინახავთ? თუ არა, მობრძანდით 28 აპრილის საღამოს ცხრა საათზე ეროვნულ სტადიონზე, გადაიხადეთ „სულ რაღაც“ 10 ლარი ბილეთში და მერე გულდასმით დააკვირდით კარეუს. კარეუ წითური ზანგია.

ერთითაც გაგვაკვირვეს ნორვეგიელებმა — სხვა მეტოქეები, როგორც წესია, მატჩის წინა დღით ვარჯიშობდნენ ეროვნულ სტადიონზე, ამათ კი ორი დღით ადრე მოისურვეს იგივე. რაც შეეხება მატჩისწინა წვრთნას, მას ნილს იოჰან სემბის წვეულნი დღეს შუადღის პირველ საათზე ჩაატარებენ დიღმის ბაზაზე.

სხვა მხრივ კი ასეთი კეთილგანწყობილი და სულით ლამაზი ნაკრები ჯერ არც წვევია თბილისს. გულღია, მხიარული, ლამაზად აღნაგი ვიკინგები საოცრად წყნარი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ და აეროპორტშივე მოახერხეს დამხვდურებისთვის თავი შეეყვარებინათ.

ჩამოვიდნენ უემური იტალიელები და ქართველ ჟურნალისტებს მიკროფონ-დიქტოფონებზე ხელი აუკრეს...

ჩამოვიდა ავი გენიოსი — ვინმე ხრისტო სტოიჩკოვი და ქართველ ბიჭებს ბოთლიდან წყალი შეასხა...

ახლა ამათ ფონზე ოთარ მამასახლისთან ჩახუტებული და ქართველი ფოტორეპორტიორის წინ გულწრფელად მომღიმარი ტორე ანდრე ფლო წარმოიდგინეთ. როგორ გგონიათ, არ არის განსხვავება? არის და მერე როგორი.

აფერუმ, ვიკინგებს! ბურთის თამაშიც ჩინებული რომ შეუძლიათ და სტუმრობასაც შესაშურს ეწევიან. კი აქებდა ერთი „სარბიელელი“ ბიძაკაცი ნორვეგიელებს, მაგრამ ასეთ რამეს, გულახდილად ვამბობთ, არ მოველოდით. ამოდენა დელეგაციაში ერთი უემური რაა, ისიც კი არ გამოჩენილა.

ჰოდა, ამის შემდეგ ქართველ ჟურნალისტთა ინტერვიუების კოლექციას ფლოსთან, სოლსკიაერთან, მიუკლანდთან ინტერვიუები შეემატება და ამ საუბრების კაცს იქნებ დამავიწყდეს კიდეც, რომ მავანი ქართველი ფეხბურთელი პრესასთან ურთიერთობას თავს არიდებს.

ვარჯიშს რაც შეეხება, სხვებისგან არცთუ განსხვავებული ჩაატარეს მეტოქეებმა. მოთელვა, ფიზიკური ვარჯიში, კროსი, მცველ-თავდამსხმელთა სპარინგი, ორკარა და ბოლოს, მეკარეთა „დაბომბვა“.

ვარჯიშზეც ნათლად გამოჩნდა, რომ ნორვეგიელებს ტყუილად არ მიიჩნევენ უდავო ფავორიტებად ჩვენს ჯგუფში. სკანდინავიელები ყველაფერს თვალის დახამხამებაში, ერთი-ორი შეხებით აკეთებენ და ნამდვილად შესაბრალისია ის გუნდი, ვინც მათ ტემპში ვერ აჰყვება.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უნდა ეშინოდეს თავის კარში დანიშნული სტანდარტული სიტუაციებისა, რადგან ყველა მათგანს საჯარიმოში ჩაკიდება მისდევს და იქ კი... მტრისას, ვის საჯარიმოშიც ტორე ანდრე ფლო და კომპანია აუხტება ბურთს.

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ობიექტურად და პირუთვნელად — ნორვეგიელებმა უნდა მოგვიგონ.

თუ გულისთქმას მივენდობით, გვინდა, ქართველებმა გაიმარჯვონ. იქნებ ასრულდეს ტერი ვენეიბლზის ნაწინასწარმეტყველი „სასწაული ორ წელიწადში ერთხელ“ და „შინდისფერებმა“... გაიმარჯვონ.

კი, მართალია, სკანდინავიელები ორ და ას წელიწადში ყოველდღე არიან ჩვენებურებზე გრძელები, მაგრამ ხომ შეიძლება, ზოგჯერ (ორ წელიწადში ერთხელ) ქართველი ფეხბურთელები იყვნენ ნორვეგიელ ფეხბურთელებზე კარგები.

ალდგომა და ხვალეო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ნორვეგიელებმა ეროვნული სტადიონის გაზონის მზადყოფნა გუშინვე მოსინჯეს

რეპორტაჟი დიღმის ბაზიდან

# ღვთის წყალობისა და სასწაულის მოლოდინში

ისევ დიღმის საწვრთნელი ბაზა, ისევ ეროვნული ნაკრები. ამბობენ, ქვეყნად ყველა და ყველაფერი იცვლებაო, რა თქმა უნდა, უკეთესობისკენ და სულაც პირიქით. რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს არ ადგება საშველი. ყველა შეკრება ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. იგივე ადგილი, იგივე სიტუაცია, მართალია, ზოგან ახალ-ახალი სახეები ჩნდება, მაგრამ საერთო მდგომარეობა უცვლელია.

ნამგზავრი, დაღლილი ლეგიონერები და მოკრძალებული, მაგრამ მაინც ფერზე მყოფი შინაური ჩემპიონატის ფეხბურთელები. ჩაფიქრებული სახემოქუფრული მწვრთნელები და მუდამ მოფუსფუსე მედპერსონალი.

ხვალ სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩია ეროვნული ნაკრებისთვის. განწყობაც თითქოს სერიოზული და საბრძოლოა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელების ქცევაში ახალი არაფერი შეიმჩნევა. ისე, ყველა მათგანი კარგ ხასიათზეა, მხოლოდ რატი ალექსიძეა ზედმეტად ჩაფიქრებული და სერიოზული. პირველად ვნახე ასეთი. ვარჯიშზეც თავდაუზოგავი იყო, ბოლომდე იხარჯებოდა.

ვლადიმერ გუცაევი ძალიან მკაცრი გამომეტყველებით მოვიდა ვარჯიშზე. მის განკარგულებაში გუშინ საღამოს მხოლოდ 16 ფეხბურთელი იყო: სოსო გრიშიკაშვილი, ნიკოლოზ ტოგონიძე, ზურაბ ფოფხაძე, ლევან ცქიტიშვილი, გივი დიდავა, ალექსანდრე რეხვიაშვილი, მამუკა წერეთელი, ლევან სილაგაძე, რატი ალექსიძე, გიორგი კიკნაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ნემსაძე, ლევან კობიაშვილი, ზაზა ჯანაშია, მიხეილ ფოცხვერია, გიორგი დემეტრაძე. აი, გუშინდელი ეროვნული ნაკრები.

მათი მოსვლა დიღმის ბაზაზე დარაჯების გარდა არავის გაუგია. მოედნზე მყოფი საზოგადოება ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფის რიგით თამაშს, „დინამო 2“ — „ცხუმი“, უცქერდა. ნაკრები სავარჯიშო მინდორს მიუახლოვდა, ჩუმად გაიარა და ბოლოში გავიდა. ეროვნული გუნდის წევრებმა ხუთიოდ წუთი თამაშს უცქირეს, მერე ის მატჩიც მორჩა და...

ჩვეულებრივი ვარჯიში იყო, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თავიდან მწვრთნელმა გახურება ბრძანა და გუნდმაც რამდენიმე წრე ძუნძულით შემოურბინა სავარჯიშო მინდორს. მერე სტადუხინმა დაამუშავებინა კუნთები ფეხბურთელებს და მეკარეების გარდა ყველანი გუცაევს გადაულოცა.

კვადრატი მოედნის მცირე მონაკვეთზე. გუცაევი დროდადრო ფეხბურთელებს წყვილ-წყვილად გამოიხმობდა და მათ მოქნილობა-სისწრაფეს ამოწმებდა.

მერე გუნდი ორად გაყო და მოედნის მეოთხედზე მწვრთნელმა პრესინგის თამაში მოითხოვა. ეს პროცედურა მაინცდამაინც დალაგებული და შთამბეჭდავი ვერ გამოვიდა.

ნაკრებმა ბოლოს ნახევარ მინდორზე ორკარაც ითამაშა. ვლადიმერ გუცაევს დიდი დატვირთვებისთვის არ მოუმართავს. მწვრთნელი, ალბათ, სწორადაც მოიქცა. ფეხბურთელები რალაც დამძიმებულები ჩანდნენ, მათ მოძრაობებს სიხალისე და სისხრატე აკლდათ.

მხოლოდ მეკარეებზე ვერ ვიტყვით ვერაფერს. თავდაუზოგავად იხტუნავეს, ბოლომდე აიტანეს სტადუხინის ყუმბარისებური დარტყმები. წესისა და რიგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნორვეგიელებთან მატჩში კარს, ალბათ, ნიკა ტოგონიძე დაიცავს, იგი სოლიდურად გამოიყურებოდა.

სხვებზე რა მოგახსენოთ, ჯანაშია უცვლელია, იგი მუდამ იმას აკეთებს, რასაც ფიქრობს, ვარჯიშობს, ცოტას „ზარმაცობს“, მაგრამ საერთო ჩარჩოში ბრწყინვალედ ეწერება.

არა უშავს ალექსანდრე რეხვიაშვილს, დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ კარგად გამოიყურება.

ლევან ცქიტიშვილი წონანაკლული მეჩვენა, დასერიოზულებული და დაკაცებული ჩანს. კაპიტანი, ეტყობა, გზამ დაღალა. ნემსაძეს ვარჯიში არ ჩაუმთავრებია, მანამდე მოკალათდა მოედნის კუთხეში, ორკარას თამაშისას მისი ადგილი ვლადიმერ პანოვმა დაიკავა.

ჰო, მართლა, ბაზაზე რობერტო ლანდიც იყო. საწვრთნელ პროცესში არ ჩარეულა, მაგრამ იქვე ახლო-მახლო აქტიურად ტრიალებდა.

ნაკრების წვრთნას, მართალია შორიდან, მაგრამ თვალს მაინც ადევნებდა „დინამოს“ ჰოლანდიელი კონსულტანტი იოჰან ბოსკამპი. ნიდერლანდელს ჰოლანდიელი ფიზმომზადების სპეციალისტი, ვინმე ფრანსუაც თან ჩამოუყვანია, ჯერჯერობით მისი გვარი ვერავინ გვითხრა.

სულ ეს იყო, წვრთნის შემდეგ გუცაევმა ბიჭებს ავტობუსში უხმო, არც ერთი წუთი ზედმეტი, აჩქარებით სასტუმრო „შერატონისკენ“ გაექანა ნაკრები.

კიდევ ვის ელოდებოდა გუცაევი? კახა კალაძეს კიევიდან, არჩილ არველაძეს ჰოლანდიიდან, თემურ ქეცბაიას და გიორგი ქინქლაძეს ინგლისიდან.

შოთა არველაძე რომ ვერ ითამაშებს, იცის ეს გუცაევმა, მაგრამ მწვრთნელი ხვალამდე თემურ ქეცბაიას მოლოდინში იქნება. ქეცბაიას შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები შევიტყვეთ. მწვრთნელები ამბობენ, ჩამოვა, ველითო, მისი ახლობლებისგან კი გავიგეთ, ტრავმა, კერძოდ ტვინის შერყევა აქვს, თავიდან სერიოზული არაფერი ეგონა, მაგრამ მერე გართულებიაო.

ფაქტი ერთია, თემურ ქეცბაიას ელიან და ის საჭიროა ნაკრებისთვის.

სხვას დღეისთვის ვერას მოგახსენებთ. გვიჭირს ამის თქმა, მაგრამ ნორვეგიელთა ძლევის შანსები ძალიან მცირეა. თუ ღმერთმა წყალობა გვიბოძა, თუ ქართველმა ფეხბურთელებმა „ფრენა“ დაიწყეს, მაშინ სხვა ამბავია. თუმცა გულს ნუ გავიტეხთ, ვიყოთ სასწაულის მოლოდინში.

**მამუკა ძვანტალიანი**



საქართველოს ნაკრები გუშინდელი საღამოს ვარჯიშისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 24 ტური

# შენ, ბიჭო, ნიგერიელო!

თბილისი
24 აპრილი
16 საათი
სინათლე
1 500 (ტევადობა 3 000,

## მერანი 1:0 ბათუმი

1:0 ამბიძე (47)
**მერანი:** ლომაია, ჭელიძე, ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა (ბაჯელიძე 81), ჩუხუა (ბერაია 88), ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჩანადირი
**ბათუმი:** ტოგონიძე, გუჯაბიძე, მინდაძე, სიჭინავა, პაპიძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ღლონტი, გადელია, ხომერიკი, რუსია (უვაკვე 75)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ვერემჩუკი, აფხაზავა, მაქაცარია, ყულეჯიშვილი, კანტიძე
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე; ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

კონსტანტინე გოგიშვილი

შემინდოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეულმა სულმა, მაგრამ ერთ მკრეხელურს მაინც ვიტყვი — ტატო რომ ცოცხალი ყოფილიყო და სერგო გაბელაიას „მერანის" კუნტრუში ენახა მეორე წრეში, დაწერილიც რომ არ ჰქონოდა თავისი „მერანი", მაინც დაწერდა.

ბოლო მატჩებია, ერთიმეორის მიყოლებით ამწარებს „მერანი" მეტოქეებს. ერთადერთხელ იწვნიეს მარცხი ტრანსპორტელებმა და ისიც „დინამოსგან". „დინამოსთან" 0:2-ზე მარცხი კი ჰოი, რა საპატიოა.

„სინათლეზე" შეკრებილ მაყურებელთა უმეტესობა სულით და ხორცით მერანელი კი გახლდათ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკვეხნიდა — „მერანი" უთუოდ გაიმარჯვებსო. „ბათუმი" კი ფავორიტი არ არისო. მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივმა" თასის გათამაშებიდან ზღვისპირელები დაიფრინა, „ბათუმს" ერთადერთი საევროპო ბილიკილა დარჩა — ეს ბილიკი საპრიზო სამეულზე გადის. ამიტომაც ვფიქრობდით ყველა, რომ „ბათუმი" თუ ვერ მოიგებდა, არც წააგებდა.

თვითონ მატჩი „სინათლისთვის" დამახასიათებელ დუნე, უსიცოცხლო ტემპში წარიმართა. გუნდები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე მეტად ზრუნავდნენ და ამ მხრივ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ერთმანეთს. „ბათუმის" შემადგენლობა თამაშით არა და მოთამაშეთა სახელგანთქმულობით ნამდვილად სჯობდა მასპინძლებს.

სახიფათო მომენტები თითქმის არ იქმნებოდა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყვნენ მეკარეები უქმად, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ტრანსპორტელები მით მეტად რწმუნდებოდნენ იმაში, რომ „ბათუმი" იმ დღეს მათი მომგები არ იყო და ბახვა ამბიძის გონიერი, დალაგებული გარჯის მეოხებით ერთი-ორჯერ ტოგონიძეც გადაახტუნეს.

პირველი ნახევრის ბოლოსთვის გუნდები შესამჩნევად გაიხსნენ და ფეხბურთიც ჩვენი ჩემპიონატის დონესთან შედარებით ამოდ საცქერი გახდა. არ ვიცით, რატომ იქცეოდნენ ბათუმელები ასე ინერციულად მინდორზე, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი კაცი უფრო იმას იფიქრებდა, „მერანს" უფრო მიუხარია ევროსარბიელისკენო.

შეხვედრის პირველი ნახევარი უგოლო ფრით დასრულდა. მოსახდენი მეორე ტაიმში მოხდა, ზედ დასაწყისში ორგანიზებულმა მასპინძლებმა მარჯვენა ფრთაზე ცარიელი ზონა დაუჭირეს ბათუმელებს, სწრაფ შეტევას ტოგონიძის კარის გასწვრივ ჩაწოდება მოჰყვა და კარიდან ხუთიოდე მეტრში მარტოდ დარჩენილმა ბახვა ამბიძემ ძირს დაუშვებლად, ლამაზი დარტყმულით ანგარიში გახსნა.

მატჩის დამთავრებამდე კიდევ კარგა დრო იყო დარჩენილი, ზღვისპირელები კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არ ჩქარობდნენ და დინჯად აგორებდნენ ბურთს. ხომერიკი მკვიდრად ჩაეკეტა მერანელ ჭინჭარაულს, რუსიას სარბენი ასე ჰქონდა შეზღუდული, უამისოდ კი მას ბევრის გაკეთება არ შეუძლია. ჩვეულად ვერ ირჯებოდა თავის ფრთაზე გადელიაც და ესენი რომ ვერ აქტიურობდნენ, „ბათუმი" თავის თავს აღარ ჰგავდა. სხვების რა გითხრათ და ისევ ბებერმა ლომმა — მალხაზ მახარაძემ აინაცვლა შეტევის წინა ხაზზე. იბრძოლა კიდეც, კუთხურებსაც აწოდებდა და პასსაც დროულად და გამოზომილს აძლევდა თანაგუნდელებს. ვაგლახ! ველარ გასწია ჭაპანი მარტოკაცმა. იმ დღეს ლომაიას კარის დალაშქვრა არ იყო ადვილი, მით უმეტეს, თავად გიორგიც მშვენივრად ირჯებოდა.

მატჩის დასასრულისთვის „ბათუმის" დაცვა ერთიანად დაიბზარა და გულჩვილი მერანელები რომ არა, ვინ იცის, ნიკა ტოგონიძეს რამდენი ბურთის გამოტანა მოუხდებოდა თავისი კარიდან. იყო მომენტები, როცა მეკარისა და მცველის წინაალმდეგ ერთბაშად სამი-ოთხი „მერანის" ფეხბურთელი შედიოდა, მაგრამ იღბლის, მეკარის ოსტატობისა და ოღროჩოღრო მოედნის წყალობით „ბათუმის" კარში გოლი არ გადიოდა.

მსაჯებმა, კვალიფიციურად და ობიექტურად რომ იმსაჯეს ეს მატჩი, ორიოდე წუთი ზედმეტი არბენინეს სტუმარ-მასპინძელი და მერე მეშკოვმა კეთილსინდისიერად ჩასტვინა. 1:0 გამარჯვება და სამი ქულა „მერანს".

სხვა მხრივ, ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მატჩი ნიგერიელმა უჩე უვაკვემ გამოარჩია. იგი სეზონში სულ მეორედ ვიხილეთ „ბათუმის" რიგებში (პირველად თასზე „ლოკომოტივთან" ითამაშა) და თუ მის დიდ ფეხბურთელობას ვერ დავიჩემებთ, არც ისეა საქმე, ბარი სალამივით ცრუ და უვიცი ვუწოდოთ.

დარბოდა, იხსნებოდა, მოძრაობდა ეს შავი კაცი მინდორზე და თუ არაფერს ათეთრებდა, არც აშავებდა, ის, კი, თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბურთს რომ მხოლოდ ერთხელ გაეკარა (ზუსტადაც), რა მისი ბრალია. დრო მოვა და მეტსაც იზამს.

ასე რომ, მიდი, უჩე უვაკვე — შე ნიგერიელო!

23 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| **სიონი** | **1** |
| **კოლხეთი** | **1** |
| **დინამო** | **3** |
| **ვიტ ჯორჯია** | **2** |
| **გურია** | **1** |
| **ტორპედო** | **5** |
| **სამგურალი** | **2** |
| **იბერია** | **3** |
| **დილა** | **0** |
| **ლოკომოტივი** | **2** |
| **გორდა** | **6** |
| **ოდიში** | **2** |
| **არსენალი** | **0** |
| **თსუ** | **0** |

24 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| **მერანი** | **1** |
| **ბათუმი** | **0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 18 | 5 | 0 | 70:10 | 59 |
| ტორპედო | 23 | 15 | 4 | 4 | 52:20 | 49 |
| ლოკომოტივი | 23 | 12 | 10 | 1 | 29:12 | 46 |
| ბათუმი | 23 | 10 | 9 | 4 | 33:16 | 39 |
| კოლხეთი | 23 | 11 | 4 | 8 | 48:34 | 37 |
| მერანი | 23 | 8 | 9 | 6 | 23:21 | 33 |
| დილა | 23 | 9 | 5 | 9 | 29:35 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 4 | 9 | 27:20 | 31 |
| იბერია | 23 | 8 | 5 | 10 | 34:37 | 29 |
| არსენალი | 23 | 6 | 9 | 8 | 27:40 | 27 |
| სამგურალი | 23 | 7 | 3 | 13 | 20:40 | 24 |
| თსუ | 23 | 5 | 8 | 10 | 17:26 | 23 |
| გორდა | 23 | 4 | 9 | 10 | 14:32 | 21 |
| ოდიში | 23 | 6 | 2 | 15 | 16:39 | 20 |
| სიონი | 23 | 5 | 5 | 13 | 19:42 | 20 |
| გურია | 23 | 3 | 3 | 17 | 22:56 | 12 |

„ვიტ ჯორჯიას" 3 ქულა აკლია

# ...სხვაგვარად არ ძალუძთ



ვახტანგ კოპალეიშვილი

*— უბოროტო ბიჭები არიან, ერთმანეთისადმი საოცრად კეთილგანწყობილი, ძმური ურთიერთობა აქვთ — ასე ახასიათებს ვახტანგ კოპალეიშვილი 18-წლამდელებს.*

*— მისგან მამაშვილურ დამოკიდებულებას ვგრძნობთ. გვწამს და გვჯერა ვახტანგ მასწავლებლის — ეს მისი შეგირდების სიტყვებია.*

*„კოპალას ბიჭები" — ასე მონათლეს გუნდი. მათთვის უცხოა დამარცხებულის სინდრომი. 1996 წელს პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდული თამაშები მოიგეს. ერთ წელიწადში ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ნაბიჯილა დააკლდათ...*

*1999 წლის 11 მაისი. ბათუმი. საპასუხო მატჩი. საქართველო — ჩეხეთი (2:2). გვჯერა, მოიგებენ... სისხლში აქვთ გამჯდარი გამარჯვების წყურვილი და იმიტომ... ერთსულოვნება სუფევს მათ ბანაკში და იმიტომ... გუნდსა და მწვრთნელს შორის იდეალური დამოკიდებულებაა და იმიტომ...*

*„კოპალას ბიჭები" ჩეხეთიდანაც თავანეულნი დაბრუდნენ. საპასუხო შეხვედრის წინ ვახტანგ კოპალეიშვილი იმედიანადაა.*

**— როგორც ვიცით, ჩეხეთში გამგზავრებამდე გერმანიაში კარგ პირობებში მოგიწიათ ხუთდღიანი შეკრება.**

— საარბრიუკენში ერთ-ერთი სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ვვარჯიშობდით. აქვე იყო ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სამედიცინო ცენტრი. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და ცნობილი მწვრთნელი ჰერმან ნოირბერგერი საარის მხარიდან იყო და ჩვენი იქაური სამყოფელიც მის სახელს ატარებდა. ყველაფერი საოცრად კეთილმოწყობილია. ასეთ პირობებზე საქართველოში, სამწუხაროდ, მხოლოდ ოცნება შეიძლება. გერმანული შეკრება ძალიან წაგვადგა და ამაში მერაბ ჟორდანიასა და საშა ჩივაძეს უნდა ვუმადლოდეთ.

**— საარბრიუკენის გუნდს ამხანაგურად შეხვედრიხართ და 6:0 გაგინადგურებიათ.**

— საარის მხარის 18-წლამდელთა ნაკრებს ვეთამაშეთ. ანგარიშის მიუხედავად, ურიგო გუნდი ნამდვილად არ იყო, თავიდან გაგვიძალიანდნენ კიდეც მაგრამ გავტეხეთ მეტოქე. შემდეგ ჩეხეთისკენ ავიღეთ გეზი...

**— ავტობუსით მომქანცველ მგზავრობაზე რას გვეტყვით?**

— 19-ში დილით, საუზმის მერე გავემგზავრეთ. სიმართლე გითხრათ, არ გვინდოდა ამხელა გზაზე ავტობუსით წასვლა, მაგარამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. გადაფრენა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ღამის პირველ საათზე ჩავედით ოპავაში. სამი საათი კიდევ გერმანია-ჩეხეთის საზღვარზე დაგვაყოვნეს. ამ წვალებაში ბიჭები ცოტა დაიღალნენ. დილით მოქანცულები ჩანდნენ და სალამოთი პატარა ვარჯიში ჩავატარეთ. მეორე დღეს კი თამაში გვქონდა. თანაც ჩეხებმა იქაური დროით 16 საათსა და 30 წუთის ნაცვლად მატჩი 16 საათისთვის გადმოიტანეს...

**— მეტოქის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდიდით. ვარაუდები გაგიმართლდათ?**

— თითქმის ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. ამაში ჟურნალისტებსაც დიდი წვლილი მიგიძღვით. ზუსტად ის შემადგენლობა დაგვახვედრეს, რომელიც „სარბიელმა" კარგა ხნით ადრე გადმოგვცა. სფფ-მ მათი თამაშის ვიდეომასალით მოგვამარაგა და ეს ყველაფერი ძალიან დაგვეხმარა სწორი ტაქტიკის არჩევასა და გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადებაში.

**— ჩეხი 18-წლამდელები როგორ ფეხბურთს თამაშობენ?**

— ევროპული სტარდარტების დონეზე აწყობილი გუნდია. ათლეტიზმი და ტექნიკა გაჯერებული აქვთ. აი, საფეხბურთო ეშმაკობებში კი აშკარად გვჯობნიან. არის ფეხბურთში ისეთი პატარ-პატარა ნიუანსები, რომლებიც ანგარიშგასაწევ ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ასეთ კომპონენტებში გვჯობდნენ.

**— თვით მატჩზე რას გვეტყვით?**

— მთავარი ის, იყო, რომ ბიჭები საბრძოლო ჟინით გავიდნენ მოედანზე. მომქანცველი მგზავრობის კვალი ცოტათი ემჩნეოდათ, მაგრამ მონდომებას არ იშურებდნენ.

ყოველნაირად ცდილობდნენ იმ ტაქტიკური მონახაზის განხორციელებას, რაც დავავალე. აქედანვე ვაჩვევთ სათამაშო სქემით მოქმედებას, თუმცა მთავარია, როგორ შეასრულებენ, მოწინაალმდეგე რის საშუალებას მოგვცემს. თავდაცვის დროს 4-5-1 პრინციპით ვთამაშობდით, შეტევისას კი 4-3-3 სქემას ვანიჭებდით უპირატესობას. საერთო ჯამში ყველათი კმაყოფილი დავრჩი.

**— თითქმის მოგებულ შეხვედრაში ბოლო ჩვიდმეტ წუთში ორი ბურთი გაუშვით...**

— გამოუცდელობამ უფრო იმოქმედა, ვიდრე ფიზიკურმა მომზადებამ. 2:0 რომ მიჰყავდათ ანგარიში, ბიჭებმა თავიანთი ძალების ზედმეტად ირწმუნეს და თვითდაჯერებამ დაგვალალატა. არადა, 2:0-ზე კიდევ გვქონდა კარგი მომენტი. თუმცა 2:2 რომ გახდა, გამონახეს ძალა და მაინც შეტევაზე წავიდნენ. ეს ფაქტი მახარებს. ამ თაობამ იცის გამარჯვებების გემო, პორტუგალიაში ახალგაზრდული თამაშები მოიგო, შემდეგ ასე ახლო იყო მიზანთან. მათი მარცხის შიშით დათრგუნვა არც ისე იოლია.

**— 11 მაისისთვის როგორ მოემზადებით?**

— 5 რიცხვიდან ვეგემავთ შეკრებას. ბათუმში, სასტუმრო „სპუტნიკში" დავბინავდებით და მზადებას დავიწყებთ. გვჯერა, ყველა გვერდით ამოგვიდგება.

**— ეროვნული სტადიონი ცუდად გაქვთ დაცდილი. ბერძნებთან უგოლო ფრემ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად გზა გადაგიკეტათ. ამის გამო ხომ არ არჩიეთ ბათუმში თამაში...**

— ამაზე მატჩის შემდეგ გეტყვით.

**— ისე, ასეთ დეტალებს ყურადღებას აქცევთ?**

— მე მორწმუნე კაცი ვარ. ყველაფერი გავითვალისწინე. კერძოდ რა, ამას 11-ში გაგიმხელთ.

**— უფრო ადვილია, გუნდი ფსიქოლოგიურად განაწყო მოგებისთვის...**

— გეთანხმებით. ყველაფრისთვის მზად ვართ. სულაც არ ვაპირებთ დაცვითი ტაქტიკის არჩევას. მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელის პერსონალურ მეურვეს მივუჩენთ. ისინი გატანაზე დაიწყებენ თავიდანვე ზრუნვას. ჩვენც შევეცდებით პირველებმა მოვახერხოთ ეს და საქმე გავიიოლოთ. დაცვაში ჩაჯდომა ხეირს არ მოგვიტანს.

**— რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ხომ არ აპირებთ?**

— გვინდა, აფხაზავა დავიმატოთ „ბათუმიდან", იმედაძე — „ტორპედოდან" და გოცირიძე — „დინამო 2"-დან. ვნახოთ.

**— როგორც პროფესიონალი, შანსებს როგორ აფასებთ?**

— ალბათ, სამოცი ორმოცზე ჩვენს სასარგებლოდ. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. თქვენ თავად დარწმუნდებით, როგორ ძლიერ გუნდთან გვიწევს თამაში.

ხვიჩა სანიძიძე

# სოსო ჭედია: უნდა წავიდე!

რუსთავში, „გორდასთან" განადგურების შემდეგ ზუგდიდის „ოდიშმა" ისედაც რთული სატურნირო მდგომარეობა მთლად გაიუარესა. ამის შემხედვარე სოსო ჭედიამ კი თანამდებობის დატოვე-ბა გადაწყვიტა: „ოდიშის" გამწვრთნელი აღარა ვარო — განაცხადა მან.

გუშინ კი ზუგდიდში მთელი საფეხბურთო საზოგადოება შეიკრიბა. აქაურები მწვრთნელის ნათქვამს გამოეხმაურნენ და სოსო ჭედიას სთხოვეს, გუნდში მუშაობა გაეგრძელებინა. მან კი ისევ იუარა.

ყველაფერი დღეს უნდა გაირკვეს — ქალაქის ხელმძღვანელობამ „ოდიში" ფეხბურთელებიან-უფროსებიანად თავისთან დაიბარა, ეგებ რაიმე გავაკეთოთ და ჩვენს საყვარელ გუნდს პირველ ჯგუფში ადგილი შევუნარჩუნოთო. სოსო ჭედიაც, საბოლოოდ დღეს იტყვის, დატოვებს თუ არა თანამდებობას. ფეხბურთელებმა კი განაცხადეს, კაპიკი არ გვინდა, ისე ვიბრძოლებთ ჯგუფში დასარჩენადო. მათ ჭედიას მწვრთნელობა სურთ.

თენგიზ ძოჩუა ზუგდიდან

## ინგლისი

# სიმცირეში გაზრდილი დაძაბულობა

### XXXV ტური

**ასტონ ვილა 2:0 ნოტინგემი**

1:0 დრეპერი (43), 2:0 ბერი (57)
ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი (ეპიოგუ 72), კალდერვუდი, საუთგეიტი, რაიტი, სტოუნი (დელანი 83), დრეპერი, ტეილორი, მერსონი, დაბლინი, ჯოაკიმი
ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, სტინსასი (ვან ჰოიდონკი 68), მეტსონი, ჩეტლი, პილდე, ჯონსონი (ბარტ-უილიამსი 57), ლუი-ჟანი, როჯერსი, პერვუდი, ფრიდმენი (შიპერლი 74)
გაფრთხილება: პილდე
მსაჯი: დარკინი

**ბლექბერნი 1:3 ლივერპული**

0:1 მაკმანამანი (23), 0:2 რედნაპი (31), 0:3 ლეონარდსენი (32), 1:3 დაფი (63)
ბლექბერნი: ფილანი, მაკატირი, ენჩოსი, პიკოკი, კროფტი, ჯონსონი (დანი 63), კერსლი, უილკოქსი, დაფი, გალაჰერი, უორდი
ლივერპული: ფრიდელი, სონგი (კვარმე 83), კარაგერი, სტონტონი, მატეო, ტომპსონი, ინსი, რედნაპი, ლეონარდსენი, რიდლე (დანდი 80), მაკმანამანი
გაფრთხილება: ენჩოსი, ტომპსონი, სონგი, მატეო
მსაჯი: პარისი

**დერბი 0:0 საუთჰემპტონი**

დერბი: პოომი, პრაიორი, კარბონარი, ლაურსენი, ერანიო, პაუელი, ბოჰინენი, ბეკი (დელაპი 46), შნური (სტარიჯი 70), ვანჩოპე, ბარტონი (პარპერი 83)
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, მონკუ, ბენალი, პილი, ოუკლი (ბერესფორდი 63), მერსდენი, პიუზი, კეჩლოული (ოსტენსტადი 75), ბიტი, პახარსი (პერსტი 84)
გაფრთხილება: პრაიორი, ბარტონი, დელაპი, ბიტი, პახარსი
მსაჯი: უილკი

**ევერტონი 4:1 ჩარლტონი**

1:0 პაჩისონი (23), 2:0, 3:0 კემპბელი (31, 60), 4:0 ჯეფერსი (75), 4:1 სტიუარტი (80 პ)
ევერტონი: მირე, უეირი, შორტი, უოტსონი, ანსუორსი, ბოლი, ჯემილი, დაკურტი, პაჩისონი, ჯეფერსი, კემპბელი
ჩარლტონი: პეტერსონი, მილსი, ტილერი, იუდსი, პაუელი (ბოუენი 88), რუფუსი (პანტი 68), ჯონსი, კინსელა, სტიუარტი, პრინგლი, ბრაიტი (ბარნსი 68)
გაფრთხილება: დაკურტი, უეირი, ბოლი, სტიუარტი
მსაჯი: ელკოკი

**ლესტერი 1:0 ქოვენთრი**

1:0 მარშალი (45)
ლესტერი: კელერი, სინკლერი, ელიოტი, კამარკი, იმპეი, ლენონი (გუნლაუგსონი 90), სევიჯი, გაპი, მარშალი (ფენტონი 87), კოტი (კემპბელი 69), პესკი
ქოვენთრი: პედმანი, შოუ, უილიამსი, ბრინი, ბაროუზი, ტელფერი (ჰოლი 46), ბოტენგი, კლემენტი (სოლტვედტი 74), ქუინი, ალოიზი (ჯიოჩინო 60), პაკერბი
გაფრთხილება: ელიოტი, ქუინი, ჯაკერბი, შოუ
მსაჯი: ბარბერი

**ტოტენჰემი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 რაიტი (4), 0:2 კელერი (65), 1:2 ჟინოლა (72)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კემპბელი, იანგი, ტარიკო, ანდერტონი (ნილსენი 73), შერვუდი, ფროინდი, ჟინოლა, ივერსენი (არმსტრონგი 83), დომინგესი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ლომასი, პირსი, ფერდინანდი, მინტო, სინკლერი, მონკური, ბერკოვიჩი, ლამპარდი, კელერი, რაიტი (ლაზარიდისი 90)
გაფრთხილება: ანდერტონი, ჟინოლა, ტარიკო, ბერკოვიჩი, მონკური, ფერდინანდი, ლომასი
გაძევება: მონკური (90)
მსაჯი: რენი

**უიმბლდონი 1:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (18), 1:1 ჰართსონი (24)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, ბლექველი, თეთჩერი, პიუზი, ერლი, გეილი, იუელი, ჯაპი, კორტი, ჰართსონი (კიმბლი 75)
ნიუკასლი: გივენი, დომი, შირერი, მარიჩი, სპიდი, ჰამანი, სოლანო, ბეპაროლი, დაბიზასი, გრიფინი, ანდერსონი
გაფრთხილება: თეთჩერი, ერლი, პიუზი
მსაჯი: ჯონსი

**ლიდსი 1:1 მანჩესტერი**

1:0 ჰასელბაინკი (32), 1:1 კოული (56)
ლიდსი: მარტინი, ჯონსი, ვუდგეიტი (ვეზეროლი 59), რადებე, ჰარტი, ბოუიერი, ბეტი, მაკფეილი, კიუელი, ჰასელბაინკი (უაინჰარდი 86), სმიტი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, მეი, ბრაუნი, ირვინი (ფ. ნევილი 71), ბექემი (სქოულზი 84), ბათი, კინი, ბლომკვისტი (შერინგემი 77), იორკი, კოული
გაფრთხილება: ჰასელბაინკი, მეი, ბათი, კინი
მსაჯი: გალაჰერი

**შეფილდი 0:0 ჩელსი**

შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, უოქერი, ტომი, სტეფანოვიჩი, ალექსანდერსონი, იონკი, სონერი, მაკკივერი, ბუსი (კრესველი 80), კარბონე
ჩელსი: პიჩოკი, ფერერი, ლებეფი, დესაი, ბაბაიარა, ლამბურდი, პოიეტი (ნიუტონი 59), უაიზი, გოლდბეკი, ვიალი, ფორსელი (ძოლა 46)
გაფრთხილება: ბუსი, ბაბიარო, ფერერი
მსაჯი: დანი

**მიდლსბრო 1:6 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (2 პ), 0:2 ანელკა (38), 0:3 კანუ (45), 0:4 ვიეირა (58), 0:5 კანუ (60), 0:6 ანელკა (78), 1:6 არმსტრონგი (87)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი (კინდერი 37), პალისტერი, ვიკერსი, სტოკდეილი (სამერბელი 61), მასტო, მედისონი (არმსტრონგი 71), თაუნსენდი, გორდონი, დინი, რიკარდი
არსენალი: სიმენი, დიქსინი, ბოულდი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი (პიუზი 86), ოვერმარსი (დიავარა 70), ანელკა, კანუ (ვივასი 79)
გაფრთხილება: რიკარდი, სამერბელი
მსაჯი: რილი

გასულ უქმეებზე ინგლისის სტადიონებზე და მათ გარეთაც ბევრი საინტერესო რამ მოხდა. დავიწყოთ სტადიონებით. „ლიდსმა", რომლის თავკაცი დევიდ ოლირი, ახლახან გამოფორმებული კონტრაქტის თანახმად, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით სავსე გუნდში კიდევ 5 წელი იმუშავებს, ჩემპიონთა თასის ფინალისტ „მანჩესტერს" უმასპინძლა და „არსენალის" გასახარად, ოქროს ფასის მქონე ორი ქულა აართვა.

— პირველ ტაიმში ცუდად გამოვიყურებოდით და „ლიდსმა" ამით მშვენივრად ისარგებლა. კიდევ კარგი, ბიჭებმა შესვენებაზე ყურადღებით მომისმინეს, თორემ საერთოდ წავაგებდით. ჩემპიონობისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ეტაპზეა და სწორედ ახლა გვმართებს ძალის მოკრება და ნერვების დაწყნარება — თქვა მატჩის შემდეგ გასული კვირის ინგლისის გმირმა ალექს ფერგიუსონმა.

ინტრიგამ დიახაც რომ პიკს მიაღწია. „მანჩესტერმა" ლიდსიდან მხოლოდ ქულა წაიღო შინ, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა. წინა დღეს ხომ ჩემპიონმა, ლონდონის „არსენალმა", გაზას „მიდლსბროს" დიდი სირცხვილი აჭამა, 6:1 მოუგო და პრემიერლიგურ მარათონს, როგორც იქნა, სათავეში მოექცა.

— უბედნიერესი კაცი ვარ. მარტო იმიტომ კი არა, რომ ცხრილში პირველები ვართ, არამედ იმიტომაც, რომ გუნდი დიდებულად ათამაშდა. ამიერიდან „არსენალის" გამჩერებელი არავინაა, მთავარია, „მანჩესტერმა" წაიბორძიკოს. მისი უმძიმესი კალენდრის გათვალისწინებით, ეს სავსებით რეალურია — ლონდონელთა ფრანგი მენეჯერი არსენ ვენგერი დარწმუნებულა, რომ მისი გუნდი შარშანდელ წარმატებას გაიმეორებს.

ახლა ჩემპიონობისთვის მებრძოლი ორივე კლუბის მომავალ კალენდარს გადავხედოთ.

ლიდერი „არსენალი" მომავალ ტურში მერვეადგილოსან „დერბი ქაუნთის" მასპინძლობს, შემდეგ სტუმრად ორ მატჩს გამართავს თანაქალაქურ „ტოტენჰემთან" და „ლიდსთან" და ბოლოს, 16 მაისს, ექსლიდერ „ასტონ ვილას" დაუხვდება.

„მანჩესტერ იუნაიტედი" „ოლდ ტრეფორდზე" „ასტონ ვილას" შეხვდება, ზედიზედ სამ მატჩს სტუმრად ჩაატარებს „ლივერპულთან", „მიდლსბროსთან" და სახიფათო ზონაში მყოფ „ბლექბერნ როვერსთან", ბოლოს კი „ტოტენჰემს" უმასპინძლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „არსენალი" პრემიერლიგის გარდა არც ერთ ტურნირში აღარ მონაწილეობს, ფერგიუსონის გუნდს კი 22 მაისს მძიმე ბრძოლა ელის ასოციაციის თასის ფინალში ქეცბაიას „ნიუკასლთან", ხოლო 4 დღეში — ჩემპიონთა თასის გადამწყვეტი მატჩი ბარსელონის „კამპ ნოუზე" „ბაიერნთან". ძნელი წარმოსადგენია, „იუნაიტედმა" სამივეგან წარმატებას მიაღწიოს, ამიტომ ყურადღება ერთ-ერთზე, ან მაქსიმუმ ორზე უნდა გაამახვილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში „მანჩესტერი", უბრალოდ, შეიძლება „გადაიწვას" და ხელცარიელი დარჩეს. ვნახოთ, როგორ არჩევანს გააკეთებს ფერგიუსონი.

ისე, შეფილდში 0:0 დასრულებული შეხვედრა რომ არა, იქნებ პირველობის კანდიდატთა შორის „ჩელსიც" გვეხსენებინა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ჯანლუკა ვიალი გაცილებით კარგი ფეხბურთელი იყო, ვიდრე მწვრთნელია. აბა, სხვას რას უნდა დაბრალდეს ის, რომ ვარსკვლავებით გადაჭედილმა გუნდმა ბოლო ორ კვირაში ჯერ შინ გაათანაბრებინა უსუსურ „ლესტერს" მატჩის მიწურულს (2:2), მერე თასების თასის ნახევარფინალის საპასუხო თამაში წააგო ახლახან გამოჩეკილ „მალიორკასთან" და ფინალში გაატარა, ახლა კი „უენსდეის" ვერ მოუგო. ჯამში „ჩელსი" ევროტურნირებსაც გამოეთიშა, ბოლო ორ ტურში კი სუსტ მეტოქეებს ოთხი ქულა აჩუქა. შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ — „ჩელსი" არ არის ინგლისის ჩემპიონობის ღირსი. ამაში მსოფლიოს ჩემპიონი, ლონდონელთა მცველი ფრანკ ლებეფიც გვეთანხმება:

— ასე არ ხდება. როდესაც რაღაცის მიღწევა გინდა, თავი უნდა გადადო, ჩვენ კი უაზროდ ვკარგეთ ქულები. ამას არავინ გაპატიებს, ეს ხომ დღესავით ნათელია. მე ასე ვიტყოდი — ყველაფერი დასრულდა.

მაშ, ასე. სანუკვარი ტიტულისთვის მებრძოლი სამეული, გავბედავთ და ვიტყვით, დუეტად გარდაიქმნა. თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ კონკურენტთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად საგრძნობლად იმატა დარჩენილთა, ანუ „არსენალსა" და „მანჩესტერს" შორის დაძაბულობამ. ასე იყო შარშანაც — „იუნაიტედი" კარგა ხანს პირველობდა, ფინიშზე კი წაიფორხილა და „არსენალის" მძლავრმა მატარებელმა ისე სწრაფად ჩაუქროლა, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო. დედაქალაქელები სწორედ გადამწყვეტ ეტაპზე არიან შეუდარებელნი.

დროა ცხრილის საპირისპირო მხარესაც გადავინაცვლოთ. „ნოტინგემ ფორესტი", ერთ დროს ევროპის უძლიერესი კლუბი, ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი, პრემიერლიგიდან გავარდა და რონ ატკინსონმა, ერთ დროს „დიდ რონად" წოდებულმა კაცმაც, რომელიც ამჟამად გაუბედურებულ „ფორესტს" წვრთნის, ფეხბურთთან გამოთხოვება გადაწყვიტა.

— რაღაც მომენტში ყველაფერი სრულდება. ჩემი წასვლის დროც მოვიდა — თქვა დამწუხრებულმა ატკინსონმა „ასტონ ვილასთან" წაგების შემდეგ მისივე თხოვნით გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ჩვენმა დღევანდელმა თამაშმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ „ნოტინგემი" არ არის პრემიერლიგაში გამოსვლის ღირსი — ეს სიტყვები „ფორესტის" მეკარე მარკ კროსლის ეკუთვნის.

ბოლოსთვის ერთი საინტერესო ცნობა მოვიტოვეთ. კვირას პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ (PFA) სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. ტიტული ამჯერად ლიგის თასის მფლობელის, „ტოტენჰემის" ფრანგ ლეგიონერ დავიდ ჟინოლას მიენიჭა. მან „მანჩესტერის" ტრინიდადელ ფორვარდ დუაიტ იორკს და „არსენალის" ნახევარმცველს, თანამემამულე ემანუელ პეტის აჯობა. ახალგაზრდებს შორის კი პირველობა არავის დაუთმო კიდევ ერთმა ფრანგმა, პეტის თანაკლუბელმა ნიკოლა ანელკამ.

**დავით ძოვზირიძე**



ლიდსი — მანჩესტერი 1:1. მანჩესტერელთა ეს შეტევა მასპინძლებმა (თეთრებში) მოიგერიეს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | არსენალი | 34 | 19 | 12 | 3 | 54:15 | 39 | 69 | 17 | 12 | 5 | 0 | 32:5 | 27 | 41 | 17 | 7 | 7 | 3 | 22:10 | 12 | 28 |
| 2 | მანჩესტერი | 33 | 19 | 11 | 3 | 73:33 | 40 | 68 | 17 | 12 | 4 | 1 | 41:16 | 25 | 40 | 16 | 7 | 7 | 2 | 32:17 | 15 | 28 |
| 3 | ჩელსი | 34 | 17 | 14 | 3 | 49:26 | 23 | 65 | 16 | 9 | 6 | 1 | 23:11 | 12 | 33 | 18 | 8 | 8 | 2 | 26:15 | 11 | 32 |
| 4 | ლიდსი | 34 | 16 | 12 | 6 | 54:30 | 24 | 60 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:9 | 22 | 38 | 16 | 5 | 7 | 4 | 23:21 | 2 | 22 |
| 5 | ასტონ ვილა | 35 | 15 | 10 | 10 | 47:39 | 8 | 55 | 18 | 10 | 3 | 5 | 30:24 | 6 | 33 | 17 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 2 | 22 |
| 6 | ვესტ ჰემი | 35 | 15 | 9 | 11 | 41:42 | -1 | 54 | 17 | 10 | 3 | 4 | 27:21 | 6 | 33 | 18 | 5 | 6 | 7 | 14:21 | -7 | 21 |
| 7 | მიდლსბრო | 35 | 12 | 14 | 9 | 47:48 | -1 | 50 | 18 | 7 | 9 | 2 | 25:17 | 8 | 30 | 17 | 5 | 5 | 7 | 22:31 | -9 | 20 |
| 8 | დერბი | 34 | 12 | 12 | 10 | 37:41 | -4 | 48 | 18 | 8 | 6 | 4 | 22:19 | 3 | 30 | 16 | 4 | 6 | 6 | 15:22 | -7 | 18 |
| 9 | ლივერპული | 34 | 13 | 8 | 13 | 60:44 | 16 | 47 | 16 | 7 | 4 | 4 | 33:18 | 15 | 25 | 18 | 5 | 4 | 9 | 24:24 | 0 | 19 |
| 10 | ტოტენჰემი | 34 | 11 | 13 | 10 | 41:40 | 1 | 46 | 17 | 7 | 6 | 4 | 25:21 | 4 | 27 | 17 | 4 | 7 | 6 | 16:19 | -3 | 19 |
| 11 | ლესტერი | 34 | 11 | 13 | 10 | 36:41 | -5 | 46 | 18 | 6 | 6 | 5 | 22:23 | -1 | 24 | 17 | 5 | 7 | 5 | 14:18 | -4 | 22 |
| 12 | ნიუკასლი | 35 | 11 | 11 | 13 | 46:50 | -4 | 44 | 17 | 7 | 4 | 6 | 24:23 | 1 | 25 | 18 | 4 | 7 | 7 | 22:27 | -5 | 19 |
| 13 | უიმბლდონი | 35 | 10 | 12 | 13 | 39:56 | -17 | 42 | 18 | 7 | 7 | 4 | 22:19 | 3 | 28 | 17 | 3 | 5 | 9 | 17:37 | -20 | 14 |
| 14 | შეფილდი | 35 | 11 | 7 | 17 | 39:40 | -1 | 40 | 18 | 6 | 5 | 7 | 19:15 | 4 | 23 | 17 | 5 | 2 | 10 | 20:25 | -5 | 17 |
| 15 | ევერტონი | 35 | 10 | 10 | 15 | 35:42 | -7 | 40 | 18 | 5 | 8 | 5 | 16:12 | 4 | 23 | 17 | 5 | 2 | 10 | 19:30 | -11 | 17 |
| 16 | ქოვენთრი | 35 | 10 | 7 | 18 | 35:48 | -13 | 37 | 17 | 7 | 5 | 5 | 22:18 | 4 | 26 | 18 | 3 | 2 | 13 | 13:30 | -17 | 11 |
| 17 | ბლექბერნი | 34 | 7 | 11 | 16 | 36:49 | -13 | 32 | 17 | 6 | 4 | 7 | 20:16 | 4 | 22 | 17 | 1 | 7 | 9 | 16:27 | -11 | 10 |
| 18 | ჩარლტონი | 35 | 7 | 11 | 17 | 37:52 | -15 | 32 | 17 | 4 | 6 | 7 | 20:19 | 1 | 18 | 18 | 3 | 5 | 10 | 17:33 | -16 | 14 |
| 19 | საუთჰემპტონი | 35 | 8 | 8 | 19 | 31:63 | -32 | 32 | 17 | 7 | 4 | 6 | 25:25 | 0 | 25 | 18 | 1 | 4 | 13 | 6:38 | -32 | 7 |
| 20 | ნოტინგემი | 35 | 4 | 9 | 22 | 30:68 | -38 | 21 | 17 | 1 | 7 | 9 | 15:31 | -16 | 10 | 18 | 3 | 2 | 13 | 15:37 | -22 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 17 |
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 16 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 16 |

**XXXVI ტური**

1 მაისი
ჩარლტონი - ბლექბერნი
ჩელსი - ევერტონი
ქოვენთრი - უიმბლდონი
ლივერპული - ტოტენჰემი
მანჩესტერი - ასტონ ვილა
ნიუკასლი - მიდლსბრო
ნოტინგემი - შეფილდი
საუთჰემპტონი - ლესტერი
ვესტ ჰემი - ლიდსი
2 მაისი
არსენალი - დერბი

## I დივიზიონი

### XXXXIV ტური

**ბერი 2:1 ბოლტონი**

**ბრისტოლი 1:2 ბირმინგემი**

1:0 აკინბიი (46), 1:1 გრეინგერი (48), 1:2 ნდლოვუ (70)

**ჰადერსფილდი 0:1 ბარნსლი**

0:1 შერონი (21)

**იფსვიჩი 1:2 ქრიუ**

0:1 რივერსი (64), 1:1 ვენუსი (69 პ), 1:2 მაკოლი (84)

**ოქსფორდი 2:4 ნორვიჩი**

1:0 ვილსტერმანი (29), 1:1 ანსელინი (34), 1:2 რობერტსი (65), 1:3 ფლემინგი (70), 2:3 ფრენსისი (77), 2:4 ბელამი (88)

**პორტსმუთი 3:1 სტოკპორტი**

1:0 კლარიჯი (10), 2:0 სიმპსონი (17), 3:0 დარნინი (46), 3:1 ელისი (89)

**სანდერლენდი 0:0 შეფილდ იუნ.**

**სვინდონი 2:0 გრიმსბი**

1:0 ონუორა (2), 2:0 ნდა (47)

**ტრანმერი 1:1 პორტ ვეილი**

1:0 მაჰონი (45 პ), 1:1 ლი (61)

**უოტფორდი 2:1 კრისტალ პალასი**

1:0 ჰაიდი (7), 2:0 მუნი (52), 2:1 მაკკენზი (87)

**ქუინზ პარკი 1:3 ბრედფორდი**

0:1 ბიგრი (33), 0:2 ვესტვუდი (63), 1:2 გალენი (79), 1:3 უოტსონი (90)

**ვულვზი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ევანსი (18), 1:1 რობინსონი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 44 | 29 | 12 | 3 | 88:27 | 99 |
| ბრედფორდი | 44 | 25 | 8 | 11 | 79:45 | 83 |
| იფსვიჩი | 44 | 25 | 8 | 11 | 65:30 | 83 |
| ბირმინგემი | 44 | 22 | 12 | 10 | 64:35 | 78 |
| ბოლტონი | 44 | 19 | 15 | 10 | 75:58 | 72 |
| ვულვზი | 43 | 19 | 14 | 10 | 61:39 | 71 |
| უოტფორდი | 43 | 19 | 13 | 11 | 60:53 | 70 |
| შეფილდ იუნ. | 44 | 17 | 13 | 14 | 67:61 | 64 |
| ნორვიჩი | 44 | 14 | 17 | 13 | 60:59 | 59 |
| ჰადერსფილდი | 44 | 15 | 14 | 15 | 60:69 | 59 |
| კრ. პალასი | 44 | 14 | 15 | 15 | 56:63 | 57 |
| გრიმსბი | 43 | 16 | 9 | 18 | 39:51 | 57 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 15 | 11 | 18 | 67:73 | 56 |
| ბარნსლი | 44 | 13 | 16 | 15 | 54:53 | 55 |
| ტრანმერი | 44 | 11 | 20 | 13 | 60:59 | 53 |
| სტოკპორტი | 44 | 12 | 17 | 15 | 49:54 | 53 |
| სვინდონი | 44 | 13 | 11 | 20 | 57:76 | 50 |
| პორტსმუთი | 44 | 11 | 14 | 19 | 56:68 | 47 |
| ქუინზ პარკი | 44 | 11 | 11 | 22 | 46:59 | 44 |
| პორტ ვეილი | 43 | 12 | 8 | 23 | 42:72 | 44 |
| ბერი | 44 | 9 | 17 | 18 | 34:59 | 44 |
| ქრიუ | 43 | 10 | 11 | 22 | 50:77 | 41 |
| ოქსფორდი | 44 | 9 | 13 | 22 | 43:71 | 40 |
| ბრისტოლი | 43 | 8 | 15 | 20 | 55:76 | 39 |

## გერმანია

XXVIII ტური

### ლაუტერნი 0:2 ფრაიბურგი

0:1 ვაისჰაუპტი (38), 0:2 ბაია (90)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, შიონბერგი, სამირი (კოხი 46), როოსი, რამზი, ბალაკი (ჟუნიორი 46), რატინიო, რაიხი (პრუტკა 76), რიშე, მარშალი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ჰერმელი, დიარა, კოლი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი (მიულერი 79), გიუნეში, ბაია, ვაისჰაუპტი (ვასმერი 73), ბენ სლიმანი (სელიმი 54)
გაფრთხილება: რაიხი, შიონბერგი, დიარა, სელიმი
მსაჯი: აუსტი

### მიუნხენი 1:1 ბაიერნი

0:1 ბაბელი (75), 1:1 კურცი (89)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ჯორჯესი, კურცი, ზელიჩი, ტაისი, ჩერნი, ვანნერბურგი (ოუაკილი 78), მალცი (ჰობში 78), ჰელდტი, ვინკლერი, შროტი
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლინკე (ჰელმერი 65), მათეუსი, შტრუნცი, იერემისი, ეფენბერგი, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი (ციკლერი 85), შოლი (დაეი 74), იანკერი
გაფრთხილება: ვინკლერი, ბაბელი
მსაჯი: კემლინგი

### შტუტგარტი 0:1 ლევერკუზენი

0:1 კირსტენი (36)
შტუტგარტი: ციგლერი, შპანრინგი, ენდრესი, ვერლაატი, კარნელი, სოლდო, ჯორჯევიჩი (ლისტეში 46), ცაიერი (ფრომერი 79), ბალაკოვი, ბობიჩი (რისტიჩი 79), აკპობორი
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ჰაინცე (რეები 61), რამელო, ემერსონი, ნ. კოვაჩი, ჰაიდუკი (ლენჰოფი 90), ზე რობერტო, კირსტენი (რაინხერბერგერი 85)
გაფრთხილება: ჰაინცე, რ. კოვაჩი, ზე რობერტო, ჟივკოვიჩი
მსაჯი: ბერგი

### დორტმუნდი 2:1 ვერდერი

0:1 ტრარესი (34), 1:1 ჰერლიხი (52), 2:1 მიოლერი (86)
დორტმუნდი: დებეერი, როიტერი, კოლერი, სტევიჩი, კ. ბაუმანი, დედე, ტანკო (ჰესლერი 46), ვ. ბუტი (შაპუიზა 64), მიოლერი, ჰერლიხი, ბარბარესი (ნერლინგერი 84)
ვერდერი: ფ. როსტი, ბენკენი, ვოიტალა, ვიკი (აილტონი 89), ტოდტი, აილტსი, ვიდნერი, ტრარესი, მაქსიმოვი, ჰერცოგი (ბრანდი 83), ბოგდანოვიჩი (ვეეტენდორფი 74)
გაფრთხილება: ბარბარესი, ჰესლერი, აილტონი, ვიკი, აილტსი
გაძევება: ჰესლერი (83)
მსაჯი: დარდენე

### შალკე 1:4 ჰამბურგი

1:0 ტონი (6), 1:1 პანადიჩი (22), 1:2 გროთი (36), 1:3 ჰ.ბუტი (61პ), 1:4 იებოა (72)
შალკი: რეკი, ტაპალოვიჩი (ჰამი 68), დე კოკი, ბიუსკენსი, ტონი, ჰელდი, ალპუგანი, ნემეცი (ვოლფი 59), ანდერბრიუგე, მაქსი, მულდერი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ფოგელი, ჰოოგმა, გროთი, ჰოლერბახი (ბაბატცი 89), გრამოცისი (შპიორლი 88), ფ. ერნსტი, იებოა, დემბინსკი (დოლი 80), კირიაკოვი
გაფრთხილება: გრამოცისი, ფოგელი, იებოა
მსაჯი: შტარკი

### ჰერტა 4:1 ბოხუმი

1:0 ვოში (14), 2:0 ჰერცოგი (18), 3:0 ჰარტმანი (37), 3:1 ბუკლი (72), 4:1 ვოში (80)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ვან ბურიკი, სვერისონი, ჰარტმანი, ტრეჩოკი, ტომი, როი (ვაიტი 46), ვოში (დარდაი 81), პრეეცი, რაისი (არაჩიჩი 73)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, ვალდოხი, კრახტი, სუნდერმანი, შინდცილორცი (პეშელი 67), ცაიერი (გაუდინო 74), ფარენჰორსტი, ტოპლაკი (კუნცი 46), მიხალკე, ბუკლი, მაჰდავიკია
გაფრთხილება: სვერისონი, ფარენჰორსტი, კრახტი
მსაჯი: ბუხჰარტი

### გლადბახი 5:2 ვოლფსბურგი

1:0 სოპიჩი (18), 2:0 პეტერსონი (28), 3:0 პოლსტერი (58), 3:1 პრეგერი (61), 3:2 აკონორი (67), 4:2 პეტერსონი (80), 5:2 პფლიპსენი (85)
მიონხენგლადბახი: ენკე, ებერლი, ანდერსონი, კლინკერტი, მ. შნაიდერი, ასლაკი (რაიტერი 70), სოპიჩი, ფრონცეკი, პეტერსონი, ვიტეჩეკი (პფლიპსენი 82), პოლსტერი (ასანინი 75)
ვოლსბურგი: რაიტმაიერი, ტომსენი, ბალვანცი, ონილი (ბაუმგარტი 46), ნოვაკი, დამაიერი (მალტრიცი 46), გრაინერი, კაპეტანოვიჩი (დებრიცი 53), აკონორი, იუსკოვიაკი, პრეგერი
გაფრთხილება: ებერლი, კაპეტანოვიჩი
მსაჯი: კესლერი

### აინტრახტი 2:2 ჰანზა

0:1 ვიბრანი (42), 1:1 ბ. შნაიდერი (54), 1:2 აგალი (69), 2:2 ვესტერტალერი (90)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, ხუბჩევი, პედერსენი, ვებერი (ვესტერტალერი 75), ცამპახი (ბრინკმანი 46), კუჩერა, გებჰარდტი (სობოჩიკი 46), ბ. შნაიდერი, ჩენ იანგი, ფიორტოპტი
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ელერსი, ვიბრანი, ლანგე, იასერი, ემარა (მაიაკი 46, დოვე 84), ბრაიტკროიცი, აგალი (ფუქსი 88), ნოევილი
გაფრთხილება: ბრინკმანი, გებჰარდტი, ჩენ იანგი, ლანგე, რემერი, ვიბრანი
მსაჯი: ჰაინემანი

### ნიურნბერგი 0:2 დუისბურგი

0:1 ვოლერტი (4), 0:2 ბაიერლე (90)
ნიურნბერგი: კიოპკე, ლიოში, ნიკლი, ვან ეკი, დიუნტერი (ოხლერი 58), შტორცენჰოფეკერი, რაინჰარდტი (ბიურგერი 34), დრილერი, ჩირიჩი, კუკა, სკოოგი (პოლუნინი 46)
დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, კომლიენოვიჩი, ვოლერტი, ვოლტერსი, ჰირში, ნოინი (შრამი 84), ტიოფტინგი, ვედაუ (ოსტჰოფი 78), შპისი (ბუგერა 54), ბაიერლე
გაფრთხილება: ლიოში, ჰაიტო, ნოინი, ვედაუ, ვოლერტი
მსაჯი: შტაინბორნი

# მოსალოდნელი მოულოდნელობანი




მიუნხენი — ბაიერნი 1:1. მასპინძელმა მარკო კურცმა ყოფილ თანაგუნდელ იენს იერემისს (№16) ნიშნი მოუგო

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ბუნდესლიგაში ორი განსაკუთრებით მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. უიმედო აუტსაიდერმა, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" შინ ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის მებრძოლი „ვოლფსბურგი" 5:2 გაანადგურა, ხოლო ჩვენებურთა „ფრაიბურგმა" სტუმრად ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნს" 2:0 სძლია და როგორც იქნა, შეწყვიტა ზედიზედ ხუთმატჩიანი წაგებების სერია.

ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ კაიზერსლაუტერნში გამარჯვების, ალბათ, „ფრაიბურგის" ყველაზე ოპტიმისტ გულშემატკივარსაც არ სწამდა, თუმცა ფოლკერ ფინკეს დამძლვრილმა გუნდმა ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო. თუმც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „კაიზერსლაუტერნი" ამჟამად არანაკლებ კრიზისშია. თავად განსაჯეთ, ბოლო ხუთი მატჩიდან გერმანიის ჩემპიონმა ოთხი წააგო.

„ფრაიბურგმა" ეს თამაში ოდნავ განსხვავებული ტაქტიკით დაიწყო. ცვლილება ძირითადად ქართველ ფეხბურთელებს შეეხოთ. ლევან კობიაშვილმა მთელი შეხვედრა საყრდენ ნახევარმცველად ჩაატარა, თუმცა, სხვა მატჩებისგან განსხვავებით, წინ ძალიან იშვიათად მიდიოდა. სამაგიეროდ, იერიშებში ხშირად ერთვებოდა ლევან ცქიტიშვილი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მარცხენა მცველად იყო გამწესებული.

თავიდან გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს. ტაიმის შუაგულში სფორცას ჯარიმიდან ჩაწოდებული რიშემ თავით ოდნავ ააცილა მიზანს, ორი წუთის შემდეგ კი ვაისჰაუპტი აღმოჩნდა ხელსაყრელ მდგომარეობაში, მაგრამ დარტყმა დააგვიანა. პირველი ნახევრის ბოლოს გოლიც გავიდა. მარცხენა ფლანგზე კარგად ითამაშა ცქიტიშვილმა, რომელმაც ერთი მასპინძელი ჩამოიშორა, საჯარიმოში შევიდა და ბურთი უმეთვალყურეოდ მყოფ ვაისჰაუპტს მიაწოდა, მანაც შეუჩერებლად ზუსტად გაგზავნა კარში.

პირველის მსგავსად მეორე ტაიმიც „ლაუტერნის" მცირე ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო. მასპინძლებს 48-ე წუთზე წონასწორობის აღდგენის კარგი შანსიც მიეცათ, მაგრამ რიშეს დარტყმული „ფრაიბურგის" კარის ძელმა მოიგერია. მატჩის მიწურულს „კაიზერსლაუტერნმა" მთელი გუნდით შეუტია და „ფრაიბურგს" სახიფათო კონტრშეტევების განხორციელების შესაძლებლობა მისცა. კობიაშვილის კარგი პასის შემდეგ ვასმერს მეორე გოლსაც თითქოს აღარაფერი აკლდა, მაგრამ რაინკემ აუღო თავური. ამ დროს მინდორზე აღარ იყო ცქიტიშვილი, რომელმაც მცირე ტრავმის გამო ფინკეს შეცვლა სთხოვა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ეუხეშებოდნენ კობიაშვილს. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში მასპინძელთა ეგვიპტელ მცველ სამირს ფინკეს რისხვაც დაატყდა თავს. საბოლოოდ „კაიზერლაუტერნი" დაცვის მოშიშვლებისთვის მაინც დაისაჯა. შიონბერგის შეცდომა კარგად გამოიყენა ბაიამ და ახლო მანძილიდან მატჩის ბედი გადაწყვიტა — 2:0.

ამ გამარჯვების შემდეგ „ფრაიბურგმა" ოდნავ გაიუმჯობესა მდგომარეობა, თუმცა ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ქართველთა გუნდს წინ კიდევ დიდი ბრძოლა ელის.

„ლაუტერნის" მსგავსად ბოლო დროს საგრძნობლად უკლო „ბაიერნმა", რომელსაც მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან" 15-ქულიანი სხვაობა თვალსა და ხელს შუა რვამდე შემოადნა. მიუნხენელები ალბათ, მაინც გახდებიან ჩემპიონები, მაგრამ რეგრესს რომ განიცდიან, ფაქტია. მათ ამჯერად თანაქალაქელ და თანასტადიონელ „მიუნხენ 1860"-ს ვერ მოუგეს, არადა, საამისოდ, კარგი შანსი ჰქონდათ. 75-ე წუთზე ბაბელის გოლით იგებდნენ კიდეც, მაგრამ 89-ე წუთზე კურცმა ანგარიში გაათანაბრა და „ბაიერნიც" ერთ ქულას დასჯერდა.

შტუტგარტში ძნელი მატჩი მოიგო „ლევერკუზენმა", რომელმაც თითქმის გადაწყვიტა მეორე ადგილის ბედი. „ბაიერნისგან" განსხვავებით, კრისტოფ დაუმის გუნდმა რომ თამაშს საგრძნობლად უმატა, აშკარაა, რაც მნიშვნელოვანწილად ულფ კირსტენის დამსახურებაა. კირსტენმა ბოლო ტურებში გოლების გატანას ძალიან მოუხშირა. ეს გუნდსაც დაეტყო და მასაც. „შტუტგარტთან" გამარჯვება „ლევერკუზენისთვის" ზედიზედ მეხუთე გახლდათ, ხოლო კირსტენი, ამ მატჩის 37-ე წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, ბომბარდირთა სიაში დაწინაურებულ ბერლინელ მიხაელ პრეეცს გაუთანაბრდა.

„შალკე" — „ჰამბურგის" თამაში ისე დაიწყო, კაცი თავიდანვე იფიქრებდა სტუმრები „შალკეს" შეტევებს იოლად ვერ გადაურჩებიანო. პირველ ათ წუთში მასპინძლებს ოთხჯერ შეეძლოთ გატანა. თუმცა ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. ოლაფ ტონმა ჯარიმიდან ულამაზესი გოლი შეაგდო. დაახლოებით მე-20 წუთიდან კი თამაში რადიკალურად შეიცვალა. ზუსტი თავურით ჯერ პანადიჩმა აღადგინა წონასწორობა, ხოლო 36-ე წუთზე გროთმა ითამაშა ჩინებულად და სტუმრები დააწინაურა. საპასუხო გოლებამდე ცოტა ხნით ადრე იებოამ ძელსაც გაარტყა ბურთი. მეორე ტაიმში „ჰამბურგმა" კიდევ ორი გოლი გაიტანა. კირიაკოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი 62-ე წუთზე სტუმართა მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა უნაკლოდ შეასრულა. ათი წუთის შემდეგ კი იებოამ მასპინძელთა განადგურებას წერტილი დაუსვა.

7:1 სწორედ ამ ანგარიშით დაამარცხა „ვოლფსბურგმა" პირველ წრეში საკუთარ მოედანზე „გლადბახი". ვოლფსბურგელებისთვის, ალბათ, აჯობებდა, ის მატჩი 2:1 ან 3:1 მოეგოთ. ასეთ შემთხვევაში ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაში მყოფი „გლადბახი" შაბათს კბილებალესილი ნალდად აღარ დახვდებოდა. შაბათს გამართულ მატჩში „ვოლფსბურგს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, თუმცა მასპინძლები რომ არაფერს დაუთმობდნენ კარგად იცოდნენ. ასეც მოხდა.

„ჩვენ გვინდა ტონი და არა ბონჰოფი" — ასეთი შინაარსის ტრანსპარანტები გადმოეფინათ გლადბახელ ქომაგებს. ბონჰოფიც იძულებული გახდა, პოლსტერი ძირითადში დაეყენებინა. ამ ნაბიჯმა გაამართლა. პოლსტერმა, ისევე როგორც სხვებმა, ჩინებულად ითამაშეს. ამ მატჩში იმდენჯერ გავიდნენ ფეხბურთელები მეკარესთან პირისპირ, ერთ თამაშს კი არა, მთელ ტურს ეყოფოდა. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უმეტეს შემთხვევებში მეკარეები რჩებოდნენ გამარჯვებულნი. მიუხედავად ამისა, შვიდი გოლი მაინც გავიდა. მასპინძელთა გამარჯვება ერთხელ გახდა საეჭვო, როცა სტუმრებმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს და ანგარიში ერთ ბურთამდე შეამცირეს. თუმცა შემდეგ პეტერსონმა და პფლიპსენმა ივარგეს და ყველაფერი ნათელი გახდა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 28 | 20 | 5 | 3 | 63:20 | 43 | 65 | 14 | 12 | 2 | 0 | 39:10 | 29 | 38 | 14 | 8 | 3 | 3 | 24:10 | 14 | 27 |
| 2 | ლევერკუზენი | 28 | 16 | 9 | 3 | 54:23 | 31 | 57 | 14 | 8 | 5 | 1 | 28:11 | 17 | 29 | 14 | 8 | 4 | 2 | 26:12 | 14 | 28 |
| 3 | ჰერტა | 28 | 14 | 6 | 8 | 44:28 | 16 | 48 | 14 | 11 | 1 | 2 | 28:9 | 19 | 34 | 14 | 3 | 5 | 6 | 16:19 | -3 | 14 |
| 4 | ლაუტერნი | 28 | 14 | 6 | 8 | 40:39 | 1 | 48 | 15 | 9 | 3 | 3 | 26:19 | 8 | 30 | 13 | 5 | 3 | 5 | 14:21 | -7 | 18 |
| 5 | დორტმუნდი | 28 | 13 | 8 | 7 | 39:27 | 12 | 47 | 15 | 12 | 2 | 1 | 31:9 | 22 | 38 | 13 | 1 | 6 | 6 | 8:18 | -10 | 9 |
| 6 | ვოლფსბურგი | 28 | 12 | 9 | 7 | 46:37 | 9 | 45 | 14 | 8 | 4 | 2 | 30:13 | 17 | 28 | 14 | 4 | 5 | 5 | 16:24 | -8 | 17 |
| 7 | დუისბურგი | 28 | 10 | 9 | 9 | 36:37 | -1 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 22:13 | 9 | 25 | 15 | 3 | 5 | 7 | 14:24 | -10 | 14 |
| 8 | ჰამბურგი | 28 | 10 | 9 | 9 | 34:35 | -1 | 39 | 14 | 6 | 5 | 3 | 17:13 | 4 | 23 | 14 | 4 | 4 | 6 | 17:22 | -5 | 16 |
| 9 | მიუნხენი | 28 | 10 | 8 | 10 | 40:38 | 2 | 38 | 14 | 6 | 4 | 4 | 21:15 | 6 | 22 | 14 | 4 | 4 | 6 | 19:23 | -4 | 16 |
| 10 | შალკე | 28 | 8 | 10 | 10 | 31:42 | -11 | 34 | 14 | 5 | 5 | 4 | 17:17 | 0 | 20 | 14 | 3 | 5 | 6 | 14:25 | -11 | 14 |
| 11 | შტუტგარტი | 28 | 7 | 12 | 9 | 34:36 | -2 | 33 | 14 | 6 | 5 | 3 | 21:12 | 9 | 23 | 14 | 1 | 7 | 6 | 13:24 | -11 | 10 |
| 12 | ფრაიბურგი | 28 | 7 | 9 | 12 | 29:35 | -6 | 30 | 14 | 3 | 6 | 5 | 13:15 | -2 | 15 | 14 | 4 | 3 | 7 | 16:20 | -4 | 15 |
| 13 | ვერდერი | 28 | 7 | 8 | 13 | 32:38 | -6 | 29 | 14 | 2 | 6 | 6 | 17:21 | -4 | 12 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:17 | -2 | 17 |
| 14 | ბოხუმი | 28 | 7 | 8 | 13 | 36:49 | -13 | 29 | 13 | 5 | 3 | 5 | 19:18 | 1 | 18 | 15 | 2 | 5 | 8 | 17:31 | -14 | 11 |
| 15 | ნიურნბერგი | 28 | 5 | 13 | 10 | 30:44 | -14 | 28 | 14 | 2 | 10 | 2 | 18:19 | -1 | 16 | 14 | 3 | 3 | 8 | 12:25 | -13 | 12 |
| 16 | ჰანზა | 28 | 6 | 9 | 13 | 37:51 | -14 | 27 | 14 | 5 | 5 | 4 | 22:19 | 3 | 20 | 14 | 1 | 4 | 9 | 15:31 | -16 | 7 |
| 17 | აინტრახტი | 28 | 5 | 9 | 14 | 30:46 | -16 | 24 | 14 | 4 | 5 | 5 | 17:18 | -1 | 17 | 14 | 1 | 4 | 8 | 13:28 | -15 | 7 |
| 18 | გლადბახი | 28 | 4 | 7 | 17 | 34:64 | -30 | 19 | 14 | 4 | 2 | 8 | 22:30 | -8 | 14 | 14 | 0 | 5 | 9 | 12:34 | -22 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პრეეცი (ჰერტა) | 17 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 17 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |

### XXIX ტური

30 აპრილი
ფრაიბურგი - აინტრახტი
ბოხუმი - ნიურნბერგი
1 მაისი
ლევერკუზენი - ჰერტა
ვოლფსბურგი - შტუტგარტი
ბაიერნი - გლადბახი
ვერდერი - შალკე
ჰანზა - მიუნხენი
ჰამბურგი - ლაუტერნი
2 მაისი
დუისბურგი - დორტმუნდი

## მეორე ბუნდესლიგა

XXVII ტური

### დიუსელდორფი 2:1 კიოლნი

1:0, 2:0 ლექსნიაკი (36, 60), 2:1 დონკოვი (76)

### ზტ. პაული 2:1 მაინცი

0:1 კლოპი (33), 1:1 ლოტერი (78), 2:1 კარაჩა (90),

### კოტბუსი 3:0 ულმი

1:0 ფრანკლინი (6), 2:0, 3:0 ჰაიდრიხი (56,76)

### ფორტუნა 0:2 უნტერჰახინგი

0:1 ჰერტლი (83), 0:2 ბობელი (87ს.კ)

### ურდინგენი 0:4 არმინია

0:1, 0:2, 0:3 ლაბადია (21,51პ,53), 0:4 ალდერი (90)

### ობერჰაუზენი 1:1 ჰანოვერი

0:1 ადო (43), 1:1 რუსი (70)

### კიკერსი 2:2 კარლსრუე

1:0 მლადინიჩი (5ს.კ), 1:1 მოლატა (31), 2:1 მარიჩი (41), 2:2 კრიგი (73)

### ბერლინი 1:0 ვატენშაიდი

1:0 ტრედუპი

### გიუტერსლო — ფიურტი

გვიან ღამით გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 27 | 16 | 5 | 6 | 47:24 | 53 |
| უნტერჰახინგი | 27 | 16 | 4 | 7 | 36:20 | 52 |
| ფიურტი | 26 | 13 | 8 | 5 | 36:19 | 47 |
| ბერლინი | 27 | 14 | 5 | 8 | 42:34 | 47 |
| ჰანოვერი | 27 | 13 | 4 | 9 | 40:28 | 44 |
| ულმი | 27 | 11 | 11 | 4 | 50:40 | 44 |
| კარლსრუე | 27 | 14 | 2 | 11 | 45:36 | 44 |
| მაინცი | 27 | 11 | 6 | 10 | 37:37 | 39 |
| ფორტუნა | 27 | 9 | 8 | 10 | 41:44 | 35 |
| კიკერსი | 27 | 9 | 7 | 11 | 27:36 | 34 |
| კიოლნი | 27 | 8 | 9 | 9 | 34:42 | 33 |
| ზტ. პაული | 27 | 8 | 6 | 13 | 31:41 | 30 |
| ობერჰაუზენი | 27 | 6 | 12 | 9 | 30:40 | 30 |
| კოტბუსი | 27 | 6 | 10 | 11 | 32:35 | 28 |
| ვატენშაიდი | 27 | 6 | 8 | 13 | 22:33 | 26 |
| გიუტერსლო | 26 | 6 | 7 | 13 | 31:44 | 25 |
| დიუსელდორფი | 27 | 4 | 12 | 11 | 29:41 | 24 |
| ურდინგენი | 27 | 5 | 9 | 13 | 27:40 | 24 |

# მშვიდად მხოლოდ ემპოლიში

## იტალია

### XXX ტური

**რომა 1:0 პარმა**

1:0 ტოტი (82)
რომა: კონსელი (კიმენტი 14), კუადრინი, ძაგო, ალდაირი, კანდელა, გაუტიერი (პაოლო სერჯიო 59), ტომიჩი (დი ბიაჯო 74), ტომაზი, დი ფრანჩესკო, ტოტი, დელვეკიო
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, მუსი, ფუზერი, დ. ბაჯო, ფიორე, ვანოლი (ორლანდინი 90), ბალბო (სტანიჩი 59), კიეზა (ასპრილია 80), კრესპო
გაფრთხილება: მუსი, ტოტი, დი ფრანჩესკო, კრესპო
მსაჯი: ბეტინი

**სალერნიტანა 4:0 ბოლონია**

1:0, 2:0, 3:0 დი ვაიო (5, 17, 68), 4:0 კრისტიჩი (90)
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, მონაკო (კრისტიჩი 88), ფუსკო (ტოსტო 78), დელ გროსო, გატუზო, ბერნარდინი, ტედესკო, ვანუკი, დი ვაიო, ჯამპაოლო (ამეტრანო 69)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, პაგანინი, მანგონე, ბეტარინი, ნერვო (კაპიოლი 72), მაინი, ინგესონი, ბინოტო (ფონტოლანი 46), კ. ანდერსონი, სინიორი (კოლივანოვი 46)
გაფრთხილება: ბეტარინი, დი ვაიო, ნერვო
მსაჯი: ჩეზარი

**სამპდორია 0:1 ლაციო**

0:1 ვიერი (60)
სამპდორია: ფერონი, გრანდონი, ფრანჩესკეტი, ლასისი (უგო 46), კასტელინი (ბალერი 68), დორივა, პეკია, ლაილი (კატე 82), ორტეგა, მონტელა, პალმიერი
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფავალი, ლომბარდო (სტანკოვიჩი 46), მანჩინი (კოუტუ 68), ალმეიდა, კონსეისაო, ვიერი, სალასი (ბოკშიჩი 53)
გაფრთხილება: ლასისი, პანკარო, ფავალი
გაძევება: ალმეიდა (65), ორტეგა (72)
მსაჯი: ბაცოლი

**ინტერი 1:3 უდინეზე**

0:1 ამოროზო (113), 1:1 სამორანო (53), 1:2 ამოროზო (64), 1:3 პოჯი (86)
ინტერი: პალიუკა, სიმიჩი, კოლონეზე (გალანტე 41), ვესტი, სილვესტრი (მორიერო 81), ძანეტი, კოე, სიმეონე (ზე ელიასი 63), სამორანო, რონალდო, რ. ბაჯო
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი, იორგენსენი (ნავასი 59), სოსა (პოჯი 10), ლოკატელი (ვან დერ ვეგტი 78), ამოროზო
გაფრთხილება: კოე, ლოკატელი, ვესტი, ჯანიკედა
მსაჯი: რაკალბუტო

**იუვენტუსი 2:1 ფიორენტინა**

1:0 ფ. ინძაგი (24), 1:1 ოლივეირა (85), 2:1 კონტე (88)
იუვენტუსი: პერუცი, პესოტო, ფერარა, ტუდორი, დი ლივიო, კონტე, დეშამპი, დავიდსი, ანრი (ტაკინარდი 73), ფ. ინძაგი (ფონსეკა 89), ამორუზო (ზიდანი 61)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ტორიჩელი (ოლივეირა 52), რეპკა, ჰაინრიხი, ტაროცი, კოისი (ამორი 55), რუი კოშტა, ამოროზო (ბიჯიკა 80), ბატისტუტა, ედმუნდო
გაფრთხილება: ტუდორი, დავიდსი, რეპკა, რუი კოშტა, კოისი
მსაჯი: ტრეოსი

**პიაჩენცა 0:1 ვენეცია**

0:1 მანიერო (5)
პიაჩენცა: მარკონი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, ბუზო (პიოვანი 61), ლამაკი (დიონიჯი 76), მაცოლა, სტროპა, ს. ინძაგი, რასტელი
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, ლუპი, პავანი, პისტონე, კარნაშალი, მიჩელი, პედონე, ვალტოლინა (დალ კანტო 63), რეკობა (დე ფრანჩესკი 82), მანიერო (ტუტა 76)
გაფრთხილება: ს. ინძაგი, ბრიოსკი, ვერხოვოდი
მსაჯი: დე სანტისი

**ვიჩენცა 0:2 მილანი**

0:1 ბირჰოფი (39), 0:2 ლეონარდო (71)
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, აურელიო (სკარლატო 60), დი კარა, კარდონე, ვივიანი (მენდესი 85), დაბო, სკენარდი, ძაული, ამბროზეტი (ბეგეტო 60), ოტერო
მილანი: აბიატი, სალა (აიალა 87), კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი, გული, ბობანი (ლეონარდო 51), ვეა, ბირჰოფი (განცი 90)
გაფრთხილება: ვეა, ჰელვეგი, კარდონე
მსაჯი: ტომბოლინი

**კალიარი 2:2 პერუჯა**

0:1 ტედესკო (11), 1:1 მბომა (30), 1:2 პეტრაკი (60), 2:2 ონილი (88)
კალიარი: ფრანცონე, ვილა, ძანონჩელი (ძებინა 76), გრასადონია, ვაზარი, კავეცი (ძანეტი 56), ონილი, დე პატრე, მაჩელარი (კალონი 77), მბომა, მუცი
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო, მატრეკანო, რიპა, კოლონელო, პეტრაკი (სოლანო 67), ოლივე, ტედესკო, რაპაიჩი, ნაკატა, ბუკი (კამპოლო 46, ლეპკოსუო 49)
გაფრთხილება: კოლონელო, ვაზარი, ონილი, ილარიო, ძანეტი
გაძევება: ოლივე (34)
მსაჯი: ტრენტალანჯი

**ემპოლი 0:2 ბარი**

0:1 მასინგა (71), 0:2 მარკოლინი (90)
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბიანკონი, ბიზოლი, ლუჩენტი, კრიბარი (კაპელინი 46), გრელა (ბონომი 60), მორონე, ტონეტო, მარტუშელო, დი ნაპოლი
ბარი: მანჩინი, ინოჩენტი, ნექროიზი (დე როზა 59), გარსია, ძამბროტა, ბრესანი (მარკოლინი 82), დ. ანდერსონი, დე ასკენტისი, მადსენი (გუერერო 51), მასინგა, ოსმანოვსკი
გაფრთხილება: მარტუშელო, ტონეტო, დე ასკენტისი
მსაჯი: ჩეკარინი

კრისტიან ვიერის მიერ „სამპდორიას" კარში გატანილმა გოლმა „ლაციოს" ბოლო ოთხ შეხვედრაში პირველი გამარჯვება მოუტანა, მაგრამ ვიჩენცაში 2:0 რომაელთა მდევარმა „მილანმაც" მოიგო და ლიდერთან მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

ახლა, სერია A-ს პირველობის დამთავრებამდე ოთხი ტური რჩება. „ლაციო" 59 ქულითაა, „მილანი" — 58-ით ანუ შეჯიბრება ორის ბრძოლადღა იქცა, რამეთუ „ფიორენტინას" ანტონიო კონტეს ნანატრმა გოლმა 51 ქულით გვარიანი შეფერხება მიუსაჯა — „იუვენტუსმა" 2:1 მოუგო.

„პარმასაც" ვერა აქვს საქმე კარგად. მართალია, ჯერჯერობით მეოთხე ადგილს ებღაუჭება (ეს ადგილი კი მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში ავტომატურ გასვლას ნიშნავს), მაგრამ დედაქალაქში „რომასთან" 0:1 დამარცხებამ უეფას თასის ფინალისტს როგორც პრაქტიკულად, ასევე ფსიქოლოგიურად გაუძნელა მდგომარეობა. „უდინეზემ" ამასობაში დაჩენჩილ „ინტერს" „სან სიროზე" აჯობა (3:1), ასეთი რამ კი აგერ უკვე 42 წელიწადია, არ მომხდარა.

დავუბრუნდეთ „ლაციოს", რომელმაც 14-მატჩიანი დაუმარცხებელი სერიის შემდეგ შინ ზედიზედ ორჯერ წააგო და გენუაშიც ერთობ ნერვულად დაიწყო თამაში. რომაელთა ფანტაზია, პირველ ტაიმში იუგოსლაველი სინიშა მიხაილოვიჩის შვიდი საჯარიმო დარტყმით ამოიწურა, მაგრამ მას მერე, რაც ჩილელი მარსელო სალასი ხორვატმა ალენ ბოკშიჩმა შეცვალა, დიდი ხანი არ იყო გასული, რომ პორტუგალიელმა სერჟიო კონსეისაომ ვიერის პასი ჩააწოდა, მრისხანე იტალიელმა ფორვარდმა კი თავურით შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

„ლაციომ" ამოისუნთქა, ოღონდ მალე ახალ პრობლემასთან მოუხდა შერკინება: მეორე ყვითელი ბარათის წესით მსაჯმა მოედნიდან არგენტინელი მატიას ალმეიდა გაუძევა. ალმეიდას გაძევება იმასაც ნიშნავს, რომ მომდევნო ტურში იგი „უდინეზეს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

ცოტა ხნის მერე რიცხობრივი თანაფარდობა აღდგა: რომაელ არგენტინელს მისი გენუელი თანამემამულე, არიელ ორტეგაც მიაყოლეს, მაგრამ ამან მატჩის მსვლელობა ვერ შეცვალა — „ლაციო" კვლავ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, თუმცა მიზანს ამ ხერხითაც მიაღწია.

ვიჩენცაში ხორვატმა ბობანმა ორი დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, თუმცა როდესაც მისმა გერმანელმა თანაგუნდელმა, ოლივერ ბირჰოფმა მეურვეს, მარკო აურელიოს წამით თავი დააღწია, მილანელთა სამ ქულას საფუძველი ჩაეყარა — ცხადია, თავურით.

შესვენების შემდეგ ვიჩენცელთა ურუგვაელმა თავდამსხმელმა მარსელო ოტერომ ხუთი მეტრიდან ბურთი ჯიქურ მოარტყა სტუმრების მეკარეს კრისტიან აბიატის, მილანელთა ბრაზილიელმა მოთამაშემ, ლეონარდომ კი საპირისპირო კართან შეცდომა არ დაუშვა.

„ამ ეტაპზე თამაშის შინაარსზე მეტად შედეგი ფასობს" — განაცხადა მატჩის შემდეგ „მილანის" მწვრთნელმა, ალბერტო ძაკერონიმ. ძაკერონის გუნდს შედეგი, იცოცხლე, კარგი აქვს: ბოლო ექვსი ტურია, მარცხი არ უწვნევია.

მეოთხე ადგილზე მყოფ „პარმას" ერთი ქულით ერთბაშად სამნი, „რომა", „იუვენტუსი" და „უდინეზე" ჩამორჩებიან. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იტალიური მეოთხე ადგილი ჩემპიონთა ლიგაში ავტომატურ თამაშს ნიშნავს და ბუნებრივია, რომ ამ მცირე მწვერვალის დასაპყრობად საგანგებო ბრძოლაა გაჩაღებული.

რომის ოლიმპიურ სტადიონზე პარმელთა კარში ერთადერთი გოლი ფრანჩესკო ტოტიმ შეხვედრის ბოლოს გაიტანა თითზე აკბენინა ენრიკო კიეზასა და აბელ ბალბოს, რომლებმაც თავისი წილი შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან: პირველმა ძელს გაარტყა ბურთი, მეორემ კი „რომას" ავსტრიელ მეკარეს, მიხაელ კონსელს ვერ აჯობა.

„იუვენტუსმა", როგორც ჩანს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხება იოლად გადაიტანა და ეროვნულ პირველობაზე უმტკივნეულოდ გადაერთო. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელებისგან განსხვავებით, წინა ოთხშაბათის მარცხი ტურინელ გულშემატკივართათვის გამოდგა ძნელად შესაგუებელი და როდესაც „ფიორენტინასთან" შეხვედრის პირველ ტაიმში ფილიპო ინძაგიმ ანგარიში გახსნა, ტრიბუნაზე ბრიტანეთის დროშა აღიმართა. ზედ ეწერა: „კი მაგრამ, თასი?"

ფლორენციელები მათმა ბელგიელმა თავდამსხმელმა ლუის ოლივეირამ კინაღამ გადაარჩინა. სტუმართა პირველი შეტევა (თამაშის დამთავრებამდე წუთებით ადრე) მან გოლით დაასრულა, მაგრამ კონტემ, სულ მალე, „ბებერ ქალქატონთან" თავისი ახალი კონტრაქტი უმნიშვნელოვანესი გოლით აღნიშნა.

„უდინეზეს" ბრაზილიელმა ფორვარდმა მარსიო ამოროზომ სეზონში თავისი მე-15 და მე-16 გოლები გაიტანა და „ინტერის" 3:1 რბევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მილანელთათვის ეს საშინაო მარცხი იქნებ ძალიან მწარეც იყო, მაგრამ როდესაც ცუდი რამ ხდება, ხშირად გონიერი ადამიანები ჭკუას სწავლობენ. სწორედ საამისოდ იჯდა ტრიბუნაზე „ინტერის" მომავალი მწვრთნელი მარჩელო ლიპი.

ცხრილის ძირას მოფუსფუსე „სალერნიტანას" ფეხბურთელის, მარკო დი ვაიოს ჰეთ თრიკს თამაშის ბოლოს მისმა თანაგუნდელმა ალექსანდრ კრისტიჩმა ერთიც დაამატა და უეფას თასის ნახევარფინალში „მარსელთან" დამარცხებულ და ნაჩხუბარ „ბოლონიას" ბდღვირი აუვიდა. ბოლონიელებს ამით ძალიან ბევრი არ დაუკარგავთ, სალერნოელებმა კი იქნებ, სერია B-ში მყისიერ დაბრუნებას დააღწიონ თავი. რაც შეეხება „ემპოლის", შინ, „ბარისთან" 0:2 დამარცხების მერე მისი საქმე დამთავრებულია.

**პაპუნა ძედია**



იუვენტუსი — ფიორენტინა 2:1. ტურინელმა ფილიპო ინძაგი ფლორენციელ მცველებთან ბრძოლაში

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 30 | 17 | 8 | 5 | 57:29 | 28 | 59 | 15 | 10 | 4 | 1 | 37:13 | 24 | 34 | 15 | 7 | 4 | 4 | 20:16 | 4 | 25 |
| 2 | მილანი | 30 | 16 | 10 | 4 | 48:31 | 17 | 58 | 15 | 11 | 3 | 1 | 28:15 | 13 | 36 | 15 | 5 | 7 | 3 | 20:16 | 4 | 22 |
| 3 | ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 46:35 | 11 | 51 | 15 | 12 | 3 | 0 | 30:8 | 22 | 39 | 15 | 3 | 3 | 9 | 16:27 | -11 | 12 |
| 4 | პარმა | 30 | 13 | 10 | 7 | 50:32 | 18 | 49 | 15 | 8 | 6 | 1 | 26:12 | 14 | 30 | 15 | 5 | 4 | 6 | 24:20 | 4 | 19 |
| 5 | რომა | 30 | 13 | 9 | 8 | 58:40 | 18 | 48 | 15 | 12 | 3 | 0 | 36:10 | 26 | 39 | 15 | 1 | 6 | 8 | 22:30 | -8 | 9 |
| 6 | იუვენტუსი | 30 | 13 | 9 | 8 | 38:31 | 7 | 48 | 15 | 9 | 4 | 2 | 22:12 | 10 | 31 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:19 | -3 | 17 |
| 7 | უდინეზე | 30 | 14 | 6 | 10 | 45:44 | 1 | 48 | 15 | 9 | 4 | 2 | 24:15 | 9 | 31 | 15 | 5 | 2 | 8 | 21:29 | -8 | 17 |
| 8 | ბოლონია | 30 | 11 | 10 | 9 | 40:37 | 4 | 43 | 15 | 8 | 4 | 3 | 28:15 | 13 | 28 | 15 | 3 | 6 | 6 | 12:22 | -10 | 15 |
| 9 | ინტერი | 30 | 11 | 7 | 12 | 49:43 | 6 | 40 | 15 | 9 | 3 | 3 | 39:20 | 19 | 30 | 15 | 2 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 10 |
| 10 | ვენეცია | 30 | 10 | 8 | 12 | 30:37 | -7 | 38 | 15 | 8 | 5 | 2 | 19:11 | 8 | 28 | 15 | 2 | 3 | 10 | 11:26 | -15 | 9 |
| 11 | პერუჯა | 30 | 10 | 6 | 14 | 39:52 | -13 | 36 | 15 | 10 | 3 | 2 | 29:18 | 11 | 33 | 15 | 0 | 3 | 12 | 10:34 | -24 | 3 |
| 12 | პიაჩენცა | 30 | 9 | 7 | 14 | 43:46 | -3 | 34 | 15 | 8 | 4 | 3 | 31:19 | 12 | 28 | 15 | 1 | 3 | 11 | 12:27 | -15 | 6 |
| 13 | კალიარი | 30 | 9 | 7 | 14 | 41:44 | -3 | 34 | 15 | 8 | 4 | 3 | 29:17 | 12 | 28 | 15 | 1 | 3 | 11 | 12:27 | -15 | 6 |
| 14 | ბარი | 30 | 7 | 15 | 8 | 35:41 | -6 | 36 | 15 | 5 | 8 | 2 | 14:13 | 1 | 23 | 15 | 2 | 7 | 6 | 21:28 | -7 | 13 |
| 15 | ვიჩენცა | 30 | 7 | 9 | 14 | 21:37 | -16 | 30 | 15 | 7 | 4 | 4 | 15:13 | 2 | 25 | 15 | 0 | 5 | 10 | 6:24 | -18 | 5 |
| 16 | სამპდორია | 30 | 7 | 9 | 14 | 30:48 | -18 | 30 | 15 | 6 | 6 | 3 | 21:13 | 8 | 24 | 15 | 1 | 3 | 11 | 9:34 | -25 | 6 |
| 17 | სალერნიტანა | 30 | 8 | 7 | 15 | 32:46 | -14 | 31 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:15 | 8 | 25 | 15 | 1 | 3 | 11 | 9:31 | -22 | 6 |
| 18 | ემპოლი * | 30 | 4 | 9 | 17 | 23:53 | -30 | 19 | 15 | 4 | 4 | 7 | 14:20 | -6 | 16 | 15 | 0 | 5 | 10 | 9:33 | -24 | 5 |

* ემპოლის დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 19 |
| ბირჰოფი (მილანი) | 16 |
| კრესპო (პარმა) | 16 |
| დელვეკიო (რომა) | 16 |
| ამოროზო (უდინეზე) | 16 |

### XXXI ტური

2 მაისი

ბარი - პიაჩენცა
ბოლონია - კალიარი
ფიორენტინა - პერუჯა
მილანი - სამპდორია
პარმა - ემპოლი
რომა - ინტერი
სალერნიტანა - იუვენტუსი
უდინეზე - ლაციო
ვენეცია - ვიჩენცა

## სერია B

### XXXI ტური

**რეჯანა 1:1 ჩეზენა**

1:0 მორელო (24), 1:1 გრაფიედი (65)
რეჯანა: აბატე, კაპელაჩი, მორელო, ძინი, შაკპოკე, კიტერიო (ორფეი 71), კარბონე, ნემსაძე, ალეგრეტი (მასპერო 81), მარჯოტა, პროტი (ნერი 78)

**ატალანტა 1:0 ტორინო**

1:0 კარერა (28)

**კრემონეზე 1:2 ლუკეზე**

0:1 მატუცი (15), 0:2 პაჩი (55), 1:2 პუაჩა (60)

**ლეჩე 3:2 ტერნანა**

1:0 სტელონე (5), 1:1 ფაბრისი (6), 2:1 პიანგერელი (15), 3:1 კასალე (55), 3:2 ბუონოკორე (75)

**ნაპოლი 0:0 კიევო**

**პესკარა 1:0 კოზენცა**

1:0 ესპოზიტო (34)

**რავენა 0:0 მონცა**

**რეჯინა 1:1 ფ. ანდრია**

1:0 პინჩიარელი (19), 1:1 კორადი (29)

**ტრევიზო 2:0 ჯენოა**

1:0 ბეგეტო (20), 2:0 ლანტინოტი (68)

**ვერონა 0:2 ბრეშა**

0:1 მარინო (54), 0:2 ფილიპინი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 31 | 16 | 10 | 5 | 55:29 | 58 |
| ტორინო | 31 | 16 | 6 | 9 | 47:28 | 54 |
| რეჯინა | 31 | 13 | 13 | 5 | 38:26 | 52 |
| ლეჩე | 31 | 15 | 7 | 9 | 38:33 | 52 |
| ტრევიზო | 31 | 13 | 12 | 6 | 45:32 | 51 |
| ატალანტა | 31 | 12 | 14 | 5 | 38:26 | 50 |
| პესკარა | 31 | 14 | 8 | 9 | 42:35 | 50 |
| ბრეშა | 31 | 12 | 12 | 7 | 35:26 | 48 |
| ნაპოლი | 31 | 11 | 13 | 7 | 31:25 | 46 |
| რავენა | 31 | 10 | 11 | 10 | 37:42 | 41 |
| მონცა | 31 | 9 | 11 | 11 | 28:32 | 38 |
| ჯენოა | 31 | 9 | 10 | 12 | 43:45 | 37 |
| კიევო | 31 | 8 | 12 | 11 | 29:37 | 36 |
| ფ. ანდრია | 31 | 9 | 9 | 13 | 26:37 | 36 |
| ჩეზენა | 31 | 7 | 12 | 12 | 27:34 | 33 |
| კოზენცა | 31 | 8 | 9 | 14 | 33:45 | 33 |
| ტერნანა | 31 | 6 | 4 | 11 | 29:42 | 32 |
| ლუკეზე | 31 | 7 | 10 | 14 | 28:34 | 31 |
| რეჯანა | 31 | 4 | 13 | 14 | 27:39 | 25 |
| კრემონეზე | 31 | 3 | 10 | 18 | 28:57 | 19 |

# ჩემპიონი კი, მაგრამ დანარჩენები?

## ესპანეთი

### XXXI ტური

**ვალენსია 2:2 სელტა**

1:0 ვლაოვიჩი (12), 1:1 სანჩესი (41), 1:2 კარპინი (92), 2:2 ფარინოსი (94)

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი (როში 46), ანგლომა, ხუანფრანი, მენდიეტა, ფარინოსი, მიია, ვლაოვიჩი, ანგულო

სელტა: დუტრუელი, სალგადო, კასერესი, ოსკარ ვალესი, ჯოროვიჩი, ტომასი, კარპინი, მოსტოვოი (ეგენი 90), მაკელელე, პენევი (გუდელი 15, ხოსემა 84)

გაფრთხილება: ხუანფრანი, ვლაოვიჩი, ანგულო, ჯოროვიჩი, სალგადო, მოსტოვოი

გაძევება: ანგლომა

მსაჯი: პრადოს გარსია

**სალამანკა 1:1 რეალი**

0:1 რაული (47), 1:1 კორინო (55)

სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ტაირა, ედუ ალონსო, როჯერიო (მუნტიანუ 80), ჯიოვანელა, კარდეტი, ველისკა, სილვანი (ლუნარი 70)

რეალი: კონტრერასი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, იერო (ხაიმე 71), სანჩისი, ივან კამპო, რედონდო, ზეედორფი (გუტი 59), მიატოვიჩი (სავიო 59), მორიენტესი

გაფრთხილება: პავლიჩიჩი, ტაირა, ედუ ალონსო, პანუჩი, რედონდო

მსაჯი: პერეს ბურული

**ესპანიოლი 0:0 ესტრემადურა**

ესპანიოლი: ტონი, ნანდო, სერხიო, ბრნოვიჩი (დე ლუკასი 46), ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, პოსე (ბენიტესი 46), დარიო სილვა, ტამუდო (კიკე მარტინი 71)

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, კალა, სოტო (პოლი 80), ოსკარი, ბელენგუერი, დავიდი, ხუანიტო (მანუელი 75), ტონი ველამასანი, ტორილი, უტარა (გაბრიჩი 52)

მსაჯი: გარსია არანდა

**სოსიედადი 2:0 რასინგი**

1:0, 2:0 კოვაჩევიჩი (66, 88)

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, პიკაბეა, ფ. გერერო (არამბურუ 24), რეკარტე (დე პედრო 56), ადეპოჟუ, ხაურეგი, სა პინტუ, კოვაჩევიჩი, იდიაკესი (დე პაულა 56)

რასინგი: გროდასი, მელბერგი, ნერუ, არსენო, სიეტესი, ტაისი, ისმაელი, ვივარ დორადო, ბესჩასტნიხი, მაგალანესი (სალვა 70), მუნიტისი

გაფრთხილება: იდიაკესი, ისმაელი, მუნიტისი

მსაჯი: ხაპონ სევილია

**ოვიედო 1:2 სარაგოსა**

0:1 ბანგო (78), 0:2 მილოშევიჩი (83), 1:2 დელი ვალდესი (93)

ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, პომპეი, ბანგო, ბენტუ, ონოპკო, ნადი (ხაიმე 36), დელი ვალდესი, დუბოვსკი, მიოლერი (ამიევა 75)

სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი, პაკო, გარიტანო, კილი გონსალესი, აკუნია, მილოშევიჩი, გუსტავო ლოპესი, მარკოს ვალესი (კუარტერო 57)

გაფრთხილება: რაბანიროვი, ბენტუ, სუნდგრენი

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

**მალიორკა 6:1 ბილბაო**

1:0, 2:0, 3:0 ბიაჯინი (2, 41, 45), 4:0 იბაგასა (55), 4:1 ლარასაბალი (60პ), 5:1 მარსელინო (62), 6:1 დანი (85)

მალიორკა: როა, მ. სოლერი, მარსელინი, ოლაისოლა, იბაგასა, სტანკოვიჩი (კარერასი 71), ლაურენი, ფ. სოლერი, ენგონგა, დანი (ლუკე 86), ბიაჯინი (პაუნოვიჩი 70)

ბილბაო: ეჩებერია, ლარასაბალი, ლაკრუზი, ფერეირა, რიოსი, გერერო, კარლოს გარსია, ნაგორე, ალკიზა (ესკუერო 70), ხავი გონსალესი, ურსაისი (ხოსება ეჩებერია 70)

გაფრთხილება: ლაურენი, ნაგორე

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

**დეპორტივო 3:0 ვალიადოლიდი**

1:0 ზიანი (42), 2:0 ტურუ ფლორესი (44), 3:0 ზიანი (80)

დეპორტივო: სონგო, არმანდო, ნაიბეტი, შურერი, მანუელ პაბლო, მაურო სილვა, პაჯი (სკალონი 66), ზიანი (მანხარინი 82), დონატო, ტურუ ფლორესი, ბასირი (პაულეტა 63)

ვალიადოლიდი: ცეზარი, მარკოსი, სანტამარია, პენა, ტორეს გომესი, ჩემა (დუტუელი 46), ვისკაინო, ტურიელი (ემილიო 69), ლოსანო, ალბერტო (კლიმოვიჩი 59), ვიკტორი

გაფრთხილება: არმანდო, მარკოსი, პენა

მსაჯი: დიას ვეგა

**ალავესი 2:1 ვილიარეალი**

1:0 გერარდი (61), 1:1 ალბელდა (72), 2:1 სივორი (92)

ალავესი: ტიტო, კარმონა, ბელსუე, ბერუეტი, იბონ ბეგონა, პაბლო გომესი, გერარდი, დესიო, მანო (ივან როჩა 79), სალინასი (სივორი 79), ვიტამინა სანჩესი (კანაბალი 46)

ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტელესი, ტაშევსკი, არეგუი, რობერტო, ალბელდა, სტაუჩე, გაიტანი (ალფარო 75), გერარდო, კრაიოვეანუ (სანხუანი 85), მოისესი

გაფრთხილება: გერარდი, ივან როჩა, სალინასი, პალოპი, გერარდო, სანხუანი

მსაჯი: მეხია დავილა

**ტენერიფე 3:2 ბეტისი**

1:0 იოკანოვიჩი (8), 1:1 ფილიპესკუ (25), 1:2 ალექსისი (36), 2:2 მისტა (49), 3:2 მაკაი (67)

ტენერიფე: მონო მონტოია, ლორენტე, ალექსისი, ბალესტეროსი, იოკანოვიჩი, დანი, ემერსონი, ხუანელე (ჩანო 70), პინილია, მისტა (ბასავილბასო 84), მაკაი (პიერი 87)

ბეტისი: ვალერიო, ლუის ფერნანდესი, ურენა, ოტერო, ოლიასი, ფილიპესკუ, ალექსისი (იტო 73), ბენხამინი (ფერნანდო 70), ფინიდი, ოლი, დენილსონი (გალვესი 61)

გაფრთხილება: იოკანოვიჩი, ურენა, ოტერო, ალექსისი, ფინიდი

მსაჯი: ესკუინას ტორესი

**ატლეტიკო 1:1 ბარსელონა**

1:0 ვალერონი (53), 1:1 აბელარდო (63)

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა, სერენა, იუგოვიჩი (ნიეგესი 75), ჟუნინიო, ვალერონი, მენა, ხუან გონსალესი (რობერტო 73), ხოსე მარი (ლორენი 83)

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, პელეგრინო, აბელარდო, ფ. დე ბური, გვარდიოლა, ფიგუ, სელადესი (ანდერსონი 67), ლუის ენრიკე (როხერი 85), რივალდო, კლუივერტი

გაფრთხილება: შამოტი, იუგოვიჩი

მსაჯი: იტურალდე გონსალესი



ატლეტიკო — ბარსელონა 1:1. რივალდოს (უკან) თამაში გულშემატკივრებს გულგრილს არ ტოვებდა

**იქ, ზემოთ,** უდიდესი დაძაბულობაა — ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის ერთბაშად ხუთი კლუბი იბრძვის. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში ესპანეთიდან პირველი ოთხეული გადის, ჩემპიონატის ლიდერებს კი ქულა აშორებთ. ლიდერებს შორის შეგნებულად არ მოვიხსენიეთ „ბარსელონა“ — ლუის ვან გაალის კლუბი იმდენად წინაა გაჭრილი და თან ისეთი გუნდია, ცხრაქულიანი უპირატესობის ხელიდან გამშვები არ ჩანს. ფინიშამდე შვიდი ტურია დარჩენილი. ჩემპიონის ბედი, ალბათ, გარკვეულია — „ბარსელონა“ ესპანური ფეხბურთის ოლიმპს მეთექვსმეტედ დაიპყრობს. აი, რას იზამენ დანარჩენები, ძალიან ძნელი სათქმელია.

„ბარსელონას“ ფრით მდევრებს შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, მათ ერთმანეთს თავი შეაკლეს და შედეგად კონკურენტები ძალიან დაიახლოვეს.

ვალენსიაში, „ესტადიო მესტალაზე“, კლაუდიო რანიერის კლუბი ვიგოს „სელტას“ მასპინძლობდა. უცნაური თამაში იყო, ლამაზი, მიმზიდველი, თავისებური... ისეთი, თანაბარძალოვანი მეტოქეების დაპირისპირებისას რომ ხდება ხოლმე.

თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, ხორვატმა თავდამსხმელმა გორან ვლაოვიჩმა ვიგოელთა მცველების დუნე მოქმედებით კარგად ისარგებლა და სტუმართა ფრანგ მეკარე, ექსპარისენჟერმენელ რიშარ დუტრუელს ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა. მალე ვიგოელთა ვეტერანმა ხუან სანჩესმა გაქვითა ხორვატის გოლი და თანაფარდობა აღადგინა.

შემდგომში შეხვედრა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად წარიმართა, თუმცა უცნაურად დასრულდა — თამაშის უკანასკნელ, 90-ე წუთზე ორი გოლი(!) გავიდა. დაგვეთანხმებით, ასეთი რამ ფეხბურთში ძალიან, ძალიან იშვიათია.

— თითქმის ოცი წელიწადია, მწვრთნელი ვარ და ასეთი არაფერი მინახავს. საოცარია და ამასთანავე ძალიან დამთრგუნველი — განაცხადა რანიერიმ მატჩისშედგომ პრესკონფერენციაზე.

მართლაც გასაკვირია — ჯერ იყო და ვიგოელთა რუსმა ფორვარდმა ვალერი კარპინმა შეაგდო გოლი, უმალ კი ვალენსიელებმა გაათანაბრეს. ისე, დაკვირვებული თვალი მასპინძელთა მეორე გოლისას აუცილებლად შენიშნავდა „სელტას“ მეკარე დუტრუელის უცნაურ მოქმედებას. საინტერესოა, რა დაემართა სტუმართა მეკარეს?

ფრე ვალენსიაში სწორედ რომ ზედგამოჭრილი გახლდათ თასების თასის ფინალში გასულ „მალიორკასთვის“ — ექტორ რაულ კუპერის გუნდმა მშობლიურ „ესტადიო ლუის სიტიხარზე“ ბასკ სტუმრებს უმასპინძლა და მეტოქის ნგრევისა და სამი ქულის მიღების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე საფუძვლიანი პრეტენზია განაცხადა.

რა დაემართა „ბილბაოს“? 1:6 მარცხი, რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა.

— ვერ გამიგია, რა მოხდა, გაკვირვებული ვარ. ეს იყო ყველაზე სუსტი თამაში, რაც კი „ბილბაოს“ ჩემი ხელმძღვანელობისას უთამაშია. 1:6 ძალიან, ძალიან სამარცხვინოა. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. მე ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მექნება — ლუის ფერნანდესი, ბილბაოელთა მწვრთნელი პრესკონფერენციაზე თავშეკავებით ლაპარაკობდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, საშინლად აღშფოთებული გახლდათ. განრისხებულიყო „ბილბაოს“ პრეზიდენტი ხოსე მარია არატე: „ვერ გეტყვით, გუნდი კრიზისშია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ შევრცხვით. გადამჭრელ ზომებს მივიღებთ. ფეხბურთელებმა გონება უნდა მოიკრიბონ“. ესპანური პრესის ცნობით, ბილბაოელ ფეხბურთელებს ამ თვის ჯამაგირი გვარიანად შეუმცირდათ. ცნობისთვის: „ბილბაო“ „მალიორკასთან“ ესპანეთის ჩემპიონატის ისტორიაში მეხუთედ დამარცხდა.

პირველობის კიდევ ერთი ლიდერი ლა კორუნიას „დეპორტივო“ ცხრილის შუაგულში ჩაკარგულ „ვალიადოლიდს“ მასპინძლობდა. თეთრ-ცისფრებს („დეპორტივოს“ ფერებია) მოგება არ გასჭირვებიათ. საგულისხმოა, რომ ლაკორუნიელთა სამივე გოლი „დეპორტივოს“ დებიუტანტმა ლეგიონერებმა შეაგდეს — ფრანგი სტეფან ზიანი და არგენტინელი ტურუ ფლორესი კლუბში პირველ სეზონს ატარებენ.

ლიდერთა მარაქაში დამკვიდრდა „რეალიც“. გასაკვირია, როგორ ვერ მოიგო სამეფო კლუბმა სალამანკაში. მადრიდელთა უპირატესობა „ესტადიო ელმანტიკოზე“ თვალშისაცემი იყო, თუმცა სათამაშო უპირატესობა სტუმრებმა ტაბლოზე ვერ გადაიტანეს — ჯონ ტოშაკის კლუბი რაულის გოლით კი დაწინაურდა, მაგრამ მალე სტუმრებს „სალამანკას“ მცველის, ექსბილბაოელი სერხიო კორინო რამონის იერიშში ჩართვა გამოეპარათ და მანაც გაათანაბრა.

... წინ, მხოლოდ შვიდი, მაგრამ ძალიან დაძაბული ტურია. ჯერ ყველაფერი ბურუსითაა მოცული. კარგა ხანია, ესპანეთის ჩემპიონატში ასეთი ინტრიგა არ ყოფილა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 31 | 19 | 6 | 6 | 68:35 | 33 | 63 | 16 | 11 | 2 | 3 | 43:21 | 22 | 35 | 15 | 8 | 4 | 3 | 25:14 | 11 | 28 |
| 2 | სელტა | 31 | 14 | 12 | 5 | 61:32 | 29 | 54 | 15 | 10 | 5 | 0 | 41:12 | 29 | 35 | 16 | 4 | 7 | 5 | 20:20 | 0 | 19 |
| 3 | მალიორკა | 31 | 16 | 6 | 9 | 39:24 | 15 | 54 | 16 | 11 | 3 | 2 | 25:8 | 17 | 36 | 15 | 5 | 3 | 7 | 14:16 | -2 | 18 |
| 4 | დეპორტივო | 31 | 15 | 9 | 7 | 46:32 | 14 | 54 | 16 | 10 | 4 | 2 | 29:12 | 17 | 34 | 15 | 5 | 5 | 5 | 17:20 | -3 | 20 |
| 5 | რეალი | 31 | 16 | 5 | 10 | 62:51 | 11 | 53 | 15 | 10 | 2 | 3 | 37:21 | 16 | 32 | 16 | 6 | 3 | 7 | 25:30 | -5 | 21 |
| 6 | ვალენსია | 31 | 15 | 7 | 9 | 47:33 | 14 | 52 | 15 | 8 | 5 | 2 | 26:12 | 14 | 29 | 16 | 7 | 2 | 7 | 21:21 | 0 | 23 |
| 7 | ბილბაო | 31 | 13 | 8 | 10 | 36:40 | -4 | 47 | 15 | 8 | 5 | 2 | 21:12 | 9 | 29 | 16 | 5 | 3 | 8 | 15:28 | -13 | 18 |
| 8 | სოსიედადი | 31 | 12 | 10 | 9 | 38:33 | 5 | 46 | 16 | 10 | 4 | 2 | 27:12 | 15 | 34 | 15 | 2 | 6 | 7 | 11:21 | -10 | 15 |
| 9 | სარაგოსა | 31 | 12 | 8 | 11 | 44:41 | 3 | 44 | 15 | 7 | 3 | 5 | 24:20 | 4 | 24 | 16 | 5 | 5 | 6 | 20:21 | -1 | 20 |
| 10 | ესპანიოლი | 31 | 10 | 13 | 8 | 33:33 | 0 | 43 | 15 | 5 | 8 | 2 | 15:13 | 2 | 23 | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | -2 | 20 |
| 11 | ბეტისი | 31 | 11 | 7 | 13 | 35:39 | -4 | 40 | 15 | 7 | 3 | 5 | 19:16 | 3 | 24 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:23 | -7 | 16 |
| 12 | ვალიადოლიდი | 31 | 11 | 7 | 13 | 30:35 | -5 | 40 | 16 | 9 | 3 | 4 | 20:12 | 8 | 30 | 15 | 2 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 15 |
| 13 | ოვიედო | 31 | 9 | 11 | 11 | 34:45 | -11 | 38 | 16 | 6 | 5 | 5 | 16:15 | 1 | 23 | 15 | 3 | 6 | 6 | 18:30 | -12 | 15 |
| 14 | ატლეტიკო | 31 | 9 | 9 | 13 | 44:40 | 4 | 36 | 16 | 7 | 6 | 3 | 31:13 | 18 | 27 | 15 | 2 | 3 | 10 | 13:27 | -14 | 9 |
| 15 | რასინგი | 31 | 9 | 8 | 14 | 36:44 | -8 | 35 | 15 | 5 | 3 | 7 | 20:20 | 0 | 18 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | -8 | 17 |
| 16 | ალავესი | 31 | 9 | 7 | 15 | 31:44 | -13 | 34 | 16 | 8 | 4 | 4 | 20:12 | 8 | 28 | 15 | 1 | 3 | 11 | 11:32 | -12 | 6 |
| 17 | ვილიარეალი | 31 | 7 | 11 | 13 | 37:47 | -10 | 32 | 16 | 5 | 6 | 5 | 21:20 | 1 | 21 | 15 | 2 | 5 | 8 | 16:27 | -11 | 11 |
| 18 | ესტრემადურა | 31 | 6 | 10 | 15 | 20:46 | -26 | 28 | 15 | 5 | 3 | 7 | 11:19 | -8 | 18 | 16 | 1 | 7 | 8 | 9:27 | -18 | 10 |
| 19 | ტენერიფე | 31 | 5 | 12 | 14 | 31:49 | -18 | 27 | 16 | 3 | 8 | 5 | 18:22 | -4 | 17 | 15 | 2 | 4 | 9 | 13:27 | -14 | 15 |
| 20 | სალამანკა | 31 | 6 | 6 | 19 | 25:54 | -29 | 24 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:21 | -1 | 22 | 16 | 0 | 2 | 14 | 5:33 | -28 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 22 |
| რივალდო (ბარსელონა) | 19 |
| დელი ვალდესი (ოვიედო) | 15 |
| ურსაისი (ბილბაო) | 14 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 14 |

### XXXII ტური

2 მაისი

ვალიადოლიდი - ვილიარეალი
ბარსელონა - დეპორტივო
ბილბაო - ატლეტიკო
ბეტისი - მალიორკა
სარაგოსა - ტენერიფე
რასინგი - ოვიედო
ესტრემადურა - სოსიედადი
რეალი - ესპანიოლი
სელტა - სალამანკა
ვალენსია - ალავესი

## მეორე დივიზიონი

### XXXIV ტური

**ლას პალმასი 2:2 სევილია**

0:1 ეკტორი (11), 1:1 რენალდო (34), 1:2 ხუან კარლოსი (43), 2:2 ბელიკა (56)

**ბარსელონა B 0:1 ბადახოსი**

0:1 მორენო (26)

**რაიო 4:1 ლეიდა**

0:1 მორინო (22), 1:1 ბოლო (24), 2:1 მორა (30), 3:1 კემბრანოსი (34), 4:1 მიჩელი (81)

**ატლეტიკო B 3:1 ნუმანსია**

1:0 ბარახა (38), 1:1 ხავი მორენო (60პ), 2:1, 3:1 სექუეროსი (85პ, 88)

**ერკულესი 1:1 ოსასუნა**

1:0 კონტე (37პ), 1:1 ტიკო (70)

**სპორტინგი 1:0 ორენსე**

1:0 პეროვიჩი (73)

**ეიბარი 0:0 რეკრეატივო**

**ალბასეტე 0:0 ლეგანესი**

**ლოგრონიესი 1:1 მალაგა**

0:1 რუფეტე (5), 1:1 როტეტა (20)

**ტოლედო 1:0 მერიდა**

1:0 მიგელ ანხელი (50)

**მალიორკა B — კომპოსტელა**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 34 | 17 | 11 | 6 | 58:39 | 62 |
| რაიო | 34 | 16 | 12 | 6 | 55:40 | 60 |
| ატლეტიკო B | 34 | 16 | 9 | 9 | 55:46 | 57 |
| ნუმანსია | 34 | 16 | 8 | 10 | 55:35 | 56 |
| ლას პალმასი | 34 | 14 | 13 | 7 | 47:31 | 55 |
| ტოლედო | 34 | 15 | 10 | 9 | 45:38 | 55 |
| ოსასუნა | 34 | 14 | 12 | 8 | 40:33 | 54 |
| სევილია | 34 | 14 | 10 | 10 | 47:42 | 52 |
| ლეიდა | 34 | 13 | 12 | 9 | 39:35 | 51 |
| მერიდა | 34 | 13 | 11 | 10 | 42:31 | 50 |
| რეკრეატივო | 34 | 12 | 13 | 9 | 33:22 | 49 |
| კომპოსტელა | 33 | 12 | 11 | 10 | 44:36 | 47 |
| ბადახოსი | 34 | 12 | 9 | 13 | 28:30 | 45 |
| ლეგანესი | 34 | 10 | 12 | 12 | 33:37 | 42 |
| ლოგრონიესი | 34 | 10 | 11 | 13 | 40:47 | 41 |
| სპორტინგი | 34 | 10 | 10 | 14 | 33:41 | 40 |
| ალბასეტე | 34 | 9 | 13 | 12 | 26:33 | 40 |
| მალიორკა B | 33 | 11 | 6 | 16 | 40:48 | 39 |
| ბარსელონა B | 34 | 10 | 5 | 19 | 40:52 | 35 |
| ერკულესი | 34 | 7 | 10 | 17 | 28:50 | 31 |
| ეიბარი | 34 | 7 | 6 | 21 | 28:54 | 27 |
| ორენსე | 34 | 5 | 6 | 23 | 29:66 | 21 |

# ოქრო როტერდამში

## ჰოლანდია

XXX ტური

**ფეიენოორდი 2:2 ბრედა**
0:1 შუკოვი (29), 1:1 დალ ტომასონი (35), 2:1 კრუზი (40), 2:2 ა. არველაძე (68)

**ტილბურგი 3:1 აიაქსი**
1:0 ბომბარდა (21), 1:1 შუქსტრა (48), 2:1, 3:1 შულპი (71, 86)

**გრააფსხაპი 1:0 ეინდჰოვენი**
1:0 დენ ტურკი (43)

**ნაიმეგენი 3:1 ვიტესი**
1:0 ლატუერუ (48), 2:0 დე გიერი (50), 2:1 ვან დენ ბრომი (54), 3:1 დე გიერი (67)

**სიტარდი 0:1 როდა**
0:1 პეტერსი (56)

**ვალვაიკი 2:2 ტვენტე**
0:1 ჰესელინკი (5), 1:1, 2:1 ვან დერ ლეგტე (30, 45), 2:2 ჰესელინკი (90)

**უტრეხტი 0:2 მაასტრიხტი**
0:1 ემერსონი (17), 0:2 დე იონგი (90პ)

**კამბური 2:4 სპარტა**
1:0 ვან რიისვაიკი (31), 1:1 დენ დუნენი (42), 2:1 დიკპუიზენი (45), 2:2 ტამერი (50), 3:2 ვუდენი (85), 4:2 ვან დერ ლაანი (89)

**ჰერენვენი 2:1 ალკმაარი**
1:0 სამარჯიჩი (68), 1:1 ფერტუტი (72), 3:1 ცვეტკოვი (83)

„ფეიენოორდი“ ჩემპიონია! როტერდამულმა კლუბმა ტიტული პირველობის დასრულებამდე კარგა ადრე მოიპოვა.

— ჩვენ ამ გამარჯვებისკენ თითქმის ორი წელი მივისწრაფოდით. შედეგს მივაღწიეთ და ამას დამსახურებულად ვთვლი. „ფეიენოორდი“ ნამდვილად იყო ჩემპიონობის ღირსი და სასიხარულოა, რომ პირველები გავხდით! — ლეო ბენჰაკერი, როტერდამის თავკაცი, ხარობდა. სხვათა შორის, მანამდე მას მწვრთნელის რანგში ჰოლანდიის პირველობაც მოეგო და ესპანეთისაც.

1993 წლის შემდეგ როტერდამელები ამაოდ ცდილობდნენ ჩემპიონის სინის ალმართვას, მაგრამ წლევანდლამდე ამას ვერ ახერხებდნენ. სანატრელ ჯილდოს ხან „აიაქსი“, ხანაც „ეინდჰოვენი“ ეტაპრონებოდა, როტერდამელები კი ვერა. ახლა მათი ჯერიც დადგა — „ფეიენოორდი“ ჰოლანდიის ჩემპიონი მეთოთხმეტედ გახდა.

ლეო ბენჰაკერის გუნდს ჩემპიონობისთვის ქულაც ჰყოფნიდა. ალბათ, ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ როტერდამში დაუძლურებულმა „ბრედამ“ უკეთ ითამაშა, ვიდრე „ფეიენოორდმა“. ფეხბურთელები ბრედელ მეტოქეს მოვალეობის მოხდის მიზნით დაუპირისპირდნენ და ამიტომაც იყო, რომ მეტოქეს ჩამოუვარდებოდნენ.

ჩამორჩენის შემდეგ მასპინძლები შეფუცხუნდნენ, უმალ ორი გოლიც შეაგდეს და წუთს წუთზე ითვლიდნენ ჩემპიონობამდე. მართალია, „ბრედას“ ქართველი ლეგიონერის, არჩილ არველაძის გოლმა „ფეიენოორდის“ ფეხბურთელებს ცოტათი ხასიათი წაუხდინა, მაგრამ ეს რა სახსენებელია იმ სიხარულთან, ამ ტიტულის მოპოვებამ რომ მოჰგვარა მათ.

— შესანიშნავია! ჩვენ ჩემპიონები ვართ! ძალიან, ძალიან ბედნიერები ვართ! — „ფეიენოორდის“ საუკეთესო ბომბარდირი არგენტინელი ხულიო კრუზი ემოციებს ვერ ფარავდა. მასპინძლები სწორედ მან დააწინაურა.

ხარობდა მთელი როტერდამი, თუმცა ჭეშმარიტ ქომაგებს შორის ვაიგულშემატკივრებიც ერივნენ და სამართალდამცავებმაც მკლავები დაიკაპიწეს — როტერდამის პოლიციის წარმომადგენლის თქმით, დაახლოებით 20-მდე ფანი დააკავეს, ხოლო არეულობაში 50-მდე კაცი დაშავდა.

კიდევ ერთხელ: „ფეიენოორდი“ ჩემპიონია!

რას შვრებიან დანარჩენები? ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბი, ამსტერდამის „აიაქსი“, 1:3 დამარცხდა — ბოლო ექვს შეხვედრაში მეხუთედ არანაკლებ სახელიანი „ეინდჰოვენიც“ შერცხვა — „გრააფსხაპმა“ აჯობა.

მეორე ადგილზე ალზევდა „ტილბურგი“. კლუბმა, რომელმაც გასულ შემოდგომაზე თბილისის „დინამოს“ ევროტურნირებში ორი მატჩის ჯამში სარეკორდო მარცხი აგემა, ჩემპიონთა ლიგისთვის იბრძვის. ტილბურგელებმა ამჯერად „აიაქსი“ — ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი კლუბი იმსხვერპლეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამსტერდამელებს შვიდი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ.

**ირაკლი ილაშვილი**



როტერდამელი ფეხბურთელები ჩემპიონის ტიტულს ზეიმობენ

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) | 26 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 21 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 19 |
| მოლსი (უტრეხტი) | 17 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 29 | 22 | 5 | 2 | 68:29 | 71 |
| ტილბურგი | 30 | 17 | 5 | 8 | 58:43 | 56 |
| ვიტესი | 30 | 16 | 7 | 7 | 56:39 | 55 |
| ეინდჰოვენი | 30 | 15 | 9 | 6 | 71:44 | 54 |
| ჰერენვენი | 30 | 14 | 9 | 7 | 51:38 | 51 |
| როდა | 29 | 14 | 8 | 7 | 49:33 | 50 |
| აიაქსი | 30 | 13 | 8 | 9 | 60:38 | 47 |
| ტვენტე | 30 | 12 | 11 | 7 | 44:37 | 47 |
| ალკმაარი | 30 | 10 | 11 | 9 | 45:50 | 41 |
| სიტარდი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:42 | 40 |
| უტრეხტი | 30 | 9 | 8 | 13 | 50:56 | 35 |
| ნაიმეგენი | 30 | 9 | 8 | 13 | 38:49 | 35 |
| გრააფსხაპი | 30 | 8 | 11 | 11 | 35:47 | 35 |
| კამბური | 30 | 7 | 9 | 14 | 34:56 | 30 |
| მაასტრიხტი | 30 | 6 | 10 | 14 | 35:52 | 28 |
| სპარტა | 30 | 6 | 4 | 20 | 32:62 | 22 |
| ვალვაიკი | 30 | 4 | 8 | 18 | 31:56 | 20 |
| ბრედა | 30 | 3 | 8 | 19 | 29:54 | 17 |

## შენკლის და ბასბის ტოლ-სწორი

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ პატივი მიაგო თავის ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს, ბილ ნიკოლსონს. 80 წლის მოხუცის სახელი ეწოდა გზას, რომელიც ლონდონის ჩრდილო ნაწილში მდებარე სტადიონს, „უაით ჰართ ლეინს“ ებჯინება.

ბილ ნიკოლსონი გახლდათ პირველი მწვრთნელი, რომელმაც მე-20 საუკუნეში ინგლისის ჩემპიონის ტიტული და ფეხბურთის ასოციაციის თასი ერთდროულად მოიგო ანუ დუბლი შეასრულა. მანვე მოაგებინა გუნდს პირველი საერთაშორისო ჯილდო, რამაც საფუძველი დაუდო ინგლისური კლუბების დიდ ისტორიას ევროპულ სარბიელზე, ხოლო 16-წლიანი კარიერის განმავლობაში მონაგარ სხვა ტროფეებს აქ არ ჩამოვთვლით.

ნიკოლსონი „სპურზს“ სკოლიდანვე, 1936 წელს შეუერთდა. ჩემპიონის ტიტული ფეხბურთელობის დროსაც მოიპოვა, 1958 წელს კი მწვრთნელობას შეუდგა.

როგორც მწვრთნელმა, პირველი მატჩი „ევერტონის“ წინააღმდეგ ჩაატარა და 10:4 მოიგო. 1961 წელს „ტოტენჰემი“ დუბლამდე მიიყვანა, მომდევნო ორ წელიწადში კი ვჯერ ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიპოვა, მერე კი ევროპის თასების მფლობელთა თასი.

ბილ ნიკოლსონის ჯამური ტიტულები ერთ ჩემპიონობას, ფეხბურთის ასოციაციის სამ თასს, ლიგის ორ თასს, ერთ თასების თასსა და ერთსაც უეფას თასს ითვლის. 1974 წელს იგი თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ კონსულტანტად განაგრძო მუშაობა.

შაბათის საზეიმო ცერემონიალზე დიდი მწვრთნელის პატივსაცემად შეიკრიბნენ პატ ჯენინგსი, დეივ მაკი, მარტინ პიტერსი და სხვანი.

„დღეს უბედნიერესი კაცი ვარ. მიხარია, ამდენ ნაცნობ და გაღიმებულ სახეს რომ ვხედავ“ — თქვა ნიკოლსონმა, რომელიც ასაკის მიუხედავად, „სპურზის“ საშინაო მატჩებს მაინც ესწრება, ხოლო მარტში „უემბლიზეც“ გახლდათ მისი გუნდისა და „ლესტერის“ ლიგისთასური ფინალის სანახავად. მოგეხსენებათ, „ტოტენჰემმა“ გაიმარჯვა და ჯილდოს დაეუფლა.

„მიხარია კლუბი კვლავ რომ იმარჯვებს და მწამს, ჯორჯ გრემის ხელმძღვანელობით წინ ბევრი ლამაზი წუთი გველის“ — განაცხადა ნიკოლსონმა, რომელზეც წარსულში ცნობილმა მეკარემ, პატ ჯენინგსმა ბრძანა:

„ბილი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელია. იგი „ლივერპულის“ დიდი თავკაცის, ბილ შენკლისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული ხელმძღვანელის, მატ ბასბის თანასწორი გახლავთ“.

## პორტუგალია

XXIX ტური

**კამპომაიორენსე 3:1 ფარენსე**
1:0 მონტანინი (72), 1:1 მაურო სუარეში (78ს.კ.), 2:1, 3:1 მონტანინი (84, 94)

**ბეირა მარი 1:1 მარიტიმუ**
1:0 სიმიჩი (27), 1:1 ბუნბურუ (70პ)

**აკადემიკა 0:1 ლეირია**
0:1 კონადუ (90)

**სპორტინგი 1:1 ბოავიშტა**
1:0 ბერტო (26), 1:1 ტიმოფტე (83)

**ამადორა 1:0 ალვერკა**
1:0 ოლივეირა (40)

**ბენფიკა 1:1 პორტუ**
0:1 ზაჰოვიჩი (41), 1:1 ბასტო (48)

**სეტუბალი 3:0 ბრაგა**
1:0 კონდე (25), 2:0 მამედე (32), 3:0 კონდე (59)

**რიუ ავე — გიმარაეში**
**შავეში — სალგეირუში**
წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 29 | 20 | 6 | 3 | 65:24 | 66 |
| ბოავიშტა | 29 | 17 | 10 | 2 | 48:23 | 61 |
| ბენფიკა | 29 | 17 | 6 | 6 | 60:23 | 57 |
| სპორტინგი | 29 | 15 | 10 | 4 | 54:25 | 55 |
| ლეირია | 29 | 12 | 8 | 9 | 30:23 | 44 |
| ამადორა | 29 | 11 | 9 | 9 | 30:34 | 42 |
| სეტუბალი | 29 | 11 | 8 | 10 | 31:31 | 41 |
| გიმარაეში | 28 | 10 | 7 | 11 | 43:37 | 37 |
| სალგეირუში | 28 | 7 | 13 | 8 | 36:43 | 34 |
| მარიტიმუ | 29 | 8 | 9 | 12 | 35:37 | 33 |
| კამპომაიორენსე | 29 | 9 | 6 | 14 | 36:43 | 33 |
| ფარენსე | 29 | 8 | 8 | 13 | 29:46 | 32 |
| ბრაგა | 29 | 7 | 10 | 12 | 32:49 | 31 |
| ალვერკა | 29 | 7 | 10 | 12 | 29:40 | 31 |
| რიუ ავე | 28 | 6 | 11 | 11 | 23:39 | 29 |
| ბეირა მარი | 29 | 5 | 13 | 11 | 28:42 | 28 |
| შავეში | 28 | 5 | 9 | 14 | 35:54 | 24 |
| აკადემიკა | 29 | 4 | 7 | 18 | 27:58 | 19 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

VIII ტური

**სერვეტი 1:2 ქსამაქსი**
1:0 ვურენსი (21), 1:1 ბუგანენი (29), 1:2 ისაბელა (79)

**სენტ გალენი 1:2 ბაზელი**

**ლუცერნი 1:3 ციურიხი**
0:1 ბარტლეტი (33), 0:2 კუნცი (42), 0:3 ლიმა (62), 1:3 კოუმანტარაკისი (86)
ციურიხი: შორუნმუ, ჰოდელი, კუნცი, ბარტლეტი, ფიშერი, კასტილიო, დი ჯორიო (ჰუზერი 77), ტარონე, ლიმა, ოპანგო (სანტანა 46), ჯამარაული (იოდისე 80)

**გრასჰოპერი 5:0 ლოზანა**
1:0 მანინი (12), 2:0 ყაველაშვილი (31), 3:0 ტიკვა (47), 4:0 კომიზეტი (57), 5:0 ფოგელი (70)
გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, მაგრო (კომიზეტი 57), მიულერი, ტარარახე, ტიკვა, ფოგელი, ყაველაშვილი (სერმეტერი 82), მანინი (კაბანასი 73)

პარასკევს შვეიცარიის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეორე წრე დაიწყო. პირველივე ტურმა დიდი ცვლილებები მოახდინა. მიმდინარე ჩემპიონატში მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერი“ პირველად მოექცა გათამაშების ცხრილის სათავეში. ამაში თავისი წვლილი [illegible] საქართველოს ნაკრებში პრგამომძახებულმა ქართველმაც შეიტანა, რომელმაც ბოლო ორ მატჩში ამდენივე გოლი გაიტანა. გარდა ამისა, მიშამ თანაგუნდელებს არც საგოლე პასები დააკლო. ბოლო ტურში „კალიებმა“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი „ლოზანა“ გაანადგურეს — 5:0. მეორე კონკურენტი, ჟენევის „სერვეტი“ კი შინ დამარცხდა 1:2 „ქსამაქსთან“, რომელსაც წინა ტურში სტუმრად 3:0 მოუგო.

ზედიზედ მეორედ მოიგო გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა“. მეშვიდე ტურში „ლუცერნს“ „ციურიხმა“ 3:0 სძლია, ახლა კი თავად ეწვია ფინალური ეტაპის აუტსაიდერს და ზუსტად ისეთივე ანგარიშით დაამარცხებდა, ბოლო წუთებზე კოუმანტარაკისს რომ არ გამოეჩინა თავი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:6 | 36 |
| სერვეტი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 35 |
| ლოზანა | 8 | 5 | 0 | 3 | 16:13 | 34 |
| ციურიხი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:11 | 27 |
| ბაზელი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 27 |
| ქსამაქსი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:15 | 25 |
| სენტ გალენი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:13 | 22 |
| ლუცერნი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:15 | 21 |

## რუსეთი

XXIII ტურის
გადმოტანილი მატჩი

**სპარტაკი 0:1 ტორპედო**

IV ტური

**ზენიტი 1:2 სპარტაკი**
**ალანია 3:1 როსტსელმაში**
**შინიკი 0:0 ცსკა**
**დინამო 2:1 ნ. ნოვგოროდი**
**კრილია 1:2 ტორპედო**
**ურალანი 0:1 როტორი**
**ჩერნომორეცი 3:0 ჟემჩუჟინა**
**ლოკომოტივი 3:0 სატურნი**

წინა კვირაში მოსკოვის „სპარტაკმა“ ორი საჩემპიონატო მატჩის ჩატარება მოასწრო — შემოდგომის სეზონში დაგეგმილი ორი გადმოტანილი შეხვედრა გამართა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსეთის ეროვნულ ნაკრებს სექტემბრის თვეში მცირე ხნის შუალედში, სომხეთისა და ანდორის ნაკრებებთან შესარჩევი ციკლის მატჩები ელის, მათი პირველი გუნდის ძირითად ბირთვს კი, კარგად მოგეხსენებათ, სპარტაკელები წარმოადგენენ.

თანაქალაქელ „ტორპედოსთან“ მოულოდნელი დამარცხების შემდეგ „სპარტაკმა“ შეძლო ძალების სრული მობილიზება და სანკტ პეტერბურგში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ქულების დაუკარგავად ჯერჯერობით მხოლოდ მოსკოვის „დინამო“ ასპარეზობს. იარცევის შეგირდებმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგეს. თუ ამას დავუმატებთ თასის ნახევარფინალში, ვოლგოგრადში „როტორის“ დამარცხებას, უფროდაუფრო მართლდება სეზონის წინ სპეციალისტების მიერ გამოთქმული პროგნოზი — „დინამო“ „სპარტაკს“ ჩემპიონობას შეეცილებაო.

აშკარად სუსტად გამოიყურება ფოფხაძისა და წიკლაურის „კრილია“. სამარელებს მხარი აუბა სოჭის გუნდმაც. გოგიაშვილისა და გოგრიჭიანის „ჟემჩუჟინა“ ზედიზედ მეორე შეხვედრაში დიდი ანგარიშით დამარცხდა, თანაც არც ისე ძლიერ მეტოქეებთან.

იმარჯვა ქართველი ფეხბურთელების სიმრავლით გამორჩეულმა „ალანიამ“. თუმცა ვლადიკავკაზელთა მთავარმა გოლეადორმა გიორგი დემეტრაძემ ამჯერად ვერ მოახერხა „როსტსელმაშის“ კარის დალაშქვრა.

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 6 | 5 | 0 | 1 | 11:3 | 15 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| ტორპედო | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ცსკა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| სატურნი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ალანია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| როტორი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| შინიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| როსტსელმაში | 4 | 1 | 1 | 2 | 4:9 | 4 |
| ნ.ნოვგოროდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| კრილია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |
| ჟემჩუჟინა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| ურალანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

## საბერძნეთი

27-ე ტური: ოლიმპიაკოსი — არისი 1:0; იონიკოსი — აეკი 2:1; ირაკლისი — პანათინაიკოსი 3:3; პაოკი — აპოლონი 3:1; პრუდეფტიკი — ვერია 1:0; ქსანტი — კავალა 4:1; პანილიაკოსი — ოფი 1:2; ეთნიკოსი (ასტირი) — პანელეფსინიაკოსი 0:0; პანიონისი — ეთნიკოსი (პირეოსი) წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 27 | 22 | 2 | 3 | 68:19 | 68 |
| აეკი | 27 | 19 | 4 | 4 | 60:22 | 61 |
| პანათინაიკოსი | 27 | 18 | 3 | 6 | 55:32 | 57 |
| პაოკი | 27 | 14 | 5 | 8 | 33:25 | 47 |
| ქსანტი | 27 | 13 | 7 | 7 | 35:25 | 46 |
| ოფი | 27 | 14 | 2 | 11 | 41:32 | 44 |
| იონიკოსი | 27 | 12 | 7 | 8 | 49:33 | 43 |
| არისი | 27 | 13 | 3 | 11 | 38:37 | 42 |
| ირაკლისი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:29 | 40 |
| კავალა | 27 | 10 | 6 | 11 | 41:51 | 36 |
| ეთნიკოსი (ა) | 27 | 10 | 4 | 13 | 32:44 | 34 |
| აპოლონი | 27 | 7 | 8 | 12 | 34:50 | 29 |
| პანილიაკოსი | 27 | 8 | 5 | 14 | 30:43 | 29 |
| პრუდეფტიკი | 27 | 7 | 6 | 14 | 20:31 | 27 |
| პანელეფსინ. | 27 | 5 | 11 | 11 | 19:34 | 26 |
| პანიონისი | 26 | 7 | 3 | 16 | 34:43 | 24 |
| ვერია | 27 | 4 | 5 | 18 | 15:45 | 17 |
| ეთნიკოსი (პ) | 26 | 0 | 8 | 18 | 14:62 | 8 |

## შოტლანდია

XXXII ტური

**რეინჯერსი 3:1 აბერდინი**
0:1 პერი (19), 1:1 ამატო (27პ), 2:1 კანჩელსკისი (55), 3:1 უოლესი (60)

**დანდი 2:1 კილმარნოკი**
1:0 ანდერსონი (45), 1:1 ინესი (53), 2:1 მაკსკიმინგი (64)

**დანფერმლაინი 2:2 დანდი იუნ.**
0:1, 0:2 დოდსი (13, 18პ), 1:2 მილარი (46პ), 2:2 სმიტი (54)

**მოზერველი 0:4 ჰართსი**
0:1 ჯეკსონი (21), 0:2, 0:3 ადამი (46, 59), 0:4 კამერონი (90)

**სენტ ჯონსტონი 1:0 სელტიკი**
1:0 ოპალორანი (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 32 | 21 | 6 | 5 | 69:29 | 69 |
| სელტიკი | 32 | 18 | 8 | 6 | 77:28 | 62 |
| კილმარნოკი | 32 | 14 | 11 | 7 | 45:26 | 53 |
| სენტ ჯონსტონი | 32 | 14 | 10 | 8 | 37:36 | 52 |
| დანდი | 32 | 10 | 7 | 15 | 29:53 | 37 |
| მოზერველი | 32 | 8 | 10 | 14 | 31:48 | 34 |
| აბერდინი | 32 | 9 | 7 | 16 | 37:61 | 34 |
| დანდი იუნ. | 32 | 8 | 9 | 15 | 35:40 | 33 |
| ჰართსი | 32 | 8 | 8 | 16 | 33:47 | 32 |
| დანფერმლაინი | 32 | 4 | 16 | 12 | 25:50 | 28 |

## პოლონეთი

23-ე ტური: ბელხატოვი — ლეგია 1:2; პოგონი — სტომილი 2:2; პოლონია — ვიძევი 2:1; ლკს — რაძიონკოვი 0:1; რუხი — ამიცა 0:0; ოდრა — ზაგლებიე 0:1; ვისლა — კატოვიცე 4:1; გურნიკი — ლეხი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 23 | 20 | 1 | 2 | 61:17 | 61 |
| ლეხი | 23 | 15 | 1 | 7 | 47:25 | 46 |
| ვიძევი | 23 | 14 | 1 | 8 | 40:28 | 43 |
| ლეგია | 23 | 11 | 8 | 4 | 29:19 | 41 |
| პოლონია | 23 | 11 | 6 | 6 | 35:25 | 39 |
| გურნიკი | 23 | 8 | 7 | 8 | 28:25 | 31 |
| რაძიონკოვი | 23 | 8 | 7 | 8 | 29:28 | 31 |
| ზაგლებიე | 23 | 7 | 8 | 8 | 33:25 | 29 |
| ბელხატოვი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:36 | 26 |
| ამიცა | 23 | 7 | 5 | 11 | 27:35 | 26 |
| ოდრა | 23 | 6 | 6 | 11 | 26:32 | 24 |
| სტომილი | 23 | 7 | 3 | 13 | 21:34 | 24 |
| რუხი | 23 | 6 | 6 | 11 | 16:32 | 24 |
| ლკს | 23 | 5 | 8 | 10 | 23:33 | 23 |
| პოგონი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:42 | 23 |
| კატოვიცე | 23 | 5 | 5 | 13 | 19:38 | 20 |

## უკრაინა

22-ე ტური: დნეპრი — შახტიორი 1:2; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — კარპატი 3:1; კრივბასი — მეტალურგი (მარიუპოლი) 3:1; მეტალურგი (დონეცკი) — ნიკოლაიევი 0:0; ვორსკლა — მეტალისტი 1:2; ზირკა — ნივა 1:0; ცსკა — ტავრია 3:0; პრიკარპატიე — დინამო 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 15 | 4 | 1 | 53:13 | 49 |
| შახტიორი | 22 | 16 | 1 | 5 | 60:22 | 49 |
| კარპატი | 22 | 11 | 7 | 4 | 38:22 | 40 |
| კრივბასი | 22 | 10 | 9 | 3 | 25:12 | 39 |
| მეტალისტი | 22 | 11 | 3 | 8 | 23:26 | 36 |
| მეტალურგი (მ) | 21 | 9 | 5 | 7 | 28:20 | 32 |
| ცსკა | 20 | 8 | 8 | 4 | 26:19 | 32 |
| ზირკა | 21 | 8 | 5 | 8 | 20:22 | 29 |
| მეტალურგი (ზ) | 21 | 8 | 3 | 10 | 30:36 | 27 |
| მეტალურგი (დ) | 22 | 6 | 7 | 9 | 21:33 | 25 |
| ტავრია | 22 | 6 | 6 | 10 | 20:28 | 24 |
| ვორსკლა | 21 | 6 | 5 | 10 | 22:30 | 23 |
| ნივა | 22 | 6 | 5 | 11 | 21:30 | 23 |
| დნეპრი | 21 | 6 | 2 | 13 | 17:34 | 20 |
| პრიკარპატიე | 22 | 3 | 5 | 14 | 14:45 | 14 |
| ნიკოლაიევი | 21 | 2 | 5 | 14 | 12:41 | 11 |

## სლოვენია

25-ე ტური: მარიბორი — კოპერი 5:0; სობოტა — დომზალე 1:2; ველენიე — ტრიგლავი 3:1; ბელტინჩი — აიდოვშინა 0:2; ნოვა გორიცა — ცელიე 0:1; პრევალიე — ოლიმპია 0:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 25 | 14 | 7 | 4 | 56:26 | 49 |
| ნოვა გორიცა | 25 | 14 | 5 | 6 | 43:27 | 47 |
| ველენიე | 25 | 13 | 6 | 6 | 32:18 | 45 |
| სობოტა | 25 | 12 | 5 | 8 | 41:24 | 41 |
| ოლიმპია | 25 | 11 | 5 | 9 | 45:33 | 38 |
| პრევალიე | 25 | 10 | 6 | 9 | 33:35 | 36 |
| აიდოვშინა | 25 | 9 | 6 | 10 | 30:29 | 33 |
| ცელიე | 25 | 6 | 10 | 9 | 20:27 | 28 |
| ბელტინჩი | 25 | 8 | 4 | 13 | 28:47 | 28 |
| დომზალე | 25 | 6 | 7 | 12 | 23:41 | 25 |
| კოპერი | 25 | 6 | 6 | 13 | 24:47 | 24 |
| ტრიგლავი | 25 | 4 | 7 | 14 | 21:42 | 19 |

## ნორვეგია

მე-3 ტური: ბრანი — კონგსვინგერი 5:4; სტომსგოდსეტი — ვალერენგა 0:3; ვიკინგი — ლილესტრიომი 2:4; სტაბეკი — მოსი 3:1; მოლდე — ბოდო გლიმტი 2:1; რუსენბორგი — ტრომსო 2:2; გრენლანდი — სკეიდი 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდე | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ლილესტრიომი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:5 | 9 |
| გრენლანდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:4 | 9 |
| ვალერენგა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| სტაბეკი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:4 | 6 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:5 | 4 |
| ტრომსო | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| ბოდო გლიმტი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ვიკინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| სტრომსგოდსეტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| ბრანი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:12 | 3 |
| კონგსვინგერი | 3 | 0 | 0 | 3 | 7:10 | 0 |
| სკეიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |
| მოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

## ბელგია

XXX ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 30 | 19 | 7 | 4 | 63:31 | 64 |
| ბრიუგე | 30 | 19 | 5 | 6 | 55:31 | 62 |
| მუსკრონი | 30 | 17 | 7 | 6 | 68:44 | 58 |
| ანდერლეხტი | 30 | 17 | 7 | 6 | 58:36 | 58 |
| სტანდარდი | 30 | 17 | 2 | 11 | 52:33 | 53 |
| ლოკერენი | 30 | 15 | 6 | 9 | 60:51 | 51 |
| სტ. ტრუიდენი | 31 | 14 | 8 | 9 | 49:39 | 50 |
| გენტი | 30 | 13 | 8 | 9 | 49:52 | 47 |
| ლიერსი | 30 | 13 | 6 | 11 | 58:43 | 45 |
| ეკერენი | 30 | 12 | 6 | 12 | 42:42 | 42 |
| ჰარელბეკე | 30 | 10 | 9 | 11 | 42:42 | 39 |
| ვესტერლო | 30 | 11 | 5 | 14 | 51:54 | 38 |
| აალსტი | 30 | 8 | 7 | 15 | 41:58 | 31 |
| შარლერუა | 30 | 6 | 11 | 13 | 36:47 | 29 |
| ლომელი | 30 | 6 | 6 | 18 | 28:46 | 24 |
| ბევერენი | 30 | 6 | 5 | 19 | 28:55 | 23 |
| კორტრაიკი | 31 | 5 | 7 | 19 | 43:75 | 22 |
| ოსტენდე | 30 | 2 | 10 | 18 | 24:68 | 16 |

## საფრანგეთი

XXX ტური

**პსჟ 3:0 ლე ავრი**

1:0 მადარი (42), 2:0 ვიორნსი (45), 3:0 მადარი (50)

**ლიონი 1:2 რენი**

0:1 ბარდონი (34), 0:2 ნონდა (72 პ), 1:2 კოკარი (90)

**ოსერი 2:2 მონპელიე**

0:1 დელაი (24), 1:1 როდრიგესი (36 ავტ), 2:1 ბატლელი (44), 2:2 რობერი (78)

**ნანტი 0:0 მეცი**

**ლანსი 4:0 მარსელი**

1:0 ვრული (44), 2:0 მორეირა (67), 3:0 ვრული (70), 4:0 მორეირა (78)

**მონაკო 1:1 ბასტია**

0:1 ნე (8), 1:1 ლეგვინსკი (90)

**სოშო 2:0 ბორდო**

1:0 დალე (27), 2:0 ბუჟერი (76)

**ლორიანი 0:1 სტრასბური**

0:1 ზიტელი (66)

**ნანსი 2:0 ტულუზა**

1:0 მერიდი (81 პ), 2:0 კორუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 30 | 19 | 7 | 4 | 53:26 | 64 |
| ბორდო | 30 | 19 | 6 | 5 | 58:24 | 63 |
| ლიონი | 30 | 16 | 8 | 6 | 46:27 | 56 |
| რენი | 30 | 15 | 8 | 7 | 41:33 | 53 |
| მონაკო | 30 | 14 | 8 | 8 | 46:30 | 50 |
| ლანსი | 30 | 13 | 5 | 12 | 39:36 | 44 |
| ნანტი | 30 | 10 | 12 | 8 | 36:30 | 42 |
| მონპელიე | 30 | 10 | 8 | 12 | 47:46 | 38 |
| პსჟ | 30 | 9 | 9 | 12 | 28:27 | 36 |
| სტრასბური | 30 | 8 | 12 | 10 | 25:29 | 36 |
| ბასტია | 30 | 9 | 7 | 14 | 34:40 | 34 |
| ნანსი | 30 | 9 | 7 | 14 | 30:41 | 34 |
| ოსერი | 30 | 8 | 9 | 13 | 38:42 | 33 |
| მეცი | 30 | 7 | 11 | 12 | 24:35 | 32 |
| ლე ავრი | 29 | 8 | 8 | 13 | 21:34 | 32 |
| ლორიანი | 30 | 6 | 11 | 13 | 25:44 | 29 |
| ტულუზა | 30 | 5 | 11 | 14 | 19:43 | 26 |
| სოშო | 29 | 4 | 13 | 12 | 24:47 | 25 |

## ავსტრია

ავსტრია. 30-ე ტური. გრაცერი — რაპიდი 0:1; აუსტრია — რიდი 3:0; ლუსტენაუ — ზალცბურგი 0:0; ტიროლი — შტაირი 4:0; ლინცერი — შტურმი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 30 | 18 | 9 | 3 | 47:21 | 63 |
| შტურმი | 30 | 19 | 3 | 8 | 58:27 | 60 |
| გრაცერი | 30 | 16 | 5 | 9 | 36:25 | 53 |
| ზალცბურგი | 30 | 12 | 10 | 8 | 45:35 | 46 |
| ლინცერი | 30 | 13 | 6 | 11 | 40:35 | 45 |
| აუსტრია | 30 | 11 | 10 | 9 | 34:32 | 43 |
| ტიროლი | 30 | 11 | 9 | 10 | 36:36 | 42 |
| რიდი | 30 | 7 | 7 | 16 | 23:35 | 28 |
| ლუსტენაუ | 30 | 3 | 11 | 16 | 21:51 | 20 |
| შტაირი | 30 | 2 | 6 | 22 | 24:67 | 9 |

## შვედეთი

მე-3 ტური. ელფსბორგი — ჰამარბი 3:0, ჰელსინგბორგი — იურგარდენი 4:1, ტრელებორგი — გიოტებორგი 3:1, აიკ — კალმარი 4:0, ფრიოლუნდა — იორებრო 2:0, ჰალმსტადი — ნორჩიოპინგი 1:1, იორგრიტე — მალმიო 4:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრიოლუნდა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| იორგრიტე | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ელფსბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| აიკ | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ტრელებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| იურგარდენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰამარბი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| კალმარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| ჰალმსტადი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| იორებრო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| გიოტებორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ნორჩიოპინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

## თურქეთი

29-ე ტური: საქარია — ქარაბუქი 4:0; ანკარაგიუჯიუ — ადანა 2:2; ალთაი — ერზურუმი 3:1; ბურსა — ისთანბული 2:0; დარდანელი — ქოჯაელი 3:1; ანთალია — გენჩლებირლიგი 1:1; ტრაბზონი — გალათასარაი 0:3; გაზიანთეფი — ფენერბაჰჩე 2:2; ბეშიქთაში — სამსუნი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 29 | 21 | 6 | 2 | 78:27 | 69 |
| ბეშიქთაში | 29 | 19 | 7 | 3 | 47:23 | 64 |
| ფენერბაჰჩე | 29 | 18 | 5 | 6 | 69:25 | 59 |
| ტრაბზონი | 29 | 16 | 6 | 7 | 42:29 | 54 |
| ანთალია | 29 | 13 | 6 | 10 | 38:36 | 45 |
| ქოჯაელი | 29 | 13 | 5 | 11 | 38:32 | 44 |
| გენჩლებირლიგი | 29 | 11 | 9 | 9 | 43:38 | 42 |
| გაზიანთეფი | 29 | 10 | 11 | 8 | 43:40 | 41 |
| ისთანბული | 29 | 10 | 7 | 12 | 41:43 | 37 |
| ალთაი | 29 | 10 | 5 | 14 | 43:51 | 35 |
| ბურსა | 29 | 10 | 4 | 15 | 43:61 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 29 | 9 | 6 | 14 | 39:41 | 33 |
| სამსუნი | 29 | 9 | 6 | 14 | 33:48 | 33 |
| საქარია | 29 | 8 | 7 | 14 | 39:44 | 31 |
| ადანა | 29 | 8 | 6 | 15 | 28:46 | 30 |
| ერზურუმი | 29 | 7 | 8 | 14 | 33:58 | 29 |
| დარდანელი | 29 | 6 | 8 | 15 | 27:42 | 26 |
| ქარაბუქი | 29 | 4 | 6 | 19 | 19:55 | 18 |

### მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ფინალი

# ჩემპიონობა ძალიან კარგია!

**ესპანეთი 4:0 იაპონია**

1:0 ბაკერო (5), 2:0, 3:0 პაბლო (14, 30), 4:0 გაბრი (51)

ესპანეთი: არანსუბია, კოირა, იესუე, მარჩენა, ბერმუდო, ორბაისი, ვარელა (რუბენი 63), ხავი, ბაკერო (აგანსა 80), გაბრი (კოლსა 70), პაბლო

იაპონია: მინამი, საკაი, ცუჯიმოტო, ტეშიმა, ნაკატა, ოგასავარა, მოტოიამა, ენდო, უჯი (ინამოტო 46), ნაგაი (ტაკადა 69), ტაკაჰარა (ბანდო 56)

მსაჯი: ანხელო ოსვალდო სანჩესი (არგენტინა)

ესპანეთი ჩემპიონია! მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულისთვის განკუთვნილმა თასმა პირინეის ნახევარკუნძულისკენ გასწია. ვერაფერს იტყვი — ინაკი რუის საესის გუნდის გამარჯვება ლოგიკური გახლდათ და ამასთანავე დამსახურებული.

ფინალში ესპანეთი შეუდარებელი გახლდათ — ევროპელები ერთი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე და შესაბამისად დიდი ანგარიშითაც მოიგეს. ამომავალი მზის ქვეყნის რჩეულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრების სისუსტე უფრო პირველ ტაიმში ჩანდა, ვიდრე მეორეში. მეტიც, იაპონელებმა შესვენების შემდეგ თამაში თითქოს გაათანაბრეს კიდეც, მაგრამ ეს ყველაფერი იმით გახლდათ განპირობებული, რომ ოქრო ესპანელებმა პირველივე ტაიმში გაინაღდეს, მეორეში კი მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ.

— შესვენებისას მწვრთნელმა დავალებები კი მოგვცა, მაგრამ პირადად მე არ დავმალავ და გეტყვით, რჩევებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. აბა, რა უნდა მეფიქრა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პირველი ტაიმი 3:0 მოვიგეთ. ოქრო განაღდებული გვქონდა. ამაში დარწმუნებული ვიყავი და ამიტომაც მეორე ტაიმში ისე რა ვითამაშე, ალბათ, თანაგუნდელებიც ამ განწყობით გავიდნენ მოედანზე, — გაბრი, ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გულახდილი საუბრობდა. ფინალში მან დიდად განაპირობა ესპანეთის წარმატება, მთლიანობაში კი ნიგერიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ.

არ იფიქროთ, თითქოს მეორე ტაიმში ესპანეთმა იაპონია თავის ნებაზე მიუშვა: არა, ესპანეთი მინამის კართან სახიფათო მომენტებს კვლავაც ქმნიდა, ერთი გოლიც შეაგდო, მაგრამ თავდასხმებისას ფავორიტები უფრო ლამაზად თამაშს, კომბინაციების ჩახლართვას ცდილობდნენ, როცა პირველ ტაიმში კარზე გახლდნენ დაგეშილნი.

არ გაუმართლათ აზიელებს. ამ შემთხვევაში მარტო იაპონელებს არ ვგულისხმობთ. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში აზიური გუნდი მეორედ გავიდა და კვლავ განადგურდა. იაპონიამდე შორეულ 1981 წელს ყატარი შერცხვა — მაშინდელ გფრ-სთან მათ 0:4 დათმეს.

მოდით, კვლავ ფინალს დავუბრუნდეთ. გარდა იმისა, რომ იაპონიას არ გაუმართლა და 0:4 წააგო, 0:1-ზე მათ მსაჯმაც აქცია ზურგი — ესპანელთა მცველმა იესუემ იაპონელთა თავდასხმის ლიდერი მოტოიამა აშკარად საჯარიმოში დასცა, არგენტინელმა არბიტრმა კი წესების დარღვევა ვერ დააფიქსირა. ეგ იყო და ეგ — მერე ესპანელები მიდგნენ და საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

— ეს ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი დღეა. ჩვენ მართლაც დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ხუმრობა საქმე ხომ არაა — ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრებს ფიფას ეგიდით გამართული შეჯიბრება პირველად ჩვენ მოვაგებინეთ — ორი გოლის ავტორი პაბლო ძალიან ხარობდა. გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მალის ნაკრების თავდამსხმელ მამადუ დისასთან ერთად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც მოიპოვა. მანაც და დისამაც 5-5 გოლი გაიტანეს.

მიუხედავად გადამწყვეტ მატჩში განადგურებისა, იაპონიის ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე კმაყოფილი გახლდათ. იმას, რომ იგი იაპონიის ნაკრების ფინალში გასვლას უკვე დიდ მიღწევად თვლიდა, გადამწყვეტ მატჩამდე რამდენიმე ხნით ადრეც აცხადებდა. პრესკონფერენციაზე მან თითქმის იგივე გაიმეორა და ისიც დაამატა 0:4 წაგება ჩვენი დისკვალიფიცირებული კაპიტნის შინჯი ონოს არყოფნის გამო მოხდაო.

თქვენი აზრით, რას იტყოდა ჩემპიონთა მწვრთნელი ინაკი რუის საესი? ალბათ ფიქრობთ, რომ გუნდს აქებდა და ფეხბურთელებს შეაქებდა. ასეც იყო, მაგრამ ქება მწვრთნელის, საუბრის ბოლოში გაისმა, მანამდე კი საესი იმაზე საუბრობდა, რა ძნელი იყო მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება, როგორ უჭირდა მის გუნდს ნიგერიაში და რა კარგია, როცა მუხლჩაუხრელი შრომა უკვალოდ არ ჩაივლის. ცნობისთვის: ინაკი რუის საესი ბასკია და „ბილბაოს" სათადარიგო შემადგენლობას წვრთნიდა.

ჩემპიონის ოქროს მედლები ესპანელებმა ნამდვილად დაიმსახურეს. ჩემპიონატის პირველი დღიდან ფინალის ჩათვლით ისინი კარგი, შეთანხმებული, გააზრებული მოქმედებით გამოირჩეოდნენ ძლიერ და სტაბილურ თამაშს კი, მოგეხსენებათ, გამარჯვებაც მოაქვს.



ესპანეთი — იაპონია 4:0. აზიელები ამაოდ ცდილობდნენ ესპანელთა საუკეთესო თავდამსხმელის პაბლოს (№9) შეჩერებას — მან ორი გოლი გაიტანა

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**მალტა 1:0 ურუგვაი**

1:0 ს. კეიტა (29)

მალი: ბ. კეიტა, ა. ტრაორე, დ. კულიბალი, ა. კულიბალი, დიაკიტე, ს. კეიტა, სისე, სისოკო (დისა 46), ე. კულიბალი, დიარა, ბაგაიოკო

ურუგვაი: კარინი, სორონდო, კარენო (მაჩადო 48), პელეგრინო, პოუსო, მაკალესო (ალბერმაგერი 55), კორეა, ფორლანი (ლიგერა 52), ანჩენი, კანობიო, კარდოსო

„კულიბალების გუნდად" წოდებული მალი მესამე ადგილზე გავიდა. მსოფლიოს ექსვიცე-ჩემპიონ ურუგვაის (ორი წლის წინ, 1997-ში, მალაიზიაში ურუგვაი ფინალში დამარცხდა არგენტინასთან) ამჯერად მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილება მოუხდა.

— ჩვენ კვლავ საკუთარი შეცდომების გამო დავმარცხდით. სამწუხაროა, როცა მარცხის მიზეზი შენ ხარ. მეტს ვერაფერს გეტყვით. მე პირადად ძალიან მტკივა გული — ვიქტორ პუა, ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი სასოწარკვეთილი გახლდათ.

საკუთარ შეცდომებში პუამ უპირველეს ყოვლისა, ალბათ, მეკარის ექტორ კარინას უყურადღებობა თუ იგულისხმა. 29-ე წუთზე, როცა სამხრეთამერიკელთა კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, კარინიმ მოახერხა და სეიდუ კიეტას შორიდან დარტყმული ბურთი გაუშვა. ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

— მოხარული ვარ, პრიზიორთა შორის რომ მოვხვდით. პირადად ჩემთვის ეს დიდ საერთაშორისო ტურნირებში დებიუტი გახლდათ. მოხარული ვარ, რომ მეტოქეებთან პაექრობაში წარმატებას მივაღწიე — სეიდუ კეიტა, მალის ერთადერთი გოლის ავტორი ამ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

მთლიანობაში შეხვედრა მაინცდამაინც კარგი არ ყოფილა. ჩვეულებრივი ბურთაობა გახლდათ, ისეთი, ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი რომ ყოფილა. ისე, უცნაურად დასრულდა ეს საკმაოდ ლამაზი პირველობა — პრიზიორთა შორის ვერც ერთი სამხრეთამერიკული გუნდი ვერ მოხვდა.

**ლაშა გოდუაძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| პაბლო (ესპანეთი) | 5 |
| დისა (მალი) | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინდაწინ ბედს დამორჩილებულნი და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულნი

**24 აპრილი, თბილისი, ვერის ბაღი — 28 ტური**

**აზოტი 120:75 კოლხა**

I ტაიმი 49:39
აზოტი: ა. ყლენტი (2), ჩაჩუა (22), ბაბიაშილი (18), ჯიმშელეიშვილი (13), ბერუაშვილი (17); გოგოლაძე (24), დანელიანი (8), კოჭლამაზაშვილი (16), ბარამიძე (2)
კოლხა: არველაძე (17), გ. ყლენტი (16), ქარუმიძე (27), ბერეკაშვილი (13), ძიძიგური; ფენდერავა (2)
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**24 აპრილი, თბილისი, ვერის ბაღი — 28 ტური**

**შევარდენი 64:94 დინამო**

I ტაიმი 25:41
შევარდენი: კაზანჯიანი (20), მოისწრაფიშვილი (6), გაგნიძე (3), კერძაია, ღვინეფაძე (15); მესხი (3), ოქრიაშვილი (11)
დინამო: მაისურაძე (40), ახვლედიანი, შანიძე (8), აბულაძე (4), კილაძე (10); ნინიაშვილი (8), ხოშტარია (10), წიკლაური (2), ყველაშვილი (2), სანიკიძე (3)
მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: როლანდ ხომერიკი

**24 აპრილი, თბილისი, ვერის ბაღი — 28 ტური**

**ვითა 89:57 ასკ**

I ტაიმი 33:38
ვითა: უსტიაშვილი (4), აბრამიძე (11), ბაქრაძე, ახალკაცი (6), კორძაძე (4); ვაშაკიძე (10), ტურაშვილი (6), ჭირაქაძე (4), ორმოცაძე (11), კოკოლიშვილი (20), ჩუბინიძე (13)
ასკ: ნოზაძე (11), ნათაძე (7), აკოლაშვილი (17), მუსერიძე (12), ნუცუბიძე (8); ალავიძე (2), ჭყონია

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐ, რას იფიქრებს მკითხველი, როცა მატჩების ანგარიშებს წაიკითხავს — პირველობის მოსურნეებმა ნამუსზე მთლად აიღეს ხელიო... აბა, რას უნდა მივაწეროთ ერთმანეთზე მეტად დაბეჩავებულთა ასე დიდი სხვაობით ძლევა, მაგრამ ყველაფერს დაწვრილებით მოგითხრობთ და ეგებ ლიდერებზე თქვენც მოგიბრუნდეთ გული.

„აზოტის", „დინამოს" და „ვითას" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და მოგებულთა ვინაობაც თავიდანვე ცხადი იყო. მხოლოდ საბოლოო ანგარიშს თუ ივარაუდებდა კაცი... ჰოდა, რა ინტრიგაზეა ლაპარაკი, როცა პირისპირ წინდაწინ ბედს დამორჩილებულნი და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულნი დგანან: პირველნი მხოლოდ ბრძოლის ჟინით აღვსილნი, მეორენი კი ერთი ამოსუნთქვით საქმის მომთავრებას ჩვეულნი. ასეთი მატჩებიდან რა სიმძაფრეს უნდა ელოდე, თვალსაზეიროც არაფერია, მაყურებლისთვის ერთთა ჯახირიც მოსაწყენი ხდება და მეორეთა ლაღობაც.

...„აზოტთან" მოჭიდავე ერთი მუჭა კოლხებზე ითქმის, თავს ზემოთ ძალა არააო. სოხუმელებს კადეტთა ნაკრებში წამყვანი კალათბურთელების მივლინება ძვირი დაუჯდათ. „კოლხას" მწვრთნელი მოედანზე მყოფი ხუთეულის იმედად იყო და მოთამაშეთა დროული შეცვლების გაკეთება უბრალო მიზეზის გამო არ შეეძლო — სათადარიგო სკამზე მხოლოდ ერთი შეგირდი ეგულებოდა. რუსთაველთაც აკლდათ ისეთნი, ვისი გვარების გაგონებაც კი მეტოქეს ხასიათს წაუხდენდა. ჯაფარიძის, გოგობერიშვილის და გაბისონიას არყოლის მიუხედავად, შარშანდელ ვიცე-ჩემპიონს რიხი არ მოკლებია. მათ პირველ ტაიმში კოლხები დაინდეს კიდეც და 10-ქულიანი სხვაობა აკმარეს. აი, მეორე ნახევარში კი „აზოტმა" დაქანცული სოხუმელები აღარ შეიცოდა და საბოლოოდ 45 ქულის სხვაობით დაჯაბნა.

არც „შევარდენს" დაჰყრია ნაკლები შავი დღე დინამოელთაგან. სწრაფი ტემპისა და ხისტი დაცვის მიმდევარმა „დინამომ" მატჩის სადავეები თავიდანვე ხელთ იგდო და მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვა. დასაწყისშივე ანგარიშში სხვაობა სწრაფად იზრდებოდა და „შევარდენი" მოწინააღმდეგეს ვერაფერს უპირისპირებდა. თამაში არც მის ლიდერს, კაზანჯიანს წაუვიდა, რომლის სამიანები მიზანს იშვიათად აღწევდა. სამაგიეროდ მის მეურვე დინამოელ მაისურაძეს ყველაფერი გამოსდიოდა, ზუსტ სამქულიანებით (სულ 9) თუ ინდივიდუალური გარღვევებით აწიოკებდა მომხდურთა დაცვას... მისმა თანაგუნდელებმაც ივარგეს და მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე „შევარდენმა" წინააღმდეგობა შეწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ვერც ასკ გადაურჩა დიდი სხვაობით დამარცხებას, ძვირი მასზე ნაკლებად გვეთქმის. არმიელები მონდომებისა და შეუპოვრობის ხარჯზე მეორე ტაიმის შუაწელამდე წინ იყვნენ, მაგრამ „ვითამ" თავისი მაინც გაიტანა. არადა მანამდე მცირედი იმედი კიაფობდა, ეგებ საოცრება მოხდესო, მაგრამ... „ვითამ" ბოლოადგილოსნებთან ჩამორჩენა იუკადრისა. მოედანზე ორი ცენტრის — ახალკაცის და კორძაძის ერთდროულად გამოჩენით, ფარზე უპირატესობა ვითელთა მხარეს გადავიდა. დაცვაში ზონური ტაქტიკით განლაგებულებმა საქმეც გამოაკეთეს და ფრთები გაშალეს. მეტოქის მძლავრობის შემხედვარე ასკ-ს ნირი წაუხდა, აქამდე ნალოლიავები მცირედი უპირატესობა ხელიდან ეცლებოდა და აღელვება დაეტყო. უზუსტობასაც უმატეს და დაცვაშიც ვეღარ უმკლავდებოდნენ ტანმაღალ ვითელებს. მათაც კონტრიერიშებითა თუ დალაგებული შეტევების წყალობით 20-ქულიან უპირატესობას — 75:55 მიაღწიეს. „ვითას" მესვეურებმაც ყველაფერი დამთავრებულად ჩათვალეს და ნაცად გვარდიას ახალბედები შეუამხანაგეს. მათაც მწვრთნელებისა და უფროსი კოლეგების იმედები გაამართლეს.

**მამუკა ტუღუში**

# ლიდერებს ბევრი გაუბედეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერი დააკლეს

**25 აპრილი, თბილისი, ვერის ბაღი — 29 ტური**

**ვითა 80:72 შევარდენი**

I ტაიმი 33:43
ვითა: უსტიაშვილი (7), ბაქრაძე, კოკოლიშვილი (16), ორმოცაძე (16), კორძაძე (6); ჭირაქაძე (24), ახალკაცი (11), ვაშაკიძე
შევარდენი: კაზანჯიანი (36), გაგნიძე (18), მოისწრაფიშვილი (9), ოქრიაშვილი, ღვინეფაძე (5); მესხი (4), კერძაია
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**25 აპრილი, თბილისი, ვერის ბაღი — 29 ტური**

**ასკ 69:82 დინამო**

I ტაიმი 34:49
ასკ: ნათაძე (8), აკოლაშვილი (10), ნოზაძე (12), მუსერიძე (12), ნუცუბიძე (17); სპარსიაშვილი (5), ალავიძე (2), ჭყონია (3)
დინამო: მაისურაძე (14), ხოშტარია (23), წიკლაური (11), ყველაშვილი (8), ნინიაშვილი (8); შანიძე (4), სანიკიძე
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**25 აპრილი, თბილისი, ვერის ბაღი — 29 ტური**

**აზოტი 82:76 მაკაბი**

I ტაიმი 39:40
აზოტი: ყლენტი (10), ჩაჩუა (7), ჯიმშელეიშვილი (7), ბაბიაშვილი (12), ჯაფარიძე (20); ბერუაშვილი (19), გოგოლაძე (4), კოჭლამაზაშვილი (3)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (13), ი. ბერიშვილი (11), მჭედლიშვილი (12), ლასარეიშვილი (16), ფერიაშვილი (20); ნაცვლიშვილი (2), ხუხაშვილი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ჩემპიონატის ლიდერები აუტსაიდერებს ხვდებოდნენ. თითქოსდა გაუთვალისწინებელი არაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ „ვითამ" და „აზოტმა" ბოლო ორ-სამ წუთში გადაწყვიტეს მატჩის ბედი — ის კი არა, კინაღამ დაისაჯნენ კიდეც. მათმა მეტოქეებმა კი, შესაბამისად, „შევარდენმა" და „მაკაბიმ". ჩემპიონობაზე პრეტენზიის მქონე გუნდებს ორი ტაიმის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა გაუმართეს და ცოტა გამოცდილებაც რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, იქნებ სიურპრიზიც შემოეთავაზებინათ.

გამარჯვებასთან უფრო ახლოს „შევარდენი" იყო. ვითელები მოედანზე თავდაჯერებულნი, იოლ მოგებაში დარწმუნებულნი გავიდნენ. მეტოქეც არ დააფასეს, გასეირნება მოინდომეს და საფრთხეც დაემუქრათ — 4 წუთის განმავლობაში ბურთი ვერ ჩაუგდეს „სუსტ" მოწინააღმდეგეს და გია კაზანჯიანის სამქულიანის შემდეგ პირველივე წუთებიდან მდევრის როლში აღმოჩნდნენ. ამას შალვა გაგნიძის 2 ქულა მოჰყვა და 5:0.

მაყურებელს „ვითას" გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ თამაშის მსვლელობისას „შევარდენმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრძოლა ძალუძს, თუნდაც ექვსგზის ჩემპიონთან. მე-8 წუთზე აუტსაიდერი 21:9-ს იგებდა. „ვითა" გააქტიურდა, პრესინგს მიმართა, 3-წუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. ყველას ეგონა, იგი მეტოქეს გატეხდა და წინ გაიჭრებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. კაზანჯიანის შეჩერება შეუძლებელი იყო. მან პირველ ნახევარში 6 სამქულიანი ჩააგდო. გაგნიძესაც წაუვიდა სროლა და „ვითა" ისევ 12 ქულით აგებს. პირველი ნახევარი „შევარდენმა" 10 ქულით მოიგო.

მეორე ტაიმი საინტერესო გამოდგა. ვითელები მეტოქეს წამოეწივნენ, თუმცა დროებით, ახლა მოისწრაფიშვილმა ჩააგდო შორიდან. ჩემპიონთა რიგებში ახალბედა ჭირაქაძე გამოჩნდა, თამაშში კარგად ჩაერთო და საბოლოოდ თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი ქულაც მიითვალა.

„ვითამ" ტემპს უმატა და ნელნელა დაწინაურდა კიდეც. ცოტაც და „შევარდენი" დანებდებოდა, მაგრამ გაგნიძემ ზედიზედ 3 სამიანი მოათავსა კალათში და... მატჩის ბედი კვლავაც გაურკვეველია. კაზანჯიანის მეურვეობა დავით უსტიაშვილმა იტვირთა, თუმცა ბოლომდე მისი დაჭერა მაინც ვერ მოახერხა. შეიძლება ითქვას, გიამ ჩემპიონატის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

ხუთი ჯარიმით მოედანი დატოვა შევარდენელმა ვეტერანმა მალხაზ ღვინეფაძემ. „ვითამ" ფარქვეშ გაილაღა. ჭირაქაძემ და ორმოცაძემ თავიანთი გუნდი დააწინაურეს. საფინალო სასტვენამდე ოცდახუთი წამით ადრე „შევარდენი" სამ ქულას აგებს, ბურთსაც თავად ფლობს. თავდასხმაში უხეირო პასი და... ბოლო წამებზე ჩემპიონმა 8 ქულით გაიმარჯვა.

ასევე წარიმართა „აზოტი" — „მაკაბის" მატჩიც. რუსთაველები მოედანზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ. არ თამაშობდნენ რამაზ გოგობერიშვილი და ზაზა გაბისონია, თუმცა გრძელი სკამით ვერც „მაკაბი" დაიკვეხნის.

მაკაბელები მართლაც საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. ალექსანდრე ფერიაშვილმა და ძმებმა ბერიშვილებმა ყველაფერი გააკეთეს წარმატების მისაღწევად, საკუთარ ძალებში დარწმუნებული „აზოტი" კი აუღელვებლად მოქმედებდა.

პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით, მიმდინარეობდა, ერთი-ორი ქულით „მაკაბი" იგებდა. თითქმის ყველა შეტევას ძმები, ან ფერიაშვილი აგვირგვინებდნენ, თუმც გუნდისთვის გაწეულ ჯაფას ნურც ლასარეიშვილს დავუკარგავთ. სწორედ მისი და ფერიაშვილის წყვილი ეთამაშა ტოლ-სწორად ჯაფარიძისა და ბაბიაშვილის კარგად შეთამაშებულ დუეტს. რუსთაველებს რომ უკეთესად შეეძლოთ თამაში, ყველამ კარგად იცის, მაგრამ „მაკაბისთან" რაღაც არ გამოიყურებოდნენ ჩვეულად. „აზოტი" დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს, თუმცა ჩემპიონატის ლიდერმა პირველი ტაიმი მაინც ერთი ქულით წააგო.

მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესო გამოდგა. რუსთაველები ვერ ახერხებდნენ თამაშის იშტაზე მოსული ტყუპებისა და მათი თანაგუნდელების შეჩერებას. მეორე ტაიმის შუაგულში გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. „აზოტი" მიხეილ ბერუაშვილმა დააწინაურა, შემდეგ ყლენტმაც დაუმატა და თითქოს ყველაფერი დამთავრდა. „მაკაბიმ" საბოლოოდ გაათანაბრა ანგარიში. ამის მერე ალექსანდრე ფერიაშვილმა მეხუთე ჯარიმა მიიღო და გუნდის საქმეც უკან-უკან წავიდა. „მაკაბიმ" კი იბრძოლა, მაგრამ ძალა აღარ ეყო.

მესამე შეხვედრაში კი თბილისის „დინამომ" არმიის სპორტული კლუბის გუნდს არავითარი შანსი არ დაუტოვა. დინამოელებს ხომ პლეიოფში მოხვედრის დიდი შესაძლებლობა გააჩნიათ. არმიელები კი დღითიდღე უარესად გამოდიან. მათ პაექრობაში საკამათო არაფერი იყო. მოსეშვილის გუნდი თავიდანვე დაწინაურდა, კარგადაც ითამაშა და არმიელებიც უპრობლემოდ დაამარცხა.

**ზურაბ გონაშვილი**

**29 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 29 | 28 | 1 | 2616:2119 | 57 |
| ვითა (-1) | 29 | 22 | 7 | 2114:1840 | 50 |
| დინამო | 28 | 18 | 10 | 2206:2091 | 46 |
| თსუ | 27 | 17 | 10 | 2258:2092 | 44 |
| სტუ | 26 | 18 | 8 | 2114:1984 | 44 |
| სდასუ | 26 | 15 | 11 | 1954:1944 | 41 |
| მაკაბი | 28 | 8 | 20 | 2055:2242 | 36 |
| კოლხა | 27 | 6 | 21 | 1957:2340 | 33 |
| შევარდენი | 29 | 4 | 25 | 2024:2435 | 33 |
| ასკ | 29 | 3 | 26 | 1477:1688 | 32 |

რეგულარული ჩემპიონატი

# კლიპერსმა ვანკუვერი დაქირა

23 აპრილი

**ვანკუვერი 84:97 სიეტლი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22)
სიეტლი: პეიტონი (25), მაკლინი (25)

90-იანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, „სიეტლ სუპერსონიქსს" რომ არც თუ საუკეთესო პერიოდი უდგას, არახალია. ლამის მთელ სეზონში უხეიროდ მოთამაშე სიეტლს სეზონის ბოლოს უხდება საქმის გამოსწორება. ვოვა სტეფანიას გუნდმა რამდენიმე მოსაგები თამაში დათმო, მათ შორის მის იმდღევანდელ მეტოქე ვანკუვერთან ორიოდე კვირის წინ. არადა, ამ უქმეების შემდეგ ვანკუვერი თვით კლიპერსს ჩამორჩა და ასოციაციაში ბოლო გუნდის დონემდე ჩამოქვეითდა. ამჯერად სიეტლს თავისი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია, იოლად სძლია უსუსურ მასპინძელს, რომელიც ამაოდ ცდილობდა მეტოქის კლანჭებიდან თავის დახსნას. სიეტლს თავისი ძონძროხა თავდამსხმელი ვინ ბეიკერი აკლდა, თუმცა „სქელ ზარმაცს" ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა დონ მაკლინის სახით. ეს კაცი ოთხი-ხუთი წლის წინ ურიგოდ არ ბურთაობდა, მაგრამ მერე დაიკარგა და რამდენიმე გუნდში სათადარიგოთა სკამს ავსებდა. მაკლინისგან არც სიეტლში ელოდნენ რაიმე ღირებულს, მაგრამ მწვრთნელ პოლ ვესტფოლს ბეიკერის და სტეფანიას არყოფნაში მეტი რალა დარჩენოდა და შეუშვა მოედანზე. მანაც სიყმაწვილე გაიხსენა და ბოლო რამდენიმე თამაში სასტარტო ხუთეულში არცთუ ურიგოდ ითამაშა. კანადური გუნდის კალათს უპირველესი მარბევარიც, ლიდერ გერი პეიტონთან ერთად, სწორედ დონ მაკლინი იყო. ამ შეხვედრამდე მას მატჩში საშუალოდ 7,4 ქულა მოჰქონდა თავის გუნდისთვის, ვანკვერს კი მთელი 25 ქულა ჩაუგდო.

**დენვერი 96:84 გოლდენ სტეიტი**

დენვერი: მაკდაიესი (25), ბილაფსი (20)

გოლდენსტეიტელი „მეომრები" ერთი ხანობა საკმაოდ წარმატებულად ჩაებნენ საპლეიოფო ციებ-ცხელებაში და რამდენიმე სერიოზული თამაში მოიგეს, მაგრამ ბოლომდე ასე სვლა ვეღარ შეძლეს და დენვერთან წაგებით მათი იმედები საბოლოოდ დასამარდა.

**საკრამენტო 105:97 მინესოტა**

საკრამენტო: ვილიამსი (27), ბერი (20)
მინესოტა: გარნეტი (29)

ორიოდე კვირის წინ დასავლეთში მეექვსე ადგილზე მყოფი მინესოტა ძნელად თუ იფიქრებდა, რომ პლეი ოფში მისი ზედიზედ მესამედ მოხვედრა საეჭვო გახდებოდა. ამ მატჩში მინესოტა უშუალო კონკურენტ საკრამენტოსთან შერცხვა. არადა, მატჩში კარგა ხანს წინ იყო. მინეაპოლისელებს მასპინძელთა სათადარიგო ჯონ ბერიმ მოუღო ბოლო, რომელმაც უკანასკნელ ორ წუთში უმნიშვნელოვანესი სამქულიანი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ექვსი საჯარიმო ჩაუგდო.

**იუტა 96:85 პორტლენდი**

იუტა: მელოუნი (25)
პორტლენდი: ჯეკსონი (13)

თავიანთ დივიზიონების უპირობო ლიდერებს — იუტასა და პორტლენდს დიდი პაექრობა გაუმართავთ დასავლეთში პირველობისათვის, რაც მათ პლეი ოფში მოედნის უპირატესობას მისცემს. იუტას შინ მედგრად მებრძოლი გუნდის სახელი აქვს დაგდებული და ეს პირველობა ძალიან წაადგება. სტუმრად მოთამაშე პორტლენდმა მძვინვარე და აგრესიულ მასპინძლებს ახლაც ვერაფერი მოუხერხა.

**კლიპერსი 106:101 ჰიუსტონი**
**(ძირითადი დრო 89:89)**

კლიპერსი: ტეილორი (29)
ჰიუსტონი: ბარკლი (24), პიპენი (23 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

კლიპერსისგან პატარა სასწაულებს ნაჩვევი ვართ, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო. ჰიუსტონი ბოლო მეოთხედში მთელი 19 ქულით იგებდა, მაგრამ აქ ტეილორმა ისე გაიგიჟა თავი, მასპინძლებს ვერც ბარკლიმ, ვერც სამმაგი დუბლის გამკეთებელმა პიპენმა და ვერც სხვებმა ვერ უშველეს. 19 ქულიდან არაფერი დარჩა და ოვერტაიმში ბედი ისევ ტეილორმა გადაწყვიტა — მრისხანე მეტოქეს 9 ქულა ჩაუგდო.



იუტა — სიეტლი. უტევს იუტელი კარლ მელოუნი

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

**ჩიკაგო 71:100 ბოსტონი**

ვაშინგტონი 78:89 ატლანტა
ატლანტა: სმიტი (30)

**მილუოკი 79:75 კლივლენდი**

მილუოკი: რობინსონი (26 ქულა, 17 მოხსნა)

**ორლანდო 88:95 ტორონტო**

ტორონტო: კარტერი (24)

ერთ დროს კონფერენციის ლიდერ ორლანდოს ძლევით ტორონტომ პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა.

**ნიუ იორკი 110:105 შარლოტი**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (30), იუინგი (26)
შარლოტი: კემპბელი (17)

შარლოტმა პირველად წააგო ბოლო ათ მატჩში.

24 აპრილი

**გოლდენ სტეიტი 93:74 დენვერი**

გოლდენ სტეიტი: მარშალი (18)
დენვერი: ფორტსონი (16)

**კლიპერსი 105:96 ვანკუვერი**

კლიპერსი: ტეილორი (25)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (27)

ვანკუვერმა ორ დღეში მეორედ წააგო, კლიპერსმა პირიქით, მეორედ მოიგო და ამით, ძლეული ვანკუვერი მის — ლიგის ბოლო გუნდის, ადგილზე ჩააქვეითა.

**სან ანტონიო 108:81 ლეიკერსი**

სან ანტონიო: დანკანი (21 ქულა, 13 მოხსნა)
ლეიკერსი: ონილი (26 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო 105:102 დალასი**

საკრამენტო: დივაცი (28)
დალასი: ტრენტი (32)

**ინდიანა 87:69 ჩიკაგო**

ინდიანა: მილერი (20)

**შარლოტი 97:82 ნიუ ჯერსი**

შარლოტი: ვესლი (19)
ნიუ ჯერსი: მარბერი (30)

25 აპრილი

**იუტა 98:81 სიეტლი**

იუტა: მელოუნი (21)

სიეტლი 27 აპრილსაც ხვდება იუტას, ამჯერად შინ და, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, იმ მატჩისთვის შემოინახა ძალები, ლიგაში ამჟამად უძლიერეს გუნდს თავი არ შეაკლა. იუტაც, რომ მოხვდა, მეტოქე ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, დაწყნარდა და მატჩიც მშვიდად მიიყვანა ბოლომდე.

**პორტლენდი 100:84 მინესოტა**

მინესოტამ თითქოს ურიგოდ არ ჩაატარა სეზონი, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის მიწურულს ძალა აღარ ეყო და სეზონში პირველად ჩამოქვეითდა 50-პროცენტიან ზღვარს ქვემოთ, ანუ მოგება წაგებაზე ნაკლები აქვს.

**ფინიქსი 95:71 ჰიუსტონი**

ფინიქსი: კიდი (22 ქულა, 14 პასი, 10 პასი)

ფინიქსელმა ჯეისონ კიდმა სეზონის მეექვსე სამმაგი დუბლი გააკეთა, მისმა ფინიქსმა კი შავი დღე აყარა ჰიუსტონს. ამით მასპინძლები მყარად დამკვიდრდნენ დასავლეთში მეექვსე ადგილზე, სტუმარს კი მესამეზე გასვლის შანსი გაუუარესდა.

**ფილადელფია 103:86 ორლანდო**

ფილადელფია: აივერსონი (38)

**მაიამი 80:82 ნიუ იორკი**

მაიამი: მურნინგი (29)
ნიუ იორკი: ჯონსონი (23)

ნიუ იორკელმა კრის ჩაილდსმა სირენამდე 20 წამით ადრე გამარჯვების მომტანი ორი საჯარიმო ჩააგდო.

**ტორონტო 83:91 დეტროიტი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (24)

**ბოსტონი 113:84 ვაშინგტონი**

ბოსტონი: ბაროსი (20)

**ატლანტა 85:70 მილუოკი**

ატლანტა: მუტომბო (18 ქულა, 18 მოხსნა, 8 დაფარება)

**ნიუ ჯერსი 120:98 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: მარბერი (26 ქულა, 20 პასი)
ინდიანა: მილერი (34)

ინდიანელმა რეჯი მილერმა 34 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა, მაგრამ ვერც ის და ვერც მისი გუნდელები ვერ შეედრებოდნენ ნიუჯერსელ სტივენ მარბერის, რომელმაც თავის სამწლიან კარიერაში ყველაზე მეტ, 20 პასს მოუყარა თავი.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები** | | | |
| 28.04 | ლატვია — ალბანეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | საქართველო — ნორვეგია ანგარიში — 5,0 | | | |
| | ავსტრია — სან მარინო | 1,02 | 9,0 | 20,0 |
| | 0:4 | 1,7 | 5,0 | 2,3 |
| | **ამხანაგური მატჩები** | | | |
| 27.04 | ჩრდ. ირლანდია — კანადა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 28.04 | ირლანდია — შვედეთი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | გერმანია — შოტლანდია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | რუმინეთი — ბელგია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | სლოვენია — ფინეთი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ხორვატია — იტალია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | უნგრეთი — ინგლისი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ჰოლანდია — მაროკო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | დანია — ს. აფრიკა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | პოლონეთი — ჩეხეთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | საბერძნეთი — შვეიცარია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | **საფრანგეთის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი** | | | |
| 28.04 | სოშო — ლე ავრი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | **საფრანგეთის თასის ნახევარფინალი** | | | |
| 28.04 | ნანტი — ნიმი (2) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | **ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი** | | | |
| 27.04 | ქრიუ — ბრისტოლი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | პორტ ვეილი — უოტფორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | **პორტუგალიის თასის მეშვიდე წრე** | | | |
| 28.04 | კამპომაიორენსე — მარიტიმუ | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| | სეტუბალი — ტორენსე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | **შვედეთის ჩემპიონატი** | | | |
| 28.04 | აიკ — ჰელსინგბორგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **ჰოკეი. NHL** | | | |
| | გაეცნობით ადგილზე | | | |
| | **კალათბურთი. NBA** | | | |
| 27.04 | ბოსტონი — დეტროიტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ფილადელფია — კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | ტორონტო — შარლოტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | ნიუ ჯერსი — მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | ინდიანა — ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | დალასი — ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | საკრამენტო — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | სიეტლი — იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 28.04 | ორლანდო — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ატლანტა — ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | დეტროიტი — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | მინესოტა — ფინიქსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | მილუოკი — ტორონტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | პორტლენდი — სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 29.04 | ვაშინგტონი — კლივლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| | ნიუ იორკი — ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | მაიამი — ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ინდიანა — შარლოტი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | ჰიუსტონი — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | დენვერი — ფინიქსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | იუტა — გოლდენ სტეიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | ვანკუვერი — სან ანტონიო | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| | ლეიკერსი — პორტლენდი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | საკრამენტო — კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

დღეიდან „კროკო" თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის გარდა თელავშიც იმუშავებს

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ჩვენი რაგბი ცოცხალია, ცოცხალი!

## ოღონდ სასწრაფოდ მისახედია, თორემ ვაითუ ველარ გამოიხედოს

თბილისი. 24 აპრილი.

**თსუ 3(3):40(14) ლოკომოტივი 1**

თსუ: ჯანუყაშვილი, კუთარაშვილი, წიკლაური (ალიბეგაშვილი), კობიაშვილი, რატიანიძე (კოკაია), მჭედლიშვილი, ელოშვილი (ავსაჯანიშვილი), ქირიკაშვილი, ჭუმბურიძე (მაისაშვილი), ბარამიძე, ჯაში, კიზირია, ბოლღაშვილი, სვანიძე (თავაძე), ჯავრიშვილი
1 ს — ბარამიძე
ლოკომოტივი 1: აბრამიშვილი, ჯაველიძე, მაჭუტაძე, მოგელაძე, ცხომელიძე, კობახიძე, სუჯაშვილი, კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ჩაჩუა (ჩხენკელი), ალანია, ანდღულაძე, ძნელაძე
6 ლ — ბუგიანიშვილი (3), მოგელაძე, კვინიხიძე, ცხომელიძე, 5 გ — კვინიხიძე
მსაჯი ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე გ. ჭუმბურიძე

ვარკეთილში მისული კაცი ვერაფრით იფიქრებდა, რომ ეს ჩემპიონატის გახსნის მატჩი იყო. თუ რატომ, იოლი მისახვედრია — სილარიბეს რა ვუთხრათ: არც დროშა, არც ჰიმნი...

ფავორიტად წყვილში „ლოკომოტივი“ ითვლებოდა, თუმცა სპეციალისტებს სეზონის დაწყების წინ რამდენიმე მოთამაშით გაძლიერებული თსუ-ს იმედიც ჰქონდათ. როგორც შემდგომ გაირკვა, სულ ტყუილად. რკინიგზელები უკვე მე-4 წუთზე დაწინაურდნენ და თამაშის სადავეები მთელი შეხვედრის განმავლობაში არ გაუშვიათ ხელიდან. ანგარიში თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე, თუმც კი, ზოგიერთებისგან განსხვავებით, უნივერსიტეტელები შედარებით მოკრძალებული სხვაობით დამარცხდნენ. ისე კი, თუ გუნდის შემადგენლობას გადავხედავთ, ვფიქრობთ, მომდევნო ტურებში სტუდენტებმა უნდა გააუმჯობესონ თამაშის ხარისხი. ამის პოტენცია მათ ნამდვილად აქვთ.

თბილისი. 25 აპრილი.

**ლოკომოტივი 20(0):54(26) დათვები**

ლოკომოტივი 2: კვანტალიანი (ჯილური), გიუნაშვილი (ჯიბლაძე), კერესელიძე, ჟღენტი (გიორგაძე), მაღალთაძე (ჭელიძე), უდესიანი, სუჯაშვილი, ცხომელიძე, კოტრიკაძე (სუთიაშვილი), ხუნწარია, გუგავა, ჩხენკელი (პაკელიანი), ცხადაია, მხეიძე, ყაჯრიშვილი
დათვები: აშვეთია, გურეშიძე, ფირცხალავა (ნინიძე), სვანიძე, რეხვიაშვილი, გოგისვანიძე, ფხაკაძე, აბდალაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, ძოწენიძე, ე. ძაგნიძე, ქემხაძე (დავლაძე), ჩუბინიძე
8 ლ — ძოწენიძე (2), ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე, ქემხაძე (2), გურეშიძე, ნ. ძაგნიძე 7 გ — ე. ძაგნიძე (2), ნ. ძაგნიძე (5)
მსაჯი გ. აბაშიძე
მეთვალყურე გ. ჭუმბურიძე

შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი წლეულს კიდევ უფრო მოღონიერდა და ჩემპიონობაც მოინდომა. ამიტომაც თავიდანვე ნათელი იყო, რომ უმცროსი რკინიგზელები ვერ შეძლებდნენ ბათუმელებთან ტოლ-სწორად თამაშს. საკითხავი მხოლოდ ის იყო, როგორი სხვაობით მოიგებდნენ სტუმრები.

შეხვედრის საწყისი 15 წუთის განმავლობაში მასპინძლები თითქმის არ შეხებიან ბურთს, ბათუმელებმა კი დროის ამ მონაკვეთში 12 ქულა მოიპოვეს, თუმცა მათი ორივე ლელო მასპინძელთა მცველების „დამსახურება“ უფრო იყო. ამით სტუმართა თავგამოდებას სულაც არ ვაკნინებთ. უბრალოდ, რკინიგზელთა გამოუცდელობამ ითამაშა გარკვეული როლი. რაც შეეხებათ ბათუმელებს, მათ უდავოდ კარგი გუნდი ჰყავთ და ეს ჩემპიონატში არაერთხელ დამტკიცდება. სტუმართაგან განსაკუთრებით ძმები ძაგნიძეები აქტიურობდნენ. უფროსმა, ნუგზარმა, რომელმაც ერთი ხანობა თავიც დაანება რაგბის, გუნდს 15 ქულა მოუტანა.



პირველმა ლოკომოტივმა უნივერსიტეტს ჩაუქროლა

რუსთავი. 24 აპრილი

**რუსთავი 0(0):76(29) ყოჩები**

რუსთავი: ავალიშვილი, კვიჟინაძე, სამხარაძე, ნარსია, ლობჟანიძე, ნადირაშვილი, გიგაური, ქერტყოევი, გელაშვილი, გოგიშვილი, ცაგურია, ღირსიაშვილი, მეფარიშვილი, ნაირაშვილი, მინდორაშვილი
ყოჩები: კიკუაშვილი, ჭავჭავაძე, ფირაშვილი, სულთანიშვილი, ხურცილავა (მხეიძე), სოფრომაძე, ტყეშელაშვილი, კობახიძე, ხელაძე, ლიპარტელიანი, პეტრიაშვილი, საკანდელიძე, ხამაშურიძე, ხეხელაშვილი, ტეფნაძე
12 ლ — ხამაშურიძე (3), ხეხელაშვილი (3), საკანდელიძე (2), პეტრიაშვილი, სოფრომაძე, ხელაძე, მხეიძე 8 გ — ტყეშელაშვილი (7), ხამაშურიძე
მსაჯი ლ. მგელაძე
მეთვალყურე გ. აბაშიძე

რუსთავს რაგბი დაუბრუნდა, უფრო სწორად, სახელცვლილი რუსთავული გუნდი დაუბრუნდა ქართული სარაგბო მარაქას. თუმცა დაბრუნებაცაა და დაბრუნებაც... და მაინც, არის ამაში რაღაც იმედის მარცვალი. ვინ იცის, იქნებ რუსთაველთა მონდომებამ ეს მარცვალი გააღვივოს კიდეც. ვინ იცის...

ისე, რა გვეთქმის. შაბათს „რუსთავმა“ („აზოტი“ დროებამ გაიყოლა) ჩემპიონ „ყოჩებს“ უმასპინძლა. 0:76 — თავისთავად ბევრზე მეტყველებს. მასპინძლები არნახულად შერცხვნენ, თუმც ამისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს. „ყოჩებს“ კვლავაც შერჩენიათ შარშანდელი ბრწყინვალება და ახლაც ჩემპიონურად გაისარჯნენ. ერთადერთ „ნაკლად“ [illegible] დაც ნათელი გახლდათ.

იყო დრო, ამ ორი მეტოქის შეხვედრას დიდი ინტრიგა ახლდა. ის დრო წავიდა და რუსთაველთა საჩემპიონო ამბიციებს გუნდიც მიაყოლა. ახლა აჩრდილიღაა იმ ძველი შემადგენლობისა, რომლისგანაც რუსთაველებს მხოლოდ ოთხი კაცი შერჩენიათ — მამუკა მინდორაშვილი, თემურ ქერდიყაშვილი, შალვა გოგიშვილი და რამაზ ლობჟანიძე. გუნდი ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და, ბუნებრივია, ასეთ დროს განსაკუთრებულ შედეგზე ლაპარაკიც ზედმეტია.

რუსთავული რაგბის წარმატებები გამოცდილ მწვრთნელ საშა ლობჟანიძეს უკავშირდება. დღეს კი ეს კაცი რატომღაც ჩამოსცილდა რაგბის. ახალ მწვრთნელის რამაზ სანებლიძის მონდომება კი თავისთავად დასაფასებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდული, გამოუცდელი გუნდის თავკაცობა ხომ მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, თუმცა რუსთავში იმედი არ გადაუწურავთ, ისე ვიზამთ, რომ ჩვენი გუნდი კვლავაც ანგარიშგასაწევ ძალად იქცესო, ფიქრობენ. ღმერთმა ინებოს, დღეს კი 0:76 — დიდი ვერაფერი.

თბილისი. 25 აპრილი

**ასკ 34(20):17(0) აია**

ასკ: შენგელია, ლიქოკელი, მაისურაძე, უჩავა, მათიაშვილი, ჯაველიძე (ქავთარაძე), მინაშვილი (სვანიძე), გაფრინდაშვილი, აბუსერიძე, აბრამიშვილი, თოდუა, პავლიაშვილი (კაპანაძე), საკანდელიძე, კიკნაძე, ანთაძე
6 ლ — აბუსერიძე (2), გაფრინდაშვილი, მინაშვილი, საკანდელიძე, კიკნაძე 2 გ — გაფრინდაშვილი, მინაშვილი
აია: ბუხაიძე, ბალანჩივაძე, მარგველაშვილი, კოსტავა, სანებლიძე, ჭელიძე, კიკვიძე, ცნობილაძე (მალლაკელიძე), ჩუბინიძე, ზიბზიბაძე, ჩხაბერიძე, ჩორგოლიანი, აშვეთია, გაბრიჩიძე, შვანგირაძე
2 ლ — ზიბზიბაძე, 2 გ — შვანგირაძე, აშვეთია 1 ს — აშვეთია
მსაჯი: დ. კილასონია
მეთვალყურე: ა. ღიბრაძე

რამდენიმე წამყვანი მობურთალის სხვა გუნდში გადასვლის მიუხედავად, არმიელებს არ გასჭირვებიათ ქუთაისელთა ძლევა. პირველი ტაიმის მშრალად, 0:20 წაგების შემდეგ სტუმრებმა იკადრეს და ათამაშდნენ. მართალია, მათ მეორე ნახევარი 17:14 მოიგეს, მაგრამ მატჩის სასურველი შედეგით დასასრულებლად ამან არ იკმარა. ისე კი, ქუთაისელებმა სპეციალისტებზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს (განსაკუთრებით — შეხვედრის მეორე ნახევარში). მათი თქმით, მომავალში ამ გუნდისგან ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდეთ.

**რაული ჭეველიძე**
**პაატა კვანტალიანი**
**პაატა თოთაძე**



ყოჩების შეჩერება რუსთაველებისთვის უძნელესი საქმე გამოდგა



ლოკომოტივი 1 — თსუ: ლოკომოტიველთა ექვსიდან ერთ-ერთი ლელო

# მარსელო ლაზარეთელი

**მონტე კარლოს ღია პირველობა. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — კარლოს მოია (1, ესპანეთი) 6:7 (5:7), 6:3, 6:0; **მარსელო რიოსი** (9, ჩილე) — მარკ ფილიპუსისი (5, ავსტრალია) 6:2, 6:7 (2:7), 6:4; **ფელიქს მანტია** (15, ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (10, ესპანეთი) 6:4, 6:7 (2:7), 7:6 (7:4); **გუსტავო კუერტენი** (13, ბრაზილია) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:3, 6:3.

ნახევარფინალი: **კუერტენი** — მანტია 3:6, 6:3, 6:4; **რიოსი** — გოლმარი 6:4, 3:6, 6:2

ფინალი: **კუერტენი** — რიოსი 6:4, 2:1 — ტრავმა

სათიხნარო მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირებს რა ხანია, უბედობა დასჩემდა — ფინალების, რიხით ვინ ამბობს, უბრალოდ დასრულებაც კი ამ ყველაზე თვალსასეირო საფარზე ორგანიზატორებს სანატრელი გაუხდათ.

პირველი ნუსხაში ჰამბურგის პირველობა იყო, სადაც შარშან ალექს კორეტხამ მუხლი დაიზიანა და გადამწყვეტი მატჩის მეორე სეტში თანამემამულე ალბერტ კოსტას დანებდა. გამარჯვება კოსტას არ შეერგო: მომდევნო კვირაში რომის ტურნირის ნახევარფინალში მან კი იმარჯვა, მაგრამ თან კოჭიც გადაიტრიალა და ჩემპიონობა მარსელო რიოსს ჩოგნის მოუქნევლად ერგო.

ოფლის დაუღვრელად ჩაჯიბული მესამედი მილიონი ვის შერჩენია (ჩვენი სვებედნიერი ქვეყნის გამოკლებით), რიოსს რომ შერჩენოდა — კოსტას არ იყოს; ნახევარფინალში მიღებული ტრავმა მონტე კარლოში მისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა.

„მარსელომ წუხელ გოლმართან შეხვედრაში ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა. იმედი გვქონდა, რომ დღეს თავს უკეთ იგრძნობდა, მაგრამ მოწოდების დროს ისევ აწუხებდა ტკივილი" — ბრძანა დიაგნოზის დამსმელმა დასტაქარმა პატრიკ კუდერმა და თან დაუმატა, რიოსი ორი-სამი კვირა მაინც ვერ შეძლებს თამაშსო.

კიკინიანი ჩილელი ფინალში თავისას მაინც ეცადა და დაახლოებით ერთი საათის მანძილზე როლან გაროსის 1997 წლის ჩემპიონ კუერტენს



მარსელო რიოსი



გუსტავო კუერტენი

გვარიანი წინააღმდეგობაც გაუწია: მოძრაობაში შეფერხების ანაზღაურებას იგი დარტყმების სიძლიერით, ბადესთან ხშირი გასვლით და გათამაშებების შემოკლებით ცდილობდა და 4:4-მდე, სანამ პირველად დაკარგავდა მოწოდებას, ახერხებდა კიდეც.

მაგრამ მეორე სეტის დასაწყისში კუერტენის უპირატესობა უკვე აშკარა შეიქნა და თამაშზე დასასწრებად გვარიანი რაოდენობის მწვანეებდახარჯული პუბლიკის სტვენის მიუხედავად, რიოსმაც მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა: „როცა ხუთი სეტის თამაში გიხდება, ჯანმრთელი უნდა იყო. ვგრძნობდი, რომ პირველი ხელი რომც მომეგო, მატჩის ბოლომდე მაინც ვერ მივატანდი. აზრი არ ჰქონდა ასე გაგრძელებას — ხომ შეიძლებოდა, ისევ დავშავებულიყავი, რამდენიმე თვე ველარ მეთამაშა".

თუ რა არის ტრავმა, ჩილელს ნამდვილად არ ესწავლება: მას შემდეგ, რაც შარშან მარტში კლასიფიკაციაში პირველი გახდა და ერთი შეხედვით გარდაუვალ დიდებას მიუკაკუნა, რიოსმა ერთი თვე იდაყვის ტრავმით გამოტოვა, თითოც — ზურგის და მარჯვენა ფეხის, სეზონის საწყის კვარტალში კი ხერხემლის გაბზარულ მალას იშუშებდა. მორიგმა ინციდენტმა უილბლობაში უკონკურენტო ჩემპიონს როლან გაროსზე ასპარეზობას საეჭვო გაუხადა.

მარსელოსგან განსხვავებით, მისი თანაკონტინენტელი „გუგა" ამჟამად არც ბედს უჩივის და არც ჯანს — 22 წლის ბრაზილიელმა წლეულს თიხნარზე ერთადერთი მატჩი წააგო რიოსთან, ესპანელები დევისის თასზე ლამის მარტომ დაჯაბნა და საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ კარიერის ყველაზე დიდი ტიტულიც მოიგო: „ვფიქრობ, მაშინდელზე უკეთესად თუ არა, უარესად მაინც არ ვთამაშობ და ჩემი მეტოქეებიც უფრო უნდა მიფრთხოდნენ. ამჟამად არა მარტო უკანა ხაზზე, ბადესთანაც შემიძლია გარჯა".

ფლორიანაპოლისელი ჩოგბურთელი წმინდა სპორტული თვალსაზრისის გარდა, ამ ხნის მანძილზე სხვა მხრივაც შეიცვალა: პარიზული ტრიუმფის დროს გრძელი ქერა თმით და ჭყეტელა ყვითელი მაისურათი გუგა კორტზე ჰლაჟიდან შემთხვევით მოხვედრილს ჰგავდა, ამჟამად კი მისი იმიჯი მოკლე არმიული ვარცხნილობითა და მკაცრი ფერებით გამოირჩევა: „ვფიქრობ, ჩემმა შემმოსავმა ფირმამ (DIADORA) გაითვალისწინა, რომ ყველა ჩემს ჩაცმულობას აკრიტიკებდა და შეეცადა, რაღაც ჩვეულებრივი გამოენახა. ამიტომაც სეზონის დასაწყისში თეთრ მაისურას ვატარებდი, ახლა კი შავს ალაგ-ალაგ მწვანით".

დაჯილდოების ცერემონიალზე გუსტავოს მთავარი ჯილდო და 361 ათასი დოლარიანი ჩეკი ჩოგბურთის დიდმა მოყვარულმა, მონაკოს პრინცმა ალბერტმა გადასცა. გუგას 190 ათასით გამდიდრების მიუხედავად დაძმარებული სახით მდგომი რიოსიც არ დავიწყებია და მაყურებლების წინაშე სიტყვამუნწ ჩილელზე უკეთ მოიხადა ბოდიში: „ძალიან სამწუხაროა, რომ მატჩი ბოლომდე ვერ ითამაშა. მარსელო დიდი მებრძოლია და დარწმუნებული ვარ, გაგიჟებას იქნება, რომ ასე მოუხდა უარის თქმა".

სამხრეთამერიკელების გარდა, ამ სეზონის ნამდვილ აღმოჩენაზე, ჟერომ გოლმარზეც ღირს ერთი-ორი საქებარი სიტყვის თქმა. 25 წლის ფრანგი აქამდე რატომღაც არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ თებერვალში დუბაიში კარიერის პირველი ტიტული მოიგო, მონტე კარლოში კი უკვე საფრანგეთის პირველი ჩოგნობა ჩამოართვა სედრიკ პიოლინს.

გოლმარი ამჟამად ელიტის ნებისმიერი წარმომადგენლის ყველაზე ნაკლებ სასურველი მეტოქე რომაა, მონაკოშიც დაამტკიცა. მეოთხედფინალში ფრანგმა როლან გაროსის მამამძღვე ჩემპიონ კარლოს მოიას, ფეხის ტრავმის მიუხედავად, მატჩის ბოლოს ხედიზედ 9 გეიმი მოუგო და მშობლიური დიდი სლემის პირველობის წინ ფავორიტებში მოხსენების, სეზონის ბოლოსთვის კი საუკეთესოთა ათეულში აღზევების პრეტენზიაც განაცხადა.

**ორლანდო. აშშ. „სათიხნარო ჩემპიონატი". მწვანე თიხნარი. საპრიზო 300 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ჯიმ კურიე (5,აშშ) 6:3,6:7 (3:7), 6:4; **კრისტიან რუუდი** (7, ნორვეგია) — ერნან გუმი (არგენტინა) 7:6 (12:10), 6:4; **მაგნუს ნორმანი** (8, შვედეთი) — გაბრიელ ტრიფუ (რუმინეთი) 7:5, 6:2; **გილერმო კანასი** (არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:4)

ნახევარფინალი: **ნორმანი** — მირნი 6:2,6:1; **კანასი** — რუუდი 5:2-ტრავმა.

ფინალი: **ნორმანი** — კანასი 6:0, 6:3

22 წლის მაგნუს ნორმანი 1997-ში როლან გაროსის მეოთხედფინალისტობის შემდეგ შვედებმა მათ ვილანდერის მემკვიდრედ შერაცხეს, მაგრამ რამდენიმე თვეში სკანდინაველს გულის დაავადება აღმოაჩნდა, რასაც მალე რთული ოპერაცია მოჰყვა და დიდი იმედებიც წარსულს ჩაბარდა.

თუმცა მთლად ხელწამოსაკრავ მეტოქედ, განსაკუთრებით კი საყვარელ თიხნარზე, ნორმანი არც ამჟამად ითვლება. რაკილა ყველა ხეირიანი ჩოგბურთელი მონტე კარლოში იყო გაკრეფილი, შვედმა დარჩენილები ორლანდოში ისე დაიბრიყვა, სეტიც არ წაუგია და კარიერაში მესამე ტიტული, თუმცაღა ზემოხსენებულ კუერტენზე თითქმის ათჯერ ნაკლები თანხა, 37 500 დოლარი მიითვალა.

**ქაირო. ეგვიპტე. დრიმლენდ კლასიკი. თიხნარი. საპრიზო 180 ათასი $**

ნახევარფინალი: **არანჩა სანჩესვიკარიო** (1, ესპანეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 7:5, 6:0; **ირინა სპირლეა** (5, რუმინეთი) — მორინ დრეიქი (კანადა) 6:3, 6:4

ფინალი: **სანჩეს-ვიკარიო** — სპირლეა 6:1, 6:0

**ავთანდილ სვანიძე**

ჰოკეი

# სამმა უკვე გაასამა

*უქმეებზე გამართულმა შეხვედრებმა პლეი ოფის პირველ რაუნდში ბევრი რამ გადაწყვიტა — 8 წყვილიდან სამში ერთი მეტოქეთაგანი 3:0 დაწინაურდა. თუ დეტროიტისა და დალასის უპირატესობა მოსალოდნელი იყო, ბუფალოს ტოავასთან წარმატებას ცოტა თუ ელოდა. პიტსბურგისა და ნიუ ჯერსის ორთაბრძოლაში კი მოვლენები მართლაც რომ სენსაციურად ვითარდება. პირველ თამაშში მარცხის შემდეგ პიტსბურგს იარომირ იაგრიც გამოაკლდა, მან ტრავმა მიიღო, მაგრამ „პინგვინებმა" ორი მატჩი მოიგეს და სერიაში დაწინაურდნენ.*

## აღმოსავლეთი

სერიის ანგარიში

**ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 2:1**

24 აპრილი

**ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 1:4**

0:1 0:2 1:1

0:1 მოროზოვი 7'09 (1); 0:2 ანდრუსაკი 23'19 (1); 0:3 სტრაკა 32'55 (1); 0:4 კოვალიოვი 41'41 (1); 1:4 ანდრეიჩუკი 51'41 (1)

25 აპრილი

**პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 4:2**

1:1 0:1 3:0

1:0 სტრაკა 5'56 (2); 1:1 ბრილინი 12'51 (1); 1:2 არნოტი 35'43 (1); 2:2 სტრაკა 40'13 (3); 3:2 კოვალიოვი 40'40 (2); 4:2 სტრაკა 59'43 (4)

თურმე პიტსბურგელებს საჭიროების შემთხვევაში დიდი მობილიზება ძალუძთ. მათ იარომირ იაგრი აკლდათ, მაგრამ გუნდს ახალი ლიდერი გამოუჩნდა, მისი თანამემამულე მარტინ სტრაკა. მან ორ თამაშში ოთხი შაიბა შეაგდო, თანაც მეორეში ჰეთ თრიქი გააზერხა, თან ვისთან, მარტინ ბროდოსთან. სერიის მესამე მატჩში სწორედ სტრაკას და კოვალიოვის მესამე პერიოდის 27 წამში გატანილმა გოლმა გატეხა „ეშმაკები".

23 აპრილი

**ოტავა — ბუფალო 0:3**

**ოტავა — ბუფალო 2:3**

0:1 2:0 0:1 0:0 1:0

0:1 ჟიუნო 0'58 (1); 1:1 მაკიჩერნი 22'53 (1); 2:1 ალფრედსონი 32'04 (1); 2:2 შატანი 46'43 (1); 2:3 შატანი 90'35 (2)

25 აპრილი

**ბუფალო — ოტავა 3:0**

1:0 2:0 0:0

1:0 უორდი 4'06 (1); 2:0 ჰოლცინგერი 27'47 (1); 3:0 ჰოლცინგერი 32'33 (2)

ოტავამ წინასწარ კარგად იცოდა, რომ ბუფალოსთან სერიაში დომინიკ ჰაშეკის პრობლემა ექნებოდა, მაგრამ „დომინატორს" მაინც ვერაფერი მოუხერხა. მოწინააღმდეგეთა მეორე და, ალბათ, გადამწვეტ თამაშში ჩეხმა 45 დარტყმა მოიგერია და მეტოქეები ისე გააოგნა, რომ კვირას ბუფალოში „სენატორებმა" უსუსურად ითამაშეს და დომინიკს კარიერაში ერთ-ერთი უიოლესი შათაუტი გააზერხებინეს.

**კაროლინა — ბოსტონი 1:1**

24 აპრილი.

**კაროლინა — ბოსტონი 3:2**

0:0 1:1 1:1 1:0

0:1 სამსონოვი 22'56 (1); 1:1 შეპარდი 28'04 (1); 1:2 ჰაინცე 48'32 (1); 2:2 კრონი 54'28 (1); 3:2 შეპარდი 77'05 (2)

მთელი 88 წუთი კაროლინა ვერაფრით მიუდგა ბოსტონელი ბაირონ დაფოს კარს. მასპინძელთა ფორვარდი რეი შეპარდიც რას იფიქრებდა, რომ მისი საშუალო დისტანციიდან დარტყმული ასეთი მოულოდნელი შეიქნებოდა მეკარისთვის და ეს გოლი სრულიად შეატრიალებდა მატჩის ბედს. ფრთაშესხმულმა „ქარიშხლებმა" ძირითად დროში ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ ილბლიანმა შეპარდმა ოვერტაიმშიც იმარჯვა და კლუბს ისტორიაში პირველი საპლეიოფო გამარჯვება მოუტანა.

**ტორონტო — ფილადელფია 1:1**

24 აპრილი

**ტორონტო — ფილადელფია 2:1**

0:1 0:0 2:0

0:1 ჯოუნსი 11'09 (1); 1:1 ტომასი 58'01 (1); 2:1 სუნდინი 59'07 (1)

ფილადელფიის მეკარე ჯონ ვანბისბრუკმა ტორონტო თითქმის ორი სრული მატჩის (118 წუთი) განმავლობაში აწამა, იმდენად უშეცდომოდ მოქმედებდა, საბოლოოდ კი სტივ ტომასის სუსტ დარტყმაზე ვერ მოასწრო რეაგირება და, როგორც შემდეგ გაირკვა, ამით ფილადელფიელთა წარუმატებლობას დაუდო სათავე — სულ რაღაც ერთ წუთში მატს სუნდინის მძლავრმა დარტყმამ მასპინძლებს თითქმის წაგებული თამაში მოაგებინა.

## დასავლეთი

**დალასი — ედმონტონი 3:0**

23 აპრილი

**დალასი — ედმონტონი 3:2**

1:0 0:0 2:2

1:0 კარბონო 2'34 (2); 1:1 გრირი 48'32 (1); 2:1 ლეჰტინენი 50'20 (2); 3:1 ლანგებრუნერი 54'22 (1); 3:2 უეიტი 56'49 (1)

25 აპრილი

**ედმონტონი — დალასი 2:3**

1:0 0:0 1:3

1:0 სმიტი 15'25 (1); 2:0 სმიტი 40'24 (2); 2:1 კინი 46'15 (1); 2:2 მოდანო 50'20 (1); 2:3 ნუინდაიკი 52'32 (1)

ედმონტონი ერთ შეხვედრაში მაინც იმსახურებდა გამარჯვებას. „მენავთობეები" წარმატებასთან ახლოს სწორედ მესამე მატჩში იყვნენ, ბოლო მესამედის დასაწყისში 2:0 იგებდნენ, მაგრამ დალასმა იბრძოლა და გამარჯვება ხელიდან გამოსტაცა.

**დეტროიტი — ანაჰაიმი 3:0**

23 აპრილი

**დეტროიტი — ანაჰაიმი 5:1**

4:0 1:0 0:1

1:0 შენაჰანი 1'00 (1); 2:0 შენაჰანი 10'14 (2); 3:0 ჰოლმსტრიომი 13'43 (1); 4:0 ბრაუნი 19'17 (2); 5:0 აიზერმანი 29'42 (4); 5:1 სელიანე 49'11 (2)

25 აპრილი

**ანაჰაიმი — დეტროიტი 2:4**

2:1 0:2 0:1

0:1 ფიოდოროვი 1'43 (1); 1:1 მაკინისი 9'33 (2); 2:1 მარშალი 15'14 (1); 2:2 ჰოლმსტრიომი 21'51 (2); 2:3 აიზერმანი 24'24 (5); 2:4 კოზლოვი 41'51 (1)

ეს ერთადერთი წყვილია, რომელშიც ერთ-ერთი მეტოქის უპირატესობა აშკარაა. ანაჰაიმმა სამი მატჩიდან მხოლოდ ერთ პერიოდში (მესამე მატჩის პირველში) ითამაშა ისე, როგორც „წითელფრთიანებთან" პაექრობისთვის იყო საჭირო. მაგრამ სტუმრები თანდათან დამშვიდდნენ. ყველაფერი კი მაშინ გადაწყდა, როცა ანაჰაიმელმა სტიუ გრიმსონმა სრულიად უმიზეზოდ იუხეშა და იგი მოედნიდან გააძევეს — ჩემპიონი დაწინაურდა და უპირატესობა აღარც გაუშვა ხელიდან.

**კოლორადო — სან ხოსე 1:0**

24 აპრილი

**სან ხოსე — კოლორადო 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 საკიკი 16'16 (1); 0:2 ოზოლინში 34'39 (1); 0:3 საკიკი 42'26 (2); 1:3 ფრიზენი 54'05 (1)

კოლორადოს მწვრთნელი ბობ ჰარტლი სიტყვაძუნწი გახლდათ: „წლის ამ დროს პატრიკი ყოველთვის შეუდარებელია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა." მართლაც, კოლორადოს გამარჯვება პირველ თამაშში მეტწილად ბრწყინვალე მეკარის — პატრიკ რუას დამსახურებაა. მან 42 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მე-100 საპლეიოფო გამარჯვება იზეიმა.

**ფინიქსი — სენტ ლუისი 2:1**

24 აპრილი

**ფინიქსი — სენტ ლუისი 4:3**

0:1 1:1 2:1 1:0

0:1 მაკინისი 5'31 (2); 1:1 დრეიკი 25'53 (1); 1:2 ტარჯონი 32'43 (1); 2:2 ნუმინენი 42'15 (1); 3:2 კარნი 54'26 (1); 3:3 დემიტრა 58'42 (1); 4:3 დოუნი 68'58 (1)

25 აპრილი

**სენტ ლუისი — ფინიქსი 4:5**

0:3 2:1 2:1

0:1 დრეიკი 3'46 (2); 0:2 ტკაჩუკი 7'19 (1); 0:3 დებრიუსკი 8'31 (1); 0:4 დებრიუსკი 22'35 (2); 1:4 დემიტრა 36'43 (2); 2:4 იეიკი 36'55 (1); 3:4 კურტნოლი 45'51 (1); 3:5 დოუნი 59'09 (2); 4:5 ეჩინამი 59'45 (1)

ამ მეტოქეთა დუელის უკომპრომისობაზე და დაუნდობლობაზე მესამე მატჩის ბოლო წუთზე მომხდარი ამბებიც მეტყველებს. ჯერ იყო და მასპინძლებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით ცვალეს, მაგრამ ცარიელ კარში გოლი მიიღეს, შემდეგ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს და დარჩენილ 15 წამში ლამის გაათანაბრეს, ელ მაკინისის დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



## კორტიდან აქლემზე

ქაიროს პირველ საჩოგბურთო ტურნირში გამარჯვება ესპანელმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ მამალ აქლემზე საპატიო სეირნობით აღნიშნა. ეგვიპტის დედაქალაქში ამასთან დაკავშირებით დიდი ზარ-ზეიმი და ჰარი-ჰარალო მოწყობილა. განსაკუთრებული სიხარული და აღტყინება ზემოთ ხსენებულ პირუტყვს გამოუხატავს — არანჩას ბარაქიან გავას მასზე შესაბამისი შთაბეჭდილება მოუხდენია... ტურნირის ფინალში კი ესპანელმა მეჩოგნემ რუმინელ ირინა სპირლეას 6:1 6:0 სძლია.

## თქვენს საფლავებთან მოსვლა და...

სუმოს გამოჩენილ ჩემპიონს, ჰავაური წარმომავლობის აკებონოს გასულ კვირა დღეს იასუკუნოში იაპონელი მეომრების საფლავებთან მისვლა და მუხლის მოდრეკა მოუნდა... ასეთი რამ იქ თურმე ტრადიციულად ხდება — აბა, გარდაცვლილთა ნათელ სულებს ისე რამ უნდა აამოს, როგორც ჩაუქი აკებონოს გულადმა და ჯიგრიანმა ბუქნებმა?





## მშვიდობით, მამა!

ბორის ბეკერის მამა, ცხონებული კარლ-ჰაინცი მშობლიური ლაიმანის მიწას ამ უქმეებზე მიაბარეს... ეს კეთილი, განათლებული და მხიარული ადამიანი ცხოვრების 63-ე გზაჯვარედინზე უკურნებელმა სენმა შეიწირა... ჰოდა, რა ანუგეშებდა მის მეუღლე ელვირას, რძალ ბარბარასა და ვაჟ ბორისს?! რა და ვერც ვერაფერი...



## რიგიანი კადრი

ჰამბურგის მარათონში მონაწილეობა 15 ათასმა მოსეირემ მიიღო... მათი ყველას ერთ კადრში ჩატევა ვერ მოხერხდა, მაგრამ ეს ფოტო თავისთავად კარგი რამ სანახავი გამოდგა და თქვენი ყურადღების ღირსადაც სწორედ ამ ამბის გამო იქცა.

## წასვლა სამობითაა

დიადი ვინმეების, მაიკლ ჯორდანისა და უეინ გრეცკის წასვლის შემდეგ „დიდ ავიაციაში“ აღარც დიად ამერიკელ მობურთალს, თექვსმეტწლიანი ბრწყინვალე კარიერის მიმთვლელს, „დენვერ ბრონკოსის“ მეპასე ჯონ ელვეის ედგომებოდა... გრეცკის გაცილებით გულაჩუყებულ ჯონს თურმე, ახლა ჩემი ჯერიაო, ჯერ ასე უთქვამს და ნასეზონევს აპა, კარგად იყავითო, მერე ასეც დაუმატებია. აქ წარმოდგენილ ფოტოზე კი ლეგენდარული ელვეი შარშან მოგებულ 32-ე სუპერბოულს აქნევს და თავი ყველაზე მაგარი მობურთალი ჰგონია.





## ლოცვა დი მაჯიოსთვის

ამერიკული ბეისბოლის შეუდარებელი ლეგენდა, ნიუ იორკ იანკელი ჯო დი მაჯიო აქაც კარგი კაცი იყო და იქაც ნათელი უნდა ადგეს... ჰოდა, მისი ნათესავ-ახლობლები ჟამიდანჟამ წმინდა პატრიკის ამ მყუდრო საყდარში იკრიბებიან და მისი კეთილი სულისათვის ლოცულობენ... აი, ეს ბიჭა, ჯოს გარე ბიძაშვილი უნდა იყოს. მას დიადი ბეისბოლისტის ხუთნომრიანი ქურთუკი ჩაუცვამს და საპარაკლისო პროგრამასაც დიდი ინტერესით ჩასცქერის. ამბობენ, იმ დღეს წმინდა პატრიკის თაღებქვეშ 1500-მდე ადამიანი მოგროვდაო...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაб ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29